

**სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამა**

**მედიისა და არასამთავრობო  
ორგანიზაციების სამუშაო შესვენება  
გუდაური, 2004**



**C I P D D  
თბილისი  
2004**

სერიის რედაქტორი      დავით ლოსაბერიძე

გამოცემა განხორციელდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერის შედეგად, საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ორგანიზაცია გადაჯარჩინოთ ბავშვები (Save the Children) შორის დადებული N 114-A-00-02-00140-00 თანამშრომლობის შეთანხმების ფარგლებში. აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ გამოხატავდეს USAID-ის ან Save the Children-ის შეხედულებებს.

*Working Meeting of Georgian NGO and Media Representatives.*

*Gudauri, November 2004 – David Losaberidze (ed.),*

Caucasus Institute for Peace, Democracy and Development, 2004

This publication was made possible through support provided by the US Agency for International Development (USAID) under the terms of Cooperative Agreement No. 114-A-00-02-00140-00 between USAID and Save the Children. The opinions expressed herein are those of the authors and do not necessarily reflect the views of USAID or Save the Children.

**ISBN 99928-37-16-0**

გამომცემელი – მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

თბილისი, მერაბ აღუქსიძის 1, ტელ. 334081, ფაქსი 334163

## შინაარსი

შესავალი .....	5
მონაწილეთა სია .....	7
დისკუსია .....	9
შეხვედრის შედეგების მოკლე შეჯამება .....	75
<b>Summary</b> .....	<b>78</b>



## შესავალი

ბროშურა მომზადდა იმ შეხვედრაზე გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე, რომელიც 2004 წლის 27-28 ნოემბერს გაიმართა ვულაურში.

შეხვედრა გაიმართა სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამის ეგიდით.

სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამა დაფინანსებულია აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ. მისი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში მესამე სექტორის შემდგომ განვითარებას, მისი საქმიანობის (მართვა, ფინანსები, საზოგადოებასთან ურთიერთობა, სამოქალაქო ინტერესების დაცვა) ხარისხობრივ გაუმჯობესებას და მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელი პირობების ჩამოყალიბებას.

პროგრამას ახორციელებს კოალიცია, რომლის შემადგენლობაშიც შედის:

- ამერიკული ორგანიზაცია Save the Children – Georgia,

ექვსი ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია:

- შვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი,
- პარტნიორები-საქართველო,
- სამოქალაქო განვითარების ცენტრი „ალტერნატივა“,
- სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი,
- საქართველოს გაეროს ასოციაცია,
- საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.

ამას გარდა, პროგრამა ითვალისწინებს არასამთავრობო ორგანიზაციათა ფართო სპექტრის ჩართვას იმპლემენტაციის პროცესში და მათ ტექნიკურ და ფინანსურ ხელშეწყობას.

სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამა არასამთავრობო სექტორის ფარგლებში და მის ფარგლებს გარეთ სხვა მონაწილეებთან ერთად ცდილობს შექმნას სიცოცხლისუნარიანი ქსელი. ბაკურიანის არასამთავრობო სექტორის ლიდერების შეხვედრა (2004 წლის თებერვალი) მიექმდნა არასამთავრობო სექტორის მომავალ თანამშრომლობას ერთმანეთთან და მთავრობასთან ვარდების რევოლუციის შემდეგ. ამის შემდეგ სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების რამდენიმე შეხვედრა სამოქალაქო საზოგადოების სხვა სეგმენტების წარმომადგენლებთან.

მედიის და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერთა ჯგუფის გუდაურის შეხვედრა ინიცირებული იყო ცენტრ „ალტერნატივას“ მიერ, განხორციელდა სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამის მმართველი საბჭოს ძალისხმევით და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.

შეხვედრა მიზნად ისახავდა არასამთავრობო ორგანიზაციების და მედიის თანამშრომლობის გზების გამოკვეთას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებრივი პრობლემების ერთობლივი ძალისხმევით გადაწყვეტას პოსტრევოლუციურ გარემოში.

უფრო კონკრეტულად შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა:

- განსაზღვრულიყო და მიღწეულიყო შეთანხმება არასამთავრობო და მედია სექტორებში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით;
- არასამთავრობო ორგანიზაციების და მედიის მიმდინარე საქმიანობის შეფასება და ურთიერთობებში არსებული ჩავარდნების განსაზღვრა;
- არასამთავრობო და მედია სექტორის ერთობლივი საქმიანობის პრიორიტეტების განისაზღვრა და
- თანამშრომლობის კონკრეტული ნაბიჯების და არსებული რესურსების განსაზღვრა.

შეხვედრაში მონაწილეობდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის 30-ზე მეტი წარმომადგენელი. შეხვედრა არ იყო ორიენტირებული მონაწილეთა შორის კონსენსუსის მიღწევაზე. მკაცრად იყო დაცული ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ განსხვავებული ხედვების ფორმირების შესაძლებლობა. წარმოდგენილ ბროშურაში, რომელიც შეხვედრაზე განხილული საკითხების, დაფიქსირებული პოზიციების და დისკუსიების მოკლე შეჯამებას წარმოადგენს, მაქსიმალურად არის ასახული ყველა გამოთქმული აზრი და დაფიქსირებული პოზიცია.

ჩვენ არ შეგვიცვლია კამათის მონაწილეთა გამოსვლების სტილი, რათა შენარჩუნებულიყო ის განწყობა, რომელიც შეხვედრისას სუფევდა. სარედაქციო ჯგუფი მხოლოდ ამ აზრების სისტემატიზაციით და სტილისტური გამართვით შემოიფარგლა.

ვიმედოვნებთ, რომ ბროშურა დაინტერესებს მესამე სექტორის პრობლემებით დაინტერესებულ ორგანიზაციებს თუ კერძო პირებს.

## მონაწილეთა სია

ლევან ავალიშვილი – სტრატეგიული კვლევების ცენტრი  
ინდირა ამირანაშვილი – Save the Children  
რამაზ აფციური – გაეროს ასოციაცია  
დავით ახობაძე გაზ. *ახალი ვერსია*  
თინა ბაუმი – კავკასიური ინსტიტუტი  
ქეთი ბაქრაძე – USAID  
სოსო გალუმაშვილი – GEPR  
გელა გურგენიძე – გაზ. *ხვალინდელი დღე*  
ანა დოლიძე – ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია  
პაატა ვეშაპიძე – გაზ. *24 საათი*  
კოტე კანდელაკი – სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი  
დავით ლოსაბერიძე – კავკასიური ინსტიტუტი  
რატი მელაძე – რადიო *მწვანე ტალღა*  
დავით პაიჭაძე – რადიო *თავისუფლება*  
ლევან რამიშვილი – თავისუფლების ინსტიტუტი  
ვაჟა სალამაძე – სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი  
ლაშა ტულუში – გაზ. *რეზონანსი*  
მაღნაზ რამიშვილი – გაზ. *ახალი ვერსია*  
რუსლან რუსია – გაზ. *საქართველოს რესპუბლიკა*  
ბობ უილსონი – USAID  
დავით უსუფაშვილი – IRIS-საქართველო  
ალექსანდრე ფარულავა – ტელევიზიის 1 არხი  
მაცაცო ფაცაცია – სამოქალაქო განვითარების ცენტრი *ალტერნატივა*  
ნინო ფაცურია – „Georgia Today“  
თენგიზ შერგელაშვილი – ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია  
ნინო შუბლაძე – ტელეკომპანია *რუსთავი 2*  
სოფო შუბლაძე – პარტნიორები – საქართველო  
ლიკა ჩახუნაშვილი – IREX-საქართველო  
ირინა ცინცაძე – სამოქალაქო განვითარების ცენტრი *ალტერნატივა*  
ლევან ხარატიშვილი – სამოქალაქო ინიციატივების ცენტრი  
ნიკ ჰივინსი – USAID





## დისკუსია

**ვაჟა სალამაძე** – ჩვენი დღევანდელი შეხვედრა ეძღვნება მედიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ურთიერთობას, იგი წარმოადგენს გარკვეულ გაგრძელებას შეხვედრათა ციკლისა, რომელიც დაიწყო ჯერ კიდევ რევოლუციის შემდეგ. მე მინდა ქალბატონ ქეთის ვთხოვო, რამდენიმე სიტყვით გვესაუბროს ამ მექვიდრეობითობის პროცესზე.

**ქეთი ბაქრაძე** – ნოემბრის შემდეგ, როდესაც ამ ენთუზიაზმმა თანდათანობით ადგილი დაუთმო იმის ფიქრს – რა ვქნათ და რა ვაკეთოთ, გადაწყვეტიტ შემგვეკრიბა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და განგვეხილა საერთო სტრატეგიის შექმნის შესაძლებლობა. თებერვალში ბაკურიანში გვქონდა ასეთი სამდღიანი შეხვედრა. ბაკურიანმა სათავე დაუდო მთელ რივს შეხვედრებისას და დისკუსიებისას ახალ პირობებში არასამთავრობოს, ანუ მესამე სექტორის, სტრატეგიასთან დაკავშირებით: როგორი უნდა იყოს ურთიერთობა სახელმწიფოსთან? რა როლი უნდა ჰქონდეს მედიას ამ სიტუაციაში? ამკარაა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები თავის ნაჭუჭში ვერ იარსებებენ და აუცილებელია კავშირი და დიალოგი ისეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან პარტნიორთან, როგორიცაა მედია. ეს იდეა სამოქალაქო ინტერესების დაცვის

პროგრამას ეკუთვნის. ბაკურიანში ბევრი ვილაპარაკეთ პრობლემებზე და სტრატეგიაზე, მაგრამ დრო აღარ დაგვჩა კონკრეტული მექანიზმების შესამუშავებლად. იმედი მაქვს, აქედან ისე არ წავალთ, რომ კონკრეტული გზები და მექანიზმები არ შევიმუშავოთ. გარდა იმისა, თუ როგორ უნდა იმუშავონ ერთად მედიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა, ძალიან მნიშვნელოვანია ეს შეხვედრა ჩვენთვისაც, USAID-ისთვისაც. ამის დამადასტურებელია ის, რომ ჩვენთან ჩამოვიდნენ ბატონი ბობ ვილსონი – კავკასიის მისიის დირექტორის მოადგილე და ბატონი ნიკ ჰიგინსი – დემოკრატიის და მმართველობის ოფისის დირექტორი.

**ბობ ვილსონი** – ძალიან მნიშვნელოვანია USAID-ისთვის თქვენი ჯარის გაცნობა, რადგან ამ ეტაპზე ჩვენ ვგეგმავთ ჩვენს შემდგომ პროგრამებს. ჩვენ კარგად ვიცით თითოეული თქვენგანის როლი რევოლუციის მომზადებაში, მაგრამ ისიც კარგად ვიცით, რომ არსებობს ბევრი მწვავე პრობლემა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების წინაშე დგას რევოლუციის შემდგომ. ქეთიმ აღნიშნა ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო რამდენიმე საკითხი. გარდა მედიასა და არასამთავრობო სექტორს შორის თანამშრომლობისა, ჩვენ ძალიან გვა-

ინტერესებს თქვენი შეხედულება, თქვენი დამოკიდებულება, ისეთი საკითხებისადმი, როგორცაა საკანონმდებლო საკითხები, გამჭვირვალობის, მდგრადობის, კანონის უზენაესობის, საკითხები. ასევე გვაინტერესებს თქვენი აზრი ბევრ სხვა პრობლემასთან დაკავშირებითაც; კიდევ ერთხელ ვიმეორებ, განსაკუთრებით ახლა, როდესაც ჩვენ ვგეგმავთ ახალ პროგრამებს, რომლებიც თქვენს სექტორებს დაეხმარება.

**ვაჟა სალამაძე** – ქეთიმ გარკვეულწილად უკვე ასსენა, რომ ამ შეხვედრის მიზანია შემუშავდეს მედიის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლობის ძირითადი პრინციპები და გზები. შესაბამისად, შეხვედრის დამთავრების შემდეგ იდეალურად უნდა გვქონდეს ჩამოყალიბებული პრიორიტეტები (რას ვთვლით ჩვენ პრიორიტეტად, სად შეიძლება ვითანამშრომლოთ) და კონკრეტული ღონისძიებები და კონკრეტული პრინციპები (ანუ რა პრინციპების საფუძველზე ვმუშაობთ და რა კონკრეტული ღონისძიებები შეიძლება, რომ ერთად განვახორციელოთ). ჯგუფში აბსოლუტური კონსენსუსის მიღწევა ალბათ საჭირო არ იქნება. შეიძლება გარკვეულ საკითხებზე აზრი გაიყოს და არსებობდეს ორი ალტერნატიული აზრი. ეს ჩვეულებრივ მოვლენად შეიძლება ჩავთვალოთ. უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვკვეთოთ მიმდინარე ეტაპის ძირითადი საზოგადოებრივი პრობლემები, ანუ რა აღვლევს

მედიას და მესამე სექტორს. უშუალოდ მედია-ენჯიო პრობლემებზე ვისაუბრებთ მეორე ბლოკში, რომელსაც ასეთი ლაიტმოტივი აქვს: „რას ვერ ვაკეთებთ კარგად“. შემდეგ უნდა შევეცადოთ გავარჯვიოთ, რატომ ვერ ვაკეთებთ კარგად იმას, რასაც ვაკეთებთ და რისი გაკეთებაც გვინდა. შემდეგ გადავალთ საკითხზე, რისი კეთება შეგვიძლია ერთად, ანუ იმ სფეროებზე, სადაც ჩვენი და მედიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინტერესები იკვეთება, და სადაც შეიძლება გამოვჩანოთ ერთობლივი საქმიანობის საშუალებები და რესურსები. შეხვედრის ბოლო ეტაპი გვინდა მთლიანად მივუძღვნათ იმ კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც შეიძლება ერთად განვახორციელოთ.

**დავით უსუფაშვილი** – მოგესალმებით ბაკურიანის და მარიოტის შეხვედრის მონაწილეებსაც და მათაც, ვისაც ბედნიერება არ ჰქონდათ ამ ძალიან მნიშვნელოვან შეხვედრებს დასწრებოდნენ. იმისათვის, რომ ჩვენ ყველა აქედან კმაყოფილების გრძნობით წავიდეთ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ძალიან მაღალი მოლოდინები არ გვქონდეს დღევანდელი შეხვედრისაგან; ხშირად კონფერენციის შუაში იჩენს ხოლმე ასეთი განცდები თავს. ცხადია, აღმოჩენების გაკეთებას არ ვგეგმავთ, არ ვფიქრობთ, რომ ისეთ გზებს მოვნახავთ, რომელთა მეოხებით ორ კვირაში სასწაულ შედეგებს მივაღწევთ. შევთანხმდეთ, რომ ეს არის ერთ-ერთ-

თი შეხვედრა, რომელიც ყოფილა, კვლავაც იქნება; ამასობაში კი ცოტა წინ უნდა წავიწიოთ. უკვე გამოიკვეთა გარკვეული საკითხები, რომელშიც არის რეზერვი ერთობლივი თანამშრომლობისა და სწორედ ეს ერთობლივი თანამშრომლობა უნდა იყოს ალბათ ჩვენი დღევანდელი და ხვალინდელი საუბრების მთავარი ჩარჩო. ვისაუბროთ ჩვენს ინდივიდუალურ შეხედულებებზე ამა თუ იმ საკითხზე, ვისაუბროთ ჩვენს სექტორალურ ხედვებზეც, მაგრამ მაინც მუდამ გვახსოვდეს, რომ ჩვენ გვინდა გამოვკვეთოთ ის საერთო პრობლემები, ის საერთო ტკივილები, რომელიც გვაქვს და, შესაბამისად, რისი გაკეთება შეგვიძლია. მაგალითისთვის დავასახელებდი მარიოტში შეხვედრისას წამოჭრილ ასეთ საკითხს, რომელიც ურთიერთბრალდების სახით გაისმა: იყო პრეტენზია არარსამთავრობო სექტორის წარმომადგენლების მხრიდან, რომ რაღაცეებს ვაკეთებთ, მაგრამ ეს ვერ შუქდება, მერე იყო საპასუხო რეპლიკა მედიის მხრიდან, რომ ჩვენ კიდე ვეძებთ ხოლმე კომპეტენტურ ხალხს, ექსპერტს, ინფორმაციას, მაგრამ ვერ ვპოულობთო. თუნდაც ეს ერთი მაგალითი მეტყველებს იმას, რომ ორივე მხარეს აქვს განცდა, რომ მონდომება არის, მაგრამ სადღაც არ ხდება ამისი გადაკვეთა. ახლა მივყვებით დღის წესრიგს. პირველი სამუშაო სესიის ორი სათაური გვაქვს: აკადემიური და საყოფაცხოვრებო: მიმდინარე ეტაპის ძირითადი საზო-

გადოებრივი პრობლემები და რა ალელეებს მედიას და მესამე სექტორს დღეს. ასე დაწყება გვინდა იმიტომ, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში ერთმანეთს ვხვდებით როგორც დემოკრატიული თუ სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვანი სექტორების წარმომადგენლები და, ცხადია, ჩვენი შიდასექტორული პრობლემები რაღაც დიდი საკითხებიდან წარმოდგება, რომლებიც ამ ეტაპზე გვაღელვებს. იმიტომ პირველი ამ ერთი საათის განმავლობაში მაქსიმალურად შევეცადოთ ვისაუბროთ ამ საკითხებზე და ნაკლებად სექტორის სპეციფიკურ საკითხებზე (გადასახადები, კადრების გადინება თუ სხვა, რაც უშუალოდ ჩვენ გვეხება). მანამდე კი გამოვკვეთოთ ზოგადი პრობლემები. თქვენ დაგირიგდით თებერვალში გააზრებული პრობლემების ნაწილი, როდესაც არასამთავრობო სექტორი ხვდებოდა ერთმანეთს, მას შემდეგ ალბათ რაღაცები შეიცვალა, რაღაცა გამოიკვეთა, რაღაც დადასტურდა.

**ვაჟა სალამაძე** – მე წავიკითხავ. პირველი, არ არის გამოკვეთილი ხელისუფლების ნათელი ხედვები; მეორე, სახეზეა აღმასრულებელი შტოს გაძლიერება და ავტორიტარიზმის საფრთხე; აქ იგულისხმება, რომ ორივეგან არის ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ დონეზე ხელისუფლების კონცენტრაცია; მესამე, მეწარმეობისათვის არახელსაყრელი გარემო; მეოთხე, მოსახლეობის სოციალური დაუცველობა. ეს არის ის მი-

რითადი პრობლემები, რაზეც ბაკურიანში იყო საუბარი. მარიოტის შეხვედრაზე კი ძირითადად ლაპარაკი იყო კანონის უზენაესობაზე. მეორე – ეს არის ხელისუფლების განაწილების საკითხი და დეცენტრალიზაცია. მესამე – ეს არის სახელმწიფო ინსტიტუტების არამდგრადობა. ასეთია თებერვლისა და დაახლოებით ერთი თვის წინანდელი ჩვენი შეხვედრების შედეგები.

**დავით უსუფაშვილი** – ბაკურიანში შეკრების დროს დავიწყეთ ზოგადი პრობლემებით, მერე მივედით კონკრეტულ პრობლემებამდე. ანუ იქაც სტრუქტურა იყო დაახლოებით ასეთი. პირველი სესიის დროს გამოკვეთილი ზოგადი პრობლემებიდან არასამთავრობო სექტორის შიდა პრობლემებზე გადავედით. ვფიქრობ, მსგავსი საკითხები აქაც იქნება წამოწეული შემდგომ. არა ერთი თვე გავიდა და შეიძლება რაღაცა პრობლემად აღარ მიგვაჩნია, ან პირიქით, ახალი პრობლემა გამოჩნდა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვიწყებთ სუფთა ფურცლიდან. შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ არც ერთი ეს პრობლემა არ არსებობს, ან უფრო მწვავედ არსებობს და ამ გზით ვიაროთ.

**ლევან რამიშვილი** – პრობლემები, რომლებიც დგას საზოგადოების წინაშე, მართო ერთ შეხვედრაზე ვერ ამოიწურება, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ დაუკმაყოფილებლობის შეგრძნებები არის, მე მგონი,

მაინც წინ მივდივართ. აქ ითქვა, ხელისუფლებას არა აქვს ხელვაო. მე მგონი, პრობლემა ისაა, რომ საზოგადოებასაც ასეთი ხედვა ნაკლებად აქვს. საერთოდ, რა გვინდა ჩვენ, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეებს? როგორი ქვეყანა გვინდა ვნახოთ 20-30 წლის მერე, ან თუნდაც 15 წლის მერე? ამის ხედვა ნაკლებად გვაქვს. მე მგონი, ამგვარი შეხვედრები უნდა დაგვეხმაროს ხედვის გამომუშავებაში. რა თქმა უნდა, ამოცანა ბევრია: გვინდა ქვეყნის მოდერნიზაცია, რეფორმები სხვადასხვა სფეროში. ძალიან ბევრმა ქვეყანამ, რომელსაც მოდერნიზაციის ამოცანა ჰქონდა თავის წინაშე დასმული, ეს საკითხი სხვადასხვანაირად გადაწყვიტა. როდესაც საბჭოთა კავშირში იწყებოდა გარდაქმნა, საბჭოთა კავშირში გარდაქმნა წავიდა პოლიტიკური მოდერნიზაციის გზით, ჩინეთში დენ სიაო პინმა უარი თქვა პოლიტიკურ მოდერნიზაციაზე. ჩინეთში დემოკრატიზაცია არ მომხდარა; იფიქრეს, რომ, როდესაც არაპოპულარულ რაღაცას აკეთებ, შეიძლება მასების მღელვარებამ ხელი შეგიშალოს. ჩვენი ქვეყანა ამ არჩევანს მოკლებულია, განსხვავებით ჩინეთისგან, რომელსაც არა აქვს პრეტენზია, გახდეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, არც მოკლე ხანში და არც დიდი ხნის შემდეგ. ჩვენ კი ეს ამოცანა დავისახეთ. გარდა იმისა, რომ მოდერნიზაცია გვინდა განვახორციელოთ, არაპოპულარული ნაბიჯები უნდა გადავდგას ხელისუფლებამ; რაღაცნაი-

რად უნდა უზრუნველყოთ პოლიტიკური პლურალიზმის და თავისუფლება. პოლიტიკური პლურალიზმი გულისხმობს იმ ხალხის თავისუფლებასაც, ვინც მოდერნიზაციას პრინციპულად ეწინააღმდეგება. რაღაცნაირად ამ სცილას და ქარიბდას შორის უნდა გავიყვანოთ. საკმაოდ რთული ამოცანაა. ჯერჯერობით ვერ ვიტყვით, რომ წარმატებით ვახერხებთ ამ ორივე ამოცანისთვის თავის გათმევას. რაღაც კეთდება; ვერ იტყვით, რომ არაფერი კეთდება, მაგრამ გაცილებით მეტის გაკეთება იყო შესაძლებელი, დრო რომ სხვა რაღაცებზე არ დაკარგულიყო. ესეც ჩვენი ბრალია: დღის წესრიგის განსაზღვრას ჩვენ არ ვცდილობდით და ხელისუფლება თავის თამაშებში გაერთო. არსებობს პრობლემა, რომელიც შეიძლება დღეს იმ სიმწვავეთ არ ჩანს, რა სიმწვავეთაც შეიძლება მომავალში თავი იჩინოს: პოლიტიკური თავისუფლება არ იზღუდება, მაგრამ პოლიტიკური პლურალიზმი ნაკლებია. ერთი მხრივ, კარგია, რომ რეფორმატორულ ხელისუფლებას წინ არავინ გადაელობება და ხელს არავინ შეუშლის რეფორმის გატარებისას, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც რეფორმას არც ისე სწრაფად ატარებს ხელისუფლება, ან რეფორმების გზაზე შეცდომებს უშვებს და ამ დროს რეალურად ოპოზიცია არ არსებობს, ჩნდება პრობლემა. „არ არსებობს“ შეიძლება გაზვიადებული იყოს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, წარსულთან შედარებით პლურალიზმი, თუნდაც, მედიაში შემ-

ცირებულია. მე კიდევ ერთ პრობლემას ვხედავ, გნებავთ, მედიაში, გნებავთ, სამოქალაქო საზოგადოებაში; როდესაც ეს ინსტიტუტები საქართველოში ჩნდებოდა, არსებობდა პოზიტიური ფასეულობები, ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობები, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტებს თუ იმავე ჟურნალისტებს, უფრო მეტად ჰქონდათ გათავისებულები. დღეს მრჩება შთაბეჭდილება, რომ ასეთი ფასეულობები პრაქტიკულად აღარ არსებობს. ეს კიდევ ერთი ხელისშემშლელი გარემოებაა, სხვა იმ ობიექტურ მიზეზებთან ერთად, რომლებზედაც ბევრი გვილაპარაკია, რის გამოც იგივე მედია და იგივე არასამთავრობო ორგანიზაციები ვერ ასრულებენ თავის როლს. ერთ-ერთი მიზეზი, ჩემი აზრით, არის ფასეულობათა კრიზისი.

**ლამა ტულუში** – რა თქმა უნდა, ძალიან დიდია საექტრი თემებისა თუ საკითხების, რომლებიც გვაღელვებს. მე მაინც შევეცდები ძირითადი საკითხები გამოვკვეთო. პირველი და ყველაზე არსებითი არის ის, რომ მედიის თავისუფლების ხარისხი უდავოდ შემცირებულია. ძირითადად, ეს ეხება სატელევიზიო მედიას. ამას განაპირობებს ის, თუ როგორი არის შინაარსით მედია, ვინ არიან მესაკუთრეები, როგორია მათი ფულის წარმომავლობა და მათი მენტალობა. მეორე მხარეა, როგორ იყენებს ხელისუფლება ამ ვითარებას. ხელისუფლება ცდილობს მაქსიმალურად ჩაერი-

ოს მედიის საქმიანობაში და აკონტროლოს ინფორმაცია, რომელიც გადის სატელევიზიო ეთერში. ამას იგი ძალიან წარმატებულად ასწავებს. ამისი მაგალითები უამრავია. სწორედ ამიტომ მინდოდა, რომ აქ ყოფილიყვნენ ტელევიზიების წარმომადგენლებიც. მათგან კულუარული საუბრების დროს ვისმენ ხოლმე ამას, მაგრამ დიად ამაზე არასოდეს საუბრობენ. სწორედ ეს არის ის დეფიციტი პრინციპებისა თუ შეხედულებების, რომელზედაც ლევანი ცოტა ხნის წინ საუბრობდა. მიმდინარეობს მარგინალიზაციის პროცესი. მაგალითად, პრეზიდენტთან ტელევიზიების ბოლო შეხვედრაზე „წამყვანი ტელეკომპანიების“ ჟურნალისტებიც კი გარკვეული პრინციპებით იყვნენ შერჩეულნი, ანუ ისეთი ჟურნალისტები, რომელთაც შედარებით ნაკლები მენსიერება აქვთ (მენსიერება არა ფიზიკური გაგებით, არამედ წარსულთან უხერხული შეკითხვების კუთხით) და უფრო ლოიალურები არიან პრეზიდენტის მიმართ. აღარაფერს ვამბობ იმაზე, თუ რამდენად ხშირად ურეკავენ მინისტრები ჟურნალისტებს და ასწავლიან, ესა თუ ის სიუჟეტი როგორ უნდა გააკეთონ. მეორე საკითხი არის გამჭვირვალეების საკითხი. დღეს ეს თემა ძალიან აქტუალურია იმიტომ, რომ ბევრად უფრო გართულდა ინფორმაციის მიღება ოფიციალური გზებით სამინისტროებიდან და სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებიდან. მაგალითად, როდესაც განათლების სამინისტროში მოვი-

ხოვეთ ახალი კანონპროექტი, ძალიან უწყინარ პასუხებს ვიღებდით, თითქოს ჯერ არ არის მზად, მერე საიტზე არის, მერე ის საიტი მუდმივად იცვლებოდა, ანუ ოფიციალური დოკუმენტის სახით ვერაფრით ვერ მოვახერხეთ მისი მიღება. მიუხედავად იმისა, რომ წინა ხელისუფლება არაფრად არ ვარგოდა, პარადოქსია, მაგრამ მაშინ უფრო ადვილად ვიღებდით დოკუმენტს სამინისტროებიდან. სერიოზული პრობლემა არის ის, რომ შემცირდა განსხვავებული შეხედულებების ადამიანების რიცხვი სექტორიდან, რომელსაც ბატონი ლევანი წარმოადგენს. ძალიან ბევრი მოხვდა ხელისუფლებაში. არსებობს სხვა ორგანიზაციები, მაგრამ მათი წარმომადგენლები ძალიან უფერულები არიან, საკუთარი პოზიცია არ გააჩნიათ. ხშირად წუხან, რომ მათ არ ვეკითხებით აზრს. როცა მათთან მიდის ჟურნალისტი და კითხვას უსვამს, პასუხი ხშირად ან არაკვალიფიციურია, ან ძალიან ფაქტებს. გარდა ამისა, შემძღვია ვთქვა, რომ ეს ნაწილი საზოგადოებისა ძალიან ზარმაცია. მე პირადად გაუთავებლად ვთხოვ მათ, რომ ან წერილი დაწერონ ან ინფორმაცია მოგვაწოდონ, ან რაღაცა გვითხრან, რა ხდება მათ სფეროში. ჟურნალისტური პროფესიონალიზმიც ხშირად კრიტიკას ვერ უძლებს. ამის მიზეზი ბევრია: ტრადიცია, განათლების საკითხები, სახელმძღვანელოები და ა.შ.. ცალკე პრობლემაა ჟურნალისტური სოლიდარობა. არ არსებობს

ორგანიზაცია, სადაც შეიძლება ჟურნალისტმა დაიცვას თავისი უფლებები. და ბოლო საკითხი, მე მგონია, რომ ფონდების საკითხი ძალიან სერიოზულია. დონორების პოზიციები და მათი ძალისხმევები სწორ შემთხვევაში არ არის მიმართული იმაზე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია და საჭიროებს დაფინანსებას. ჩემი აზრით, ეს თანხები არაა დეკვატურად იხარჯება. ესეც კიდევ ცალკე თემაა, რადგან ჩვენ თუკი ვინმე გვეხმარება, ჩვენ ეს დახმარება გვჭირდება ეფექტური და არა ისეთი, როგორც დღეს არის.

**მალხაზ რამიშვილი** – მე ცოტა სხვა კუთხით შევხედავდი საკითხს. მედიის მოღვაწეობა ეს არის რამდენიმე დონეის ოტის შეჯახება სისტემასთან და მუდმივი ბრძოლა რაღაცისთვის. ჩვენ დღეს, ძირითადად, თვითგადარჩენით ვართ დაკავებული როგორც 1989-1992 წლებში. მედია, მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი მომგებიანი ბიზნესია, მაგრამ საქართველოში მისთვის სათანადო ბაზარი არ არის, განსაკუთრებით ისეთი პრესისთვის, რომელიც რაღაც ფასეულობებს აღიარებს. 5-6 წლის წინანდელ ბაზართან შედარებით დღევანდელი ბაზრის მოცულობა ერთი-ორად გაიზარდა. მაგრამ გაიზარდა რის ხარჯზე? იმის ხარჯზე, რომ ყვეთელი პრესის ტირაჟები მაღალია, ხალხი 2-ჯერ, 3-ჯერ მეტ ფულს ხარჯავს გაზეთებში, ვიდრე ადრე, რამდენიმე წლის წინ, მაგრამ შედგენილობა

მთლიანად გამოიცვალა. იყო გაზეთი „7 დღე“, „დრონი“ და სხვ., რომლიდანაც არც ერთი აღარ შემორჩა ბაზარს. არის ორი-სამი გამოცემა, რომლებიც მეტ-ნაკლებად აღიარებენ ღირებულებებს, რაც უარყოფითად მოქმედებს მათ კომერციულ წარმატებაზე. ბევრმა გაზეთმა იპოვა არსებობის საშუალება დაკვეთილი სტატიებით. როცა ამას არ აკეთებ, კონკურენტუნარიანობას კარგავ. ამ მხრივ, ჩვენ უფრო დიდი პრობლემების წინაშე ვდგავართ; ერთი მხრივ, მოყვითალო პრესა აფუჭებს ბაზარს, მეორე მხრივ – ოლიგარქიული თანხები, რომლებიც მასობრივად ჩაიღო ამ გამოცემაში. რაღაც მომენტში ფულიანი ხალხი მიხვდა, რა გავლენა აქვს პრესას და ორი წელია, ამ სფეროს მასობრივი კაპიტალიზაცია ხდება. უბრალოდ, ფუჭდება ბაზარი, ეცემა გემოვნება. ჟურნალისტების პროფესიონალიზმის დონე დაბალია. მაღალი პროფესიონალიზმის მქონენი გადავიდნენ არასამთავრობო სექტორში, ბანკებსა და პოლიტიკაში. თითქმის სულ ჩვენი დაკომპლექტებულია პიარ-ღირექტორების თანამდებობები. ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ პრესა არაკონკურენტუნარიანია დღესდღეობით. ტელევიზია რაღაცას იძენს, მაგრამ ისიც უფრო ოლიგარქიული თანხების გამო. დღეს რამდენიმე იდეალისტი თუ იბრძვის რაღაც ღირებულებებისთვის. ეს არის პრესაში მოღვაწეობა შესაბამისი უკუგების გარეშე. სიტუაცია იქამდე მივა, რომ არსებული რამდენიმე გაზეთიც ერთ-

ორ წელიწადში აღარ იარსებებს. ვი-  
ლაცა შეიძლება გადარჩეს, ვილაცა  
შეიძლება ვერ გადარჩეს. პრესა საზო-  
გადვარგარეთ არის სამოქალაქო საზო-  
გადოების ძირითადი შემადგენელი.  
ისეთი, რომელსაც არ სჭირდება  
ფონდები, პირიქით, თვითონ აქვთ თა-  
ვისი ფონდები და ამ ფონდებით ხდე-  
ბა ჟურნალისტების კვალიფიკაციის  
ამაღლება, სხვა უამრავი საზოგადო-  
ებრივი საქმიანობის დაფინანსება.  
უახლოესი წლები ჩვენ ასეთი რამ არ  
გვემუქრება და სავალალოც ეს არის.

**დავით ლოსაბერიძე** – შევეცდე-  
ბი ძალიან ზოგადად ჩამოვაცალიბო  
ჩემი მოსაზრება. ფინანსების პრობ-  
ლემა მნიშვნელოვანია. დღეს არაკონ-  
კურენტუნარიანია არა მარტო დამო-  
უკიდებელი პრესა, რომელიც რაღა-  
ცა პრინციპებს აღიარებს, იგივე  
პრობლემები დგას სხვა სექტორების  
წინაშეც. აქ არ არის საუბარი იმაზე,  
რომ ვილაცა ზღუდავს, ან ვილაცა არ  
ზღუდავს. ბიზნესთანაც იგივე მიმარ-  
თებაა: ცუდი გარემო პირობები, სა-  
კანონმდებლო ურთიერთობები, რე-  
გულირება, რაც შემდეგ ანალოგიურ  
პრობლემებს ქმნის... აშკარა მერკან-  
ტელიზმის სუნი დაკრავს ქართულ  
პოლიტიკას ეკონომიკაში. არასამთავ-  
რობობთანაც იგივე პრობლემებია.  
გამოიკვეთა „ცისფერისისხლიანთა“  
წრე, რაღაცა ელიტარული არასამ-  
თავრობოები და შედარებით ნაკლებ  
განვითარებული ორგანიზაციები და  
ეს აისახება ფინანსურ მარკენებლე-  
ბში. მეორე პრობლემა კადრების გა-

დინების პრობლემაა. ეს პრობლემა  
ყველგან დგას, არა მარტო იმიტომ,  
რომ ვილაცა ბრძენი ენჯიონშინები ან  
ჟურნალისტები გადადიან სხვა სფე-  
როში, არამედ იმიტომ, რომ დემოკ-  
რატიული და ლიბერალური რესურ-  
სი ამ ქვეყანაში ძალზე მცირეა. რამ-  
დენიმე წლის წინ ლევან ბერძენიშ-  
ვილმა იხუმრა, ერთ-ერთი სემინარის  
მონაწილეებს რომ გადახედა, მთელი  
სამოქალაქო საზოგადოება (200 კა-  
ცი იჯდა) აქა ვართო. სამწუხაროდ,  
ძალიან არ შეცვლილა ეს სიტუაცია.  
უბრალოდ, საუბარია იმაზე, კადრებს  
ვინ სად გადაქაჩავს, საკუთარ წვენი-  
ში იხარშება ეს სფერო. რა თქმა უნ-  
და, შემოდის ახალი კადრები, მაგ-  
რამ მათი ჩამოყალიბების პრინციპი  
ძალზე ნელია. მესამე პრობლემა, ეს  
არის ურთიერთობის მექანიზმების  
პრობლემა. აქ ითქვა, რომ გაურკვე-  
ველია სად, ვისთან, როგორ უნდა  
მოხერხდეს საუბარი. პრეტენზიები  
ყოველთვის დიდია, მაგრამ ამ დიდ  
პრეტენზიებთან ერთად არ არსებობს  
მექანიზმები, რომელიც მეტ-ნაკლე-  
ბად ჩამოაყალიბებს ამ ურთიერთო-  
ბას. მეოთხე პრობლემა არის სტრუქ-  
ტურა: ვის, როგორ, სად მივმარ-  
თოთ? ლაშამ აქ თქვა, ვისთან მივი-  
დეთ, არ ვიცითო. ექსპერტს ან ეზა-  
რება, ან ბევრი საქმე აქვს, ან არ  
არის კომპეტენტური, მხოლოდ პრე-  
ტენზია აქვს, რომ ექსპერტია. მეო-  
რე მხრივ, ვილაცა ზის კაბინეტში და  
ელოდება, როდის მიადგება პრესა და  
როდის ჰკითხავს აზრს. ასეთი რამ არ  
ხდება და ისიც თავის მხრივ უკმა-



ყოფილა. რომელია მართალი, ამის გარჩევას ნუ დავიწყებთ იმიტომ, რომ ორივე მტყუნია და ორივეს თავისი მიზეზები გააჩნია. ამასობაში იცვლება გარემო. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ლიბერალური აზროვნებისათვის და ღირებულებების დასაცავად უფრო ნაკლები საშუალება არსებობს, ვიდრე ადრე. საქმე ისაა, რომ გვეყავს კონკურენტი, ყოველ შემთხვევაში, კონკურენტი დეკლარირებულ დონეზე, ხელისუფლების სახით, რომელიც ამავე თემებზე საუბრობს. ხშირად გაისმის ხელისუფლების და სხვათა მხრიდანაც, რაღა საჭიროა არასამთავრობოებიო, ახლა ხომ კარგ ხელისუფლებას აქვს რეალური ბერკეტებიო? ლოგიკა არსებობს ამაში, ხომ? რაღა არასამთავრობოებმა უნდა ამტკრიონ კარები ცუდ ხელისუფლებასთან, როცა კარგი ხელისუფლებაა თვითონ სათავეში მოსული? სწორედ ეს გარემო იწვევს ლიბერალური ღირებულებების კრიზისს. კრიზისზე ლაპარაკობდა ლევანი. ვეთანხმები, კრიზისია, მაგრამ რაში გამოიხატება ეს კრიზისი? 1992-1995-ში, როდესაც იწყებოდა საუბარი ლიბერალურ ღირებულებებზე, დასავლურ ღირებულებებზე თუ დემოკრატიულ ღირებულებებზე, მაშინ ეს იყო ახალი ხილი და თუნდაც იმისი თქმა, რომ დემოკრატია უნდა იყოს, რომ პარლამენტი აუცილებელია და ა.შ., ასეთი მარტივი ლოზუნგებიც კი თავისთავად სიახლე იყო. გავიდა დრო და მაინც იგივე ტერმინები მეორდება.

საჭიროა უფრო სიღრმისეული ჩაყოლა საკითხებში. მე ვგულისხმობ დარგობრივად დავიწროებას ცალკეული სპეციალობების მიხედვით. აკადემიზმის სუნი დაჰკრავს ჩემს ნათქვამს, მართალია, მაგრამ ფაქტია, რომ ღრმად აღარავინ მიდის. ხელი-სუფლების მხრიდანაც საკმაოდ არა-ადეკვატური შეფასებები ისმის. ერთ მაგალითს მოვიყვან და აღარ შეგაწყენთ თავს. ამასწინათ პრეზიდენტმა განაცხადა: ჩვენ გეჭირდება თვითმმართველობა, მაგრამ დეცენტრალიზაციის წინააღმდეგი ვართო. არ ვიცი, სიტყვების თამაში იყო, წამოცდა თუ... სამწუხაროდ, ის ფაქტები, რომელიც ამის უკან დგას, ნაკლებ საფუძველს მაძლევს ვივარაუდო, რომ ეს არ არის წინასწარ გამიზნული პოლიტიკა. უამრავი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ: ჩვენ ვართ თვითმმართველობის მომხრე, ჩვენ ვართ დემოკრატიის მომხრე, ჩვენ ვართ თავისუფალი პრესის მომხრე. ისე, შევარდნაძეც არ ამბობდა, წინააღმდეგი ვარო. ამბობენ, რომ თავისუფლება ანარქია არ უნდა იყოს. მართალია, არ უნდა იყოს, მაგრამ სად გადის ეს ზღვარი? ამ ზღვართან დაკავშირებით ჩვენ ყველას განსხვავებული ხედვა გვაქვს და კრიზისს სწორედ ეს იწვევს.

**პაატა ვეშაპიძე** – რადგან ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების კრიზისზე ჩამოვარდა საუბარი, იქნებ ჩვენ თვითონ შეგვეშუშავებინა, არ ვიცი, რა დავარქვა,

დეკლარაცია, ქარტია, თამაშის საერთო წესები, არა მხოლოდ მედიისა და სამოქალაქო სექტორისა, არამედ მედიის, სამოქალაქო სექტორისა და ხელისუფლების ერთობლივი თამაშის წესები. ვთქვათ, რა არ არის დემოკრატია: საჯარო ინფორმაციის დამალვა მოხელის მიერ, არ არის დემოკრატია, ანდა შეკვეთილი წერილის გამოქვეყნება საჯარო პირის მიერ სხვა პირის დისკრედიტირების მიზნით არ არის დემოკრატია. იქნებ ასეთი პუნქტები ჩამოგვეყალიბებინა, იქნებ შევხვედროდით ხელისუფლების იმ ნაწილს, რომელიც ჩვენს სამოქალაქო ლანდშაფტს განსაზღვრავს და დავლაპარაკებოდით მათ? იქნებ საზოგადოებისათვის მიგვეწოდებინა რაღაც დეკლარაცია, თუ რაც გინდათ ის დავარქვათ ამ დოკუმენტს, რომ ჩვენ აი ამ თამაშის წესებით ვაპირებთ თამაშს?

**რუსლან რუსია** – აქ სამოქალაქო სექტორი და პრესის წარმომადგენლები იმიტომ ვართ შეკრებილნი, რომ საერთო საქვეყნო საქმეს როგორმე შევეხიდეთ. ბატონ ლაშას ნათქვამს მინდა გამოვეხმაურო ერთი კონკრეტული მაგალითით და ერთი პატარა წინადადება წამოვაცენო – კარგი იქნებოდა ამ შეხვედრაზე პრეზიდენტის ან პრემიერ-მინისტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ერთ-ერთი წარმომადგენელი მაინც მოგვეწვია, რომელიც აქ ნათქვამს ხელისუფლებასთან მიიტანდა. რაც არ უნდა ვლანძღოთ შევარ-

დნაძის ხელისუფლება, ადრე მართლაც არ იყო არანაირი დოკუმენტის მოპოვების პრობლემა, კანონი იქნება თუ კანონქვემდებარე აქტი და სხვა რამ დოკუმენტი. რა არის აქ საჩხუბარი განათლების პროექტთან დაკავშირებით? შეიძლება მართლაც არ არის საჩხუბარი, მაგრამ ოჯახაშენებულო, გამოაქვეყნე ეს პროექტი. როდესაც ამბობენ ვებგვერდზე დევსო, ჯერ ერთი საქართველოს 70%-ს დენი არა აქვს, და ვებგვერდი რა არის, საჭმელი თუ სასმელი, საქართველოში 80%-მა არ იცის, სამწუხაროდ. მხოლოდ თბილისი არ არის სრულიად საქართველო. მისაწვდომობის თვალსაზრისით, გამჭვირვალობის თვალსაზრისით, აუცილებელია გამოიყენონ პრესის საშუალებები უფრო მეტად, ვიდრე დღეს ხდება. ჟურნალისტიკაში არის დაუწერელი კანონი: კარიდან არ შეგიშვებენ, ფანჯრიდან უნდა შეიპარო. ეს იქნებ ასეცაა, როდესაც დოკუმენტის ან მასალის მოპოვებაზეა ლაპარაკი, მაგრამ მეორე მხარეც არსებობს. ვთქვათ, მე ერთ-ერთ თანამშრომელს დავავალე, წადი, გააკეთე მასალა, დავუშვათ, საპატრულო პოლიციაზე. წარმოუდგენელი გახდა ამისი მიღწევა. თუ არ მიიღე გურამ დონაძისგან ნებართვა, არავინ არ მოგცემს ინტერვიუს საპატრულო პოლიციაში. გურამ დონაძე ჩვენი კოლეგა იყო, ხომ? ბევრი ენჯიონიშნიკი და პრესის წარმომადგენელი გადავიდა სახელისუფლებო სტრუქტურებში. მაინტერესებს, რამდენად დარჩნენ ისევ თავისი რწმენის ერთგულები

და, პოეტისა არ იყოს, რამდენად არიან იგივენი მარად და მარად. აქ სხვა ღირებულებებს ქადაგებდნენ, გადავიდნენ და ებრძვიან მათ, ვისგანაც გადავიდნენ.

**კოტე კანდელაკი** – აუცილებელია გავარკვიოთ, რა გვინდა. მე მგონი, ჩვენ გვინდა ლიბერალურ ფასეულობებზე დამყარებული ქვეყანა. ამ ფასეულობების კრიზისი ამ დარბაზში არ არის, უფრო ამ დარბაზიდან წასულ ხალხშია. არ არსებობს არც საზოგადოებრივი დაკვეთა. ჩვენ რაც უნდა გაგვეკეთებინა ამდენი ხნის განმავლობაში ისაა, რომ საკუთარ თავში არ უნდა მოვხარმულიყავით. ხელისუფლება მოგვაწვდიდა კანონპროექტს თუ არა, ამით არ უნდა შემოვიფარგლოთ. ჩვენი, მასმედის და არასამთავრობო ორგანიზაციების, მთავარი მიზანი საზოგადოების განათლებაზე ზრუნვაა. თუ ამას მივალწევთ და იქნება საზოგადოების დაკვეთა, მაშინ ალბათ ხელისუფლებაც შეიცვლება. დღეს სულ სხვა რაღაცაზე არის დაკვეთა და ხელისუფლებაც ასე იქცევა.

**დავით უსუფაშვილი** – რა გვიმლის ხელს, რომ რაღაც-რაღაცეებს ვერ ვაკეთებთ ამ პრობლემების გამოსასწორებლად? თუ თვლით, რომ მარიოტის და ბაკურიანის პრობლემები რჩება პრობლემებად, გამოვთქვით აზრი.

**ლევან რამიშვილი** – როდესაც 10 წლის ბავშვების 40%-ს ხეირია-

ნი წერა-კითხვა და ანგარიში არ შეუძლია, უმაღლეს განათლებულთა 95%-ზე მეტი სამსახურს ვერ შოულობს, მეტყველებს იმაზე, რა პრობლემებთანაც გვაქვს საქმე განათლების სფეროში. გვასხოვს ხომ წინასაარჩევნო კამპანიები? ნომერ პირველი თემა არის განათლების საკითხები. მე ვფიქრობ, რომ ჩვენს საზოგადოებასაც ეს პრობლემები საკმაოდ აწუხებს, უბრალოდ, ჩვენი მხრიდან ამისი გაცნობიერება საკმარისი არ არის და ერთადერთ ყურადღებას ვაქცევთ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს რამე სკანდალს უკავშირდება. არასამთავრობო ორგანიზაციები, ვიღაცა უკიდურესად შავრამზული პოზიციიდან სანამ არ გამოვა, იქამდე ყურს არ შეიბერტყავენ ხოლმე. ჩვენი დამოკიდებულება პროცესისადმი არ გავაჩნია. მე მგონი, ესეც ერთერთი თემაა, რომელიც კარგი იქნება რომ დავამატოთ. განათლების სფეროში არსებობს პრობლემები, დაწყებული ინსტიტუციონალური საკითხებიდან, როგორ უნდა იყოს სისტემა მოწყობილი (სკოლა იქნება ეს თუ უმაღლესი), დამთავრებული იმით, მერე შეიგნით რა უნდა ასწავლონ.

**ლამა ტულუში** – როცა სამინისტროსგან მოვითხოვ კანონპროექტს ქალაქლზე, მას უფლება არა აქვს, ტელეფონზე დამირეკოს და მითხრას, წადი, ვებსაიტზე მოძებნეო. როდესაც ვლაპარაკობთ კანონის უზენაესობაზე, პირველ რიგში, სამინისტრომ უნდა

დაიცვას ეს კანონი, რომელიც მას ავალდებულებს რაღაცას.

**დავით უსუფაშვილი** – შედარებები როდესაც კეთდება, მაშინ კარგად იყო, ახლა ცუდად არისო, მე ცოტა უხერხულად ვვრძობ ხოლმე თავს. გააჩნია მაშინ რა იყო და ახლა რა არის.

**ლევან რამიშვილი** – სახელმწიფო ორგანიზაციებიდან საჯარო ინფორმაცია იყო უფრო ხელმისაწვდომი. უფრო მეტიც, ადგილი ჰქონდა გაჟონვებს. უფრო ხშირად ელაპარაკებოდნენ სხვადასხვა თანამდებობის პირები ოფიციალურად თუ არაოფიციალურად ჟურნალისტებს. დღეს შეიძლება ამას ნაკლებად აკეთებენ, შეიძლება გაჟონვები ნაკლებად ხდება იმიტომ, რომ ადრე ხელისუფლება რაღაც ფრაქციებად იყო დანაწევრებული, ყველა ერთმანეთს ებრძოდა. რაც შეეხება ოფიციალურ ინფორმაციას, მე მგონი, მაშინაც პრობლემები იყო და დღესაც იგივე პრობლემებია.

**პაატა ვეშაბიძე** – მე ვერ დავეთანხმები ლევანს იმიტომ, რომ ამის მშვენიერი მაგალითია ცვლილებები საარჩევნო კოდექსში ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესთან დაკავშირებით. ეს მოხდა აბსოლუტურად დაფარულად; ნამდვილად კონსპირაციულად იღებდნენ ამ ცვლილებებს.

**ანა დოლიძე** – ახლა რამდენიმე წერილი გვაქვს გაგზავნილი შინაგან

საქმეთა სამინისტროში, რომელზეც პასუხი არ მიგვიღია და არც მივიღებთ. მე თვითონ მაქვს იმედი გადაწყურული, რომ რომელიმე სასამართლომ თავის თავზე აიღოს ამხელა რისკი და დააკისროს ინფორმაციის გაცემა შინაგან საქმეთა სამინისტროს.

**დავით უსუფაშვილი** – როდესაც ვსაუბრობთ, რომ გამჭვირვალობა არასაკმარისია, ეს ბევრი სხვადასხვა პრობლემის შედეგია. მედია რომ თავისუფალი არ არის, ფაქტია. ფაქტია, რომ ნაკლებია მოთხოვნა, ნაკლებად აგრესიულად ეძებ ინფორმაციას. პრობლემა კიდევ ისაა, რომ ხელი-სუფლებას ნაკლებად აღელვებს, რას იტყვის მედია.

**ლევან რამიშვილი** – მეორე პრობლემა ის არის, რომ, დაუშვათ, ადმინისტრაციულმა ორგანომ მიქარა (ყველგან შეიძლება ასეთი რამ მოხდეს), რა ხდება ამის მერე? გვაქვს სასამართლო, მაგრამ საქმე არის უამრავი. ნ თვე რომ გრძელდება სასამართლო, ესეც ფაქტია. სასამართლო ზედამხედველობის გაძლიერებაც აუცილებელია.

**დავით უსუფაშვილი** – კანონის უზენაესობის საკითხი რჩება სერიოზულ პრობლემად, ამაში შეთანხმებული ვართ. როდესაც პრობლემებზე ვსაუბრობთ, აქ იმას კი არ ვჩივით, რატომ არ ვართ შვეიცარია ან ნორვეგია, არამედ იმას, თუ რისი მიღწევა იყო რეალისტურად შესაძ-

ლებელი და არ იქნა მიღწეული. მაგალითად, ის, რომ პრობლემების ღრმა ანალიზი არ ხდება, ერთ წელიწადში გამოსწორებადი პრობლემა არ არის. ამას სჭირდება ადამიანური რესურსი, პროფესიული კადრები. ამას სჭირდება სახელმწიფო სტრუქტურის უკეთ ორგანიზება. სანამ გადაწყვეტილება იქნება მიღებული, რომ ეს საკითხი ასე მოგვარდეს, ამ საკითხის სიღრმისეული შესწავლა და მასზე სათანადო დებატები არ მიმდინარეობს. ვთანხმდებით, რომ არის გრძელვადიანი პრობლემები და არის პრობლემები, რომლებიც უფრო მარტივი მოსაგვარებელი იქნებოდა, მაგრამ არ მოგვარდა. მაგალითად, ავილოთ მედიის თავისუფლების საკითხი. აქაც იკვეთება რამდენიმე პრობლემა: თუ შესაკუთრებებს სხვა ღირებულებითი სისტემა აქვთ, ეს შეიძლება უცებ ვერ მოგვარდეს, მაგრამ მედიაზე კონტროლის გაძლიერების ტენდენციების საკითხი მოგვარებადია, მთავარია, ამის სურვილი იყოს. იგივე შეიძლება ითქვას განათლების სფეროში არსებულ პრობლემებზე. იგულისხმება ზოგადად განათლება, არა მხოლოდ პროფესიული თვალსაზრისით, არამედ სამოქალაქო განათლებაც. როცა ვამბობთ, რომ ღირებულებები იკარგება, დაიკარგა თუ გაფერმკრთალდა, ალბათ მაინც გარკვეულ ელიტებს ვგულისხმობთ, რომლისთვისაც ეს ღირებულებები უფრო მეტს ნიშნავდა და დღეს შეიძლება ნაკლებს ნიშნავს. თორემ მოსახლეობისთვის შე-

იძლება არც არაფერი შეცვლილა. რაღაც ღირებულება რომ გვქონდა, რაღაც წრეში პოპულარული რომ იყო, ეს გააზრებული არც ადრე იყო და არც ახლაა მოსახლეობისთვის. ფაქტია, რომ გარდა ოფიციალური სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემისა, სწორედ სამოქალაქო საზოგადოებას ყველაზე დიდი როლის თამაში შეუძლია ამ ტიპის განათლების პრობლემების მოგვარებაში. არის საკითხები დაკავშირებული ხელისუფლების ძალაუფლების საკითხთან და დეცენტრალიზაციასთან, ანუ კონსტიტუციური პრობლემა, რომელიც თებერვალშივე განჩნდა. ის ადგილზეა, არსად არ წასულა და ამასობაში კიდევ უფრო უკმაყოფილო ვართ იმით, რომ თვითმმართველობის და დეცენტრალიზაციის პრობლემა სტრატეგიულ დონეზე, გააზრების დონეზეც კი მოუგვარებელი რჩება. ალბათ გვაქვს იმის განცდა, რომ ეს არ არის ახალი ხელისუფლების უცოდინრობის, მისი ამ პრობლემის სათანადოდ ვერ შეფასების ბრალი, აქ უფრო სხვა საკითხთან გვაქვს საქმე. ეგრეთ წოდებული ხელისუფლების კონსოლიდაციის ამოცანა, რომელიც გაცხადებული იქნა ხელისუფლების მიერ, შეეხო ამ სფეროსაც და ამიტომ ეს თემა კვლავ დარჩება პრობლემურ თემად, განსაკუთრებით ვერტიკალზე, რადგან ჰორიზონტალზე უკვე დაფიქსირებულია სურათი. იყო ნათქვამი, რომ რეფორმები, რაც გასატარებელია, გარკვეულ წრეებში არაპოპულარულია, მაგრამ რას ვაკეთებთ

იმისათვის, რომ ნაკლებად მტკივნეული იყოს და მეტად პოპულარული გახდეს ეს რეფორმები? ეს საკითხი უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების ტემპს: რაც უფრო სწრაფად ხდება ასეთი გადაწყვეტილების მიღება ისე, რომ ამ რეფორმის პოტენციური მხარდამჭერიც კი არ არის ინფორმირებული სათანადოდ, ცხადია, იზრდება პრობლემის სიმძაფრე. რეფორმა უფრო არაპოპულარული ხდება იმიტომ, რომ არა მხოლოდ ის ხალხია მოწინააღმდეგე ამ რეფორმის, რომელიც რაღაცას კარგავს, არამედ ისიც, ვინც რაღაცას იღებს, მაგრამ ვერ გაურკვევია იღებს თუ არა. აქ განათლების რეფორმა დასახელდა და შეიძლება სხვა სფეროც იქნას დასახელებული. აქაც ჩვენთვის ახლობელი პრობლემაა იმიტომ, რომ რეფორმები პირდაპირ უკავშირდება გარკვეულ ანალიზს, რომელიც ასევე ორივე სექტორისთვის მნიშვნელოვანია. სახეზეა **დემოკრატიული სახელმწიფო ინსტიტუტების** სისუსტე. სასამართლო, როგორც წესი, ხშირად სახელდება ხოლმე როგორც ყველაზე სუსტი ინსტიტუტი. აქაც გასარკვევია, რა არის ამ სისუსტის მიზეზი და მის გასაძლიერებლად დაგეგმილი მცდელობა სინამდვილეში, მას აძლიერებს თუ ასუსტებს. შემდეგ მოდის **პოლიტიკური პლურალიზმის საკითხები**. ითქვა, რომ არა მხოლოდ წმინდა გაგებით პოლიტიკური პლურალიზმია პრობლემა (როდესაც პოლიტიკური ოპოზიცია ან არ არის ან ძალიან

სუსტია), არამედ ზოგადად ივრძობა განსხვავებული კომპეტენტური აზრის დეფიციტი. არასამთავრობების მხრიდან ამ პრობლემას დაერქვა განსხვავებული აზრის დეფიციტი და მედიაში შემოგვაშველა კომპეტენტური აზრის დეფიციტი. ანუ სახეზეა კომპეტენტური, განსხვავებული აზრის დეფიციტი და იმ რესურსის არსაკმარისად ათვისების პრობლემაც, რაც ჯერ კიდევ არსებობს ამ აზრის გასავრცელებლად. და ბოლოს, **გამჭვირვალება**. ამჟამად ვისაუბრეთ, აღარ დავკონკრეტდები, მაგრამ ამ სფეროშიც გვაქვს პრობლემები. პირველ რიგში ალბათ იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ გვეგონა, ახალი ხელისუფლების პირობებში გაცილებით ნაკლები იქნებოდა მოსაპოვებელი ინფორმაციის ოდენობა და მეტი ხელისუფლების მცდელობა, რომ ეს ინფორმაცია ჩვენთვის ცნობილი ყოფილიყო. ინფორმაციის თავისუფლების კონცეფცია არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი მოვიპოვოთ, მაგრამ თავისთავად სურვილი, გააზრება იმისა, რომ ეს ინფორმაცია ხალხის საკუთრებაა და ზომები უნდა იქნას მიღებული, რათა ეს ინფორმაცია გავრცელდეს მოთხოვნის გარეშე, ნაკლებია. ახლა შემდეგი საკითხი: რას ვერ ვაკეთებთ კარგად და სად არის რეზერვი. ჩამოვთვალოთ კონკრეტული პრობლემები და მივანიშნოთ, სად არის გამოსავალი. მაგალითად, მედია კომერციულ ბიზნესად რომ ვერ იქცა, ჩვენი ბრალია (ამ შემთხვევაში ერთი მხარის თუ მეორე მხარის), თუ

ობიექტური პრობლემაა, რომელიც უკავშირდება ზოგადად ეკონომიკურ სიღუფჭორეს. იქნებ ზოგადად ეკონომიკური პრობლემის მოგვარება ან ზოგადად ბიზნეს გარემოს გაჯანსაღება უშველის ამ საქმეს? თუ კიდევ სხვა პრობლემებია? არასამთავრობო სექტორში თუ კადრების სიმცირეა ხელისუფლებაში მათი გადაღინების გამო, მაშინ აქ რას ვერ ვაკეთებთ კარგად? რატომ ვერ ვქმნით ახალ კადრებს? პროფესიონალები არ არიან, თუ ვიღაცები ხელს ვუშლით? შეგვიძლია ვისაუბროთ ცალკე-ცალკე არასამთავრობო სექტორის და მედიის პრობლემებზე და მერე შევეცადოთ გამოვკვეთოთ ის საერთო, რომელზეც შემდგომ შეიძლება ვიმუშავოთ.

**დავით პაიჭაძე** – პირველ სექციაში თქვენი დისკუსიის მოსმენისას მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა ვერ გამოხატეს ის, რაც აღეშინებოდათ. მათგან კონკრეტული მსჯელობა მაკლდა, განსხვავებით პრესის წარმომადგენლებისაგან. მე მაქვს ერთი ასეთი კითხვა არასამთავრობო სექტორთან. ჩემს თავს ყოველთვის მივაკუთვნებდი ამ სექტორს, იმიტომ რომ პათოსით, აზრით და პოზიციებით ახლოს ვიყავი მათთან. ამავდროულად ვმუშაობდი მედიაში და საკუთრივ ენჯიოქტივიობა არ მახასიათებდა. ამიტომაც, არ არის ჩემი კითხვა რიტორიკული. სულაც არ არის ჩემთვის მისი პა-

სუხი გასაგები. ტრადიციულად, საქართველოში არასამთავრობო სექტორის ის ნაწილი აქტიურობდა, ვინც ახლო იყო პოლიტიკურ სექტორთან და მასთან თანამშრომლობდა მეტ-ნაკლები ნაყოფიერებით. რამდენად ნორმალურია ახალ პირობებში ამ ძველი ინერციის გაგრძელება, როდესაც არასამთავრობო სექტორი თავისთავს მხოლოდ პოლიტიკასთან მიმართებით ხედავს, მხოლოდ ხელისუფლების მხედველობიდან გამომდინარე უყურებს თავის მოქმედებებს და აგებს თავის სამოქმედო სტრატეგიას. არის წუხილი, რომ კადრები გადავიდა არასამთავრობო სექტორიდან პოლიტიკურში და ინტელექტუალური რესურსი დაგვაკლდა. მაგრამ თუ პოლიტიკური სექტორიდან ვინმე მივიდა არასამთავრობო სექტორში, ეს მხოლოდ სიცილს იწვევს (მაგალითად ირინა სარიშვილმა რაღაცა ენჯიო დააფუძნა...). მოკლედ, თითქოს არასამთავრობო სექტორი დღეს პოლიტიკაში ხელმოცარული ხალხის თავშესაფარია. ასეთი ხედვაც შეიძლება არსებობდეს. არასამთავრობო სექტორს თუ რამე აღეშინებს, მე ამ მღელვარებას ვერ ვხედავ. საზოგადოებასთან მისი მიმართება, საზოგადოებასთან მუშაობა შეიძლება შეეძლოს და აკეთებდეს კიდევ, მაგრამ ამის ნაყოფი არა ჩანს. გაცილებით კარგად ჩანდა არასამთავრობო სექტორის პოლიტიკურ სექტორთან ურთიერთობის ნაყოფი, ეს იქნებოდა საკანონმდებლო ლობირე-

ბა, რაღაცა საკითხების გატანა და ა.შ., მაგრამ საზოგადოებასთან მუშაობის შედეგი როგორია, ეს არ აღწერილა ისეთივე დამჯერებლობით. და კიდევ ერთი, არასამთავრობო სექტორში ძალიან მცირე ნაწილია, რომელიც ეფუძნება მონაწილეობას ანუ საკუთრივ არასამთავრობო საქმიანობას. პრაქტიკულად, არ არის ასეთი ნაწილი. აქედან გამომდინარე, სხვა საკითხები რომ აღვსვამდეს და გამოხატავდენ ამას ენჯიო სექტორის წარმომადგენლები, ჩვენც პრესის წარმომადგენლები უკეთ მივხვდებოდით, რა უნდათ და სად შეიძლება იყოს ჩვენი შესვლის წერტილები.

**ლევან რამიშვილი** – ახლა აქ რაც ითქვა, ეს პრესისთვისაც თანაბრად დამახასიათებელია. როგორც ძალიან დიდი ნაწილი არასამთავრობო ორგანიზაციებისა მედიაც მოწყვეტილია საზოგადოებას; მედიას თუ გადავხედავთ, ავიღებთ ელემენტარულად გაზეთის ფურცლებს თუ ჩავრთავთ ტელევიზორს, იქ ძირითადად დომინირებენ პოლიტიკოსები. ტელევიზიის შემთხვევაში ამას თავისი ობიექტური მიზეზებიც აქვს. რაღაც ტრადიციების გამოც ხდება ეს. უნდა შევძლოთ ამის დაძლევა. მე, უბრალოდ, მინდა შევეკამათო იმ აზრს, რომ არავინ მუშაობდა საზოგადოებასთან. 2001 წელს, როდესაც რამდენიმე დიდი დემონსტრაცია ჩატარდა ამ ქვეყანაში, გნებავთ, სტუდენტური მოძრაობა, რაც დაიწყო უნი-

ვერსიტეტში, გნებავთ, გიორგი სანაიას გარდაცვალებაზე, გნებავთ, ნოემბერში. არანაირი პოლიტიკური ძალები ამ პროცესებს არ მართავდნენ. ეს იყო სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან საზოგადოების კონკრეტულ ჯგუფებთან, ამ კონკრეტულ შემთხვევებში სტუდენტებთან, მუშაობის შედეგი. რაღაცა დღით შეიძლება სერბეთში „ოტპორი“ უფრო ძლიერი, იყო ვიდრე „კმარა“ საქართველოში, მაგრამ მთლად ჩამოსაწერი მოძრაობაც არ იყო. სწორედ საზოგადოებასთან მუშაობის შედეგი იყო იმ ხალხის მობილჩება და გამოყვანა დემოკრატიის დასაცავად. მე მგონია, რომ სწორედ ამ წარმატებულ მაგალითებზე უნდა ვისწავლოთ. როდესაც ხელისუფლებასთან ლაპარაკს ვცდილობთ, რამდენადაც კონკრეტული ჯგუფებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს დავაყენებთ და რამდენადაც ეს მარტო ჩვენი აკვიატებული აზრი არ იქნება, არამედ საზოგადოებრივი შეკვეთა, უფრო მეტი იქნება შანსი, რომ ნებისმიერ მიმართებაში – ხელისუფლება, მედია, ეკლესია, უნივერსიტეტი თუ ბიზნესი, ჩვენი პოზიციების გატანა შევძლოთ. მოკლედ, მინდა პრესას შევეხებო. ჩემი აზრით, მაშველი რგოლი შეიძლება აღმოჩნდეს სამოქალაქო ჟურნალისტიკა. მალხაზი ამბობდა, რომ მედია ბიზნესად ვერ ჩამოყალიბდება. მხოლოდ კომერციალიზაციაში ამ საფრთხეს ვხედავ. ბოლოს შეიძლებაა ის ტოტი მოიჭრას, რომელზედაც ჩვენ ყველა ერთად ვსხედ-



ვართ, თუ სამოქალაქო ღირებულებები გაუფასურდება ჟურნალისტიკაში. არარეალურია ამოცანად დავისაზრდით, რომ ყველა ჟურნალისტი სამოქალაქო ჟურნალისტიკის პრინციპებით ხელმძღვანელობდეს. იმ ქვეყნებში, სადაც სამოქალაქო ჟურნალისტიკის იდეა დაიბადა, იქაც კი ძალიან დიდი გაქანება ამან ვერ პოვა, მაგრამ განსხვავებით იმ ქვეყნებისგან, ჩვენს ქვეყანაში ამისი საჭიროება გაცილებით უფრო მეტია. პრესა რომ მეოთხე ხელისუფლებად იქცეს, აუცილებელია, ერთხელ კიდევ იქნას გაზრებული მისი ფუნქცია დემოკრატიულ საზოგადოებაში. პრესა თუ დემოკრატიული ინსტიტუტია, რამდენად შეიძლება, რომ მასში დემოკრატიული ფასეულობების მთლიანად ატროფირება მოხდეს. რაღაც ექსპერიმენტირება ამ სფეროში ნამდვილად ღირს და ამას, ჩემი აზრით, საკმაოდ საინტერესო შედეგები ექნება.

**დავით პაიჭაძე** – ის აღწერები, რაც აქ მოვისმინეთ ოფიციალური დოკუმენტების დამალვის შესახებ ერთ ძალიან ცხად და სასარგებლო მინიმუმებს შეიძლება დაეფუძნოს: კრიტიკა ამ ხელისუფლებას ნაკლებად ენალღლება, ვიდრე ფაქტები. თუ რამ აკლია დღევანდელ მედიას, ეს არის სწორედ ფაქტების ენაზე ლაპარაკი. დიდი სიბრძნე არ არის, რასაც მე ვამბობ, მაგრამ ეს არის კრიტიკის, მაპატიეთ და, ფუნებზე დაკიდება. მედიის კრიტიკაზე ნაკლებად რეაგირებს ხელისუფლება, თუ ეს მარტო კრი-

ტიკაა და მარტო შეფასებითი მსჯელობაა, მაგრამ თუ რაღაც ფაქტს ამველებზე მას, რომლის მოპოვება ძნელია (მაგრამ არა შეუძლებელი), მაშინ ცვლილებებიც და რეაქციაც მოსალოდნელია. თუ მედიის წინაშე მდგარ პრობლემებზე მიდგება საქმე, ეს არის ფაქტების ნაკლებობა.

**დავით უსუფაშვილი** – ამ თემაზე, გთხოვთ, ცოტა მეტი ვისაუბროთ. თუ რაღაცას ვერ ვაკეთებთ კარგად, ბუნებრივად წამოიჭრება საკითხი: არის თუ არა სათანადო ფინანსური რესურსი არასამთავრობოებისა და მედიის მხარეს? რატენდენციებია: რესურსი კლებულობს თუ მატულობს? რატომ ვერ ხერხდება მეტის თხოვნა? დათო პაიჭაძემ წამოჭრა საკითხი მესამე სექტორის ხელისუფლებასთან მიმართების შესახებ. ბაკურიანის შეხვედრაზე ეს საკითხი დაისვა როგორც ერთ-ერთი პრობლემა: გვაქვს თუ არა ამის სათანადო საფუძველი, ანუ ვართ თუ არა ხალხთან ახლოს და რას ვაკეთებთ ამისთვის? რა მაგალითებიც აქ იქნა მოყვანილი, მაინც ხელისუფლებასთან მიმართებაზე არის აგებული. იქნებ არასამთავრობო სექტორმა ასე შევხედოთ საკუთარ თავს: რა მომსახურებას ვთავაზობთ ხელისუფლებას თუ საზოგადოებას? ვთქვათ, ხელისუფლებას ვთავაზობთ ოპონირების მომსახურებას, რომელიც გონიერი ხელისუფლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ტიპის მომსახურება შე-

იძლება იყოს. მოსახლეობას რას ვთავაზობთ? ვთქვათ, სამოქალაქო განათლებას, რომელიც, საბოლოო ჯამში, სამოქალაქო აქტივობამდე შეიძლება მივიღეს. მაგრამ არის კიდევ უამრავი სხვა სახის მომსახურება, რომელსაც სხვა ქვეყნებში არასამთავრობო სექტორი უწევს საზოგადოებას. ახლა ჩვენთან არ არიან წარმოდგენილნი სხვა ტიპის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც კონკრეტულ დონეზე რაღაცა საკითხის ორგანიზებას მოახერხებენ: გარემოს დაცვითი ორგანიზაციები, საქველმოქმედო ორგანიზაციები. ამ ტიპის მომსახურება არ არის იმიტომ, რომ არ არის მომხმარებელი. მაგალითად, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საქმიანობის დიდი წილი მოქალაქეთა სატელეფონო მომსახურებასა და იურიდიულ კონსულტაციაზე მოდის, მაგრამ ამის თაობაზე ინფორმაცია მაინცდამაინც არ გადის, ალბათ იმიტომ, რომ ეს შეიძლება ნაკლებად საინტერესოა. მაგრამ საკმარისია ასოციაციამ ხელისუფლებასთან მიმართების საკითხზე განცხადება გააკეთოს ან რაიმე ანგარიში გამოაქვეყნოს, რომ ეს უკვე განსჯის საგანი ხდება.

**მალხაზ რამიშვილი** – რატომ ვერ იქცა მედია ბიზნესად და რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო. ამ წლების განმავლობაში? მე აღვნიშნე, რომ ბეჭდური მედიის ბაზარი იზრდება. ალბათ 90-იან წლებში რამდენიმე-

ჯერ იმატა საერთო ტირაჟებმა და საერთო მოცულობამ. ამავე დროს მცირდება საზოგადოებრივად ორიენტირებული ანუ რამე ღირებულებების მატარებელი გაზეთების გაცილების მოცულობა. ისმის კითხვა: რა ღირებულებების მატარებელია ჩვენი საზოგადოება? ვხედავთ, რომ ჩვენი პრეზიდენტი და ჩვენი ხელისუფლება ორიენტირებულია საზოგადოებრივ აზრზე და მისი სურვილების შესრულება მიაჩნია პრიორიტეტულად: დაიწყო ტერიტორიულ მთლიანობაზე საუბარი, უკანა პლანზე გადავიდა მერების არჩევნები, თვითმმართველობა მთლიანად, სახეზეა ეკლესიის დომინირებული სიტუაცია. ეს უფრო მეტად არის საზოგადოებრივი შეკვეთა დღეს, ვიდრე დემოკრატიული და საზოგადოებრივი ღირებულებები. სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ფაქტია, რომ ყვითელ პრესაზე მოთხოვნა 10-ჯერ მეტია ვიდრე სხვა სახის ინფორმაციაზე. კიდევ ერთი ანგარიშგასაწევი საკითხია ფონდების ეფექტურობა: რა იხარჯება, როგორ იხარჯება. მე მგონი, რიგ შემთხვევაში ჩვენ ვიბრძვით კომერციული წარმატებისთვის და ბაზრის დემონოპოლიზაციისა და დეცენტრალიზაციისათვის. მეტი არაფერი არ კეთდება ამისთვის. არარსებული გაზეთების რეანიმირება და იქ დიდი თანხების ჩადება აფუჭებს ბაზარს. ინფორმაციულ ბრძოლაში დამარცხდა გაზეთი, ავდექით, ჩავდეთ თანხა. მერე ვამბობთ, რომ საქართველოს ამდენი მილიარდით დაეხმარა აშშ ან ევროპის ქვეყ-

ნები, მაგრამ აქედან რამდენი მილიონია წასული მასმედიამზე? ფაქტია, რომ აქ ეფექტურობაზე არის საუბარი. როცა რაღაც აქტივობა ხდება, რაღაც თანხა იხარჯება, სასურველია ისე დაიხარჯოს რომ, კი, ბატონო, ხელი შევეწყოთ, რაც საზოგადოებას საჭიროდ მიიჩნია, მაგრამ ეს ბაზრის დანერგვისკენ არ უნდა იყოს მიმართული. ჯერ ინვესტიციებზე უცხოელ, არაოლიგარქიულ ინვესტორებთან წესიერი საუბარი არ გვქონია. ამას თავისი მიზეზები აქვს. ერთ-ერთი მიზეზი ეს ოლიგარქიული ფაქტორიც არის. მე არ მინდა, რომ მეორე მიზეზი გახდეს დასავლური ფონდების არასწორი აქტივობა საქართველოში. ეს არ უნდა იქცეს ხელისშემშლელ ფაქტორებად იმ ინვესტორისთვის, რომელიც დღეს იქნება თუ ხვალ, შემოვა საქართველოში და იმ მოდერნიზაციას ჩაატარებს პრესაში, რაზეც ლევანი საუბრობდა.

**ანა დოლიძე** – ის, რომ დათო პაიჭაძეს ჰგონია, რომ ჩვენ უფრო მეტად ვმუშაობთ ხელისუფლებასთან თუ ხელისუფლების წინააღმდეგ, იმის ბრალი ხომ არ არის, რაც თქვა ლევანმა დათო პაიჭაძის საყურადღებოდ, მინდა ვიკითხო: იქნებ მედიას აინტერესებს სწორედ ხელისუფლება და პოლიტიკა და ზუსტად ასე წარმოადგენს არასამთავრობო სექტორის საქმიანობას საზოგადოების წინაშე. ჩვენი გამოცდილება, მე მგონი, ამას ადასტურებს. ჩვენ ინფორმაციას სააგენტოებს ვუჭავებით ნებისმიერი სა-

ხის ღონისძიებასთან დაკავშირებით, იქნება ეს ცინებების დათვალიერება თუ შეხვედრა რომელიმე სახელმწიფო მოხელესთან. გამონხმურება მედიისაგან ბევრად უფრო დიდია და მეტად მწვავეა, როდესაც ეს ენება პრესკონფერენციას, სადაც ხდება რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურის მხილება. დანარჩენი რაღაცები (იგივე საზოგადოებასთან ურთიერთობა, საზოგადოების განათლება, სამოქალაქო განათლება) პრესას ნაკლებად აინტერესებს და ამიტომ ცალმხრივად აშუქებს და ცალმხრივ შთაბეჭდილებასაც უქმნის საზოგადოებას ჩვენი მუშაობის შესახებ.

**დავით პაიჭაძე** – სამწუხაროდ, მალხაზი სწორია. ამდენი ფული ჩაიყარა, ამდენი დრო გავიდა და ისევ რაღაც ანბანურ ამბებზე გვიწევს ლაპარაკი. ჟურნალისტებმა არ იციან, როგორ დაიყვანონ საზოგადოებრივ ინტერესამდე ბევრი მოვლენა. ეს პრობლემა კარგად გამოჩნდა საზოგადოებრივი ტელევიზიის შექმნის მცდელობისას. ვამბობთ, რომ ჩამოიყვანეთ უცხოელები (ინგლისელები, განსაკუთრებით) და კიდევ სხვები და ასწავლეთ ჟურნალისტებს, როგორი უნდა იყოს საზოგადოებრივი მაუწყებლობისთვის გამოსადეგი სიუჟეტები. მაგალითად, ბიუჯეტის განხილვა რომ მიდის პარლამენტში, რატომ არ არის ეს მარტო რომან გოცირიძის და ვილაცების საქმე, როგორ უნდა დაიყვანო ეს საზოგადოებამდე. უბრალოდ, ჟურნალისტებმა არ იციან, ეს

როგორ გააკეთონ და ამის სწავლა მედიას, საუბედუროდ, თავიდან უწევს. ლევან რამიშვილმა კარგი ჯარი თქვა ერთ-ერთ წრეში საუბრისას; როგორც შეერთებულმა შტატებმა გაუწია საქართველოს არმიას დახმარება წვრთნისა და აღჭურვის პროგრამით, რაღაცა მსგავსი წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა სჭირდება ქართულ მედიას და სასურველია ეს მოხდეს, განსაკუთრებით, ბრიტანეთის მედიის სპეციალისტთა ხელშეწყობით. მათ იციან ყველაზე კარგად, როგორ უნდა მუშაობდეს მედია, რომ საზოგადოება დაინტერესოს არა მხოლოდ პოლიტიკური პრობლემებით.

**გელა გურგენიძე** – ბევრი პრობლემა იმიტომ არსებობს მედიაში, რომ ფინანსურად არის სუსტი. ფინანსური პრობლემები აქვს არასამთავრობო სექტორსაც, ამასთან, ის არის არასამთავრობო და არა საზოგადოებრივი, ანუ არასამთავრობოა პირდაპირი მნიშვნელობით. ფინანსები ძალიან ბევრს წყვეტს დღევანდელ მსოფლიოში და თვალს ნუ დაეხუჭავთ ამას. მოდით, განვიხილოთ მედიაც, არასამთავრობო სექტორიც, ხელი-სუფლებაც და საზოგადოებაც ერთი დიდი იდეების ბაზრის მოთამაშეებად. ოღონდ ეს ისეთი ბაზარია, სადაც იდეებში ფულს იხდიან. ავიღოთ საქართველო საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ; მაშინ რა იდეები იყიდებოდა? უტრირებულად ვინმარ ამ ტერმინს: იყიდებოდა ეროვნული თავისუფლების და პიროვნების თავისუფ-

ლების იდეები. შემდეგ აღმოჩნდა, რომ პიროვნების თავისუფლების იდეა ეროვნული თავისუფლების იდეის საფანელქვეშ გაიყიდა. როდესაც საქმე საქმეზე მიდგა, აღმოჩნდა, რომ ეროვნული იყიდება და სამოქალაქო უფლებები „დავესკასავით“ გაიყიდა. შეიძლება ვცდები, მაგრამ ჩვენი საზოგადოება არის სამომხმარებლო საზოგადოება. ხვდებიან ჩვენი თანამოქალაქეები, რომ სამშობლო ის ადგილია, სადაც თვითრეალზაცია უნდა მოახდინო? ჩვენში თვითრეალზაცია, ძირითადად, წარმოუდგენიათ მატერი-ალური თვალსაზრისით და პიროვნების თავისუფლება ნაკლებად აღელვებს მომხმარებელს. წარმოიდგინეთ იდეალური გამოცემა არასამთავრობო ორგანიზაციების თვალსაზრისით, რომელიც მხოლოდ სამოქალაქო ინტერესების დასაცავად მუშაობს. კომერციულად როგორ წარმოვიდგენიათ, რა მოუვიდოდა ამ გამოცემას? ყველაფერს სჭირდება მარკეტინგი, არა მარტო კომერციული გაგებით. ხელი-სუფლებას სჭირდება მარკეტინგი და ამას პოლიტექნოლოგია ჰქვია. ბიზნესს სჭირდება მარკეტინგი და ჰქვია სახელდობრ მარკეტინგი. იგივე მარკეტინგი სჭირდება არასამთავრობო სექტორსაც, რაღაცნაირად შეფუთვა, რათა მისი იდეები საზოგადოებამდე მივიდეს. მაგალითისთვის, ადრე ჩვენს უურნალისტს სემინარი ჩაუტარდა ტრეფიკინგთან დაკავშირებით. მე მას ვუთხარი, რომ ტრეფიკინგის საკანონმდებლო პრობლემაზე რომ წეროს, ამაში ფულს არ გადაიხდის, მაგრამ

თუ ამ პრობლემას შეუფუთავ ადამიანური ისტორიებით (დიასახლისები კითხულობენ – ნახე, ნახე რა მომხდარა), ამ შეფუთვით შეიძლება ადვილად შევასყიდოთ. მედია სექტორი არის სრულფასოვანი ბიზნესი, ხოლო მესამე სექტორი არ არის ბიზნესი. ბოლომდე ვეთანხმები ლევანს, რომელიც რელიგიურ ერთგულებას ითხოვს სამოქალაქო იდეებისადმი. იდეებს კი სჭირდება „პრომოუშენი“, და ეს „პრომოუშენი“ მედიასაც სჭირდება. მე ასე ვხედავ, თუ ვცდები და ვინმე გადამარწმუნებს, ძალიან მოხარული დავრჩები.

**ლამა ტულუში** – რამდენიმე საკითხს მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო. დავიწყებ ყველაზე მარტივით. ეს არის განათლება. დიდი ხანია, ერთსა და იმავეს ვამბობ, რომ საქართველოში არ არსებობს ერთი წესიერი სახელმძღვანელოც კი, რომელიც შეძლებისამებრ ახსნის, რა არის ჟურნალისტიკის პროფესია. არაფერს ვამბობ სისტემურ რეფორმაზე, ელემენტარულად წიგნი ხომ შეიძლება ვიღაცამ დააფინანსოს. დავაწერინოთ ქართველ მეცნიერს, თუ ქართველი მეცნიერები არა გვყავს, უცხოელები ჩამოვიყვანოთ, თუ უცხოელი არ არის, მარსიდან ვიპოვოთ ვიღაცა და გააკეთოს ეს ერთი წიგნი, რომელსაც წაიკითხავს ვიღაცა. მეორე სერიოზული საკითხია ოლიგარქიების პრობლემა. კარგად მახსოვს, რომ ნაწილი მედიისა ძალიან მკვეთრად დაუპირისპირდა ზოგიერთ

ოლიგარქს, რომელმაც მედიაში ჩადო ფული, მაგრამ საზოგადოების უდიდესი ნაწილი ამას ძალიან ინდიფერენტულად შეხვდა. პოლიტიკოსებს მოეწონათ კიდეც. ენჯიოების დიდი ნაწილი ამას ძალიან მარტივად უყურებდა და რა მოხდა? მოხდა ის, რომ შემოვიდნენ ესენი, დააფუძნეს აქ ტელევიზიები, გაზეთები და ამის მეშვეობით გააუარესეს ისედაც გაჭირვებული სიტუაცია ჩვენნაირი ტიპის გაზეთებისათვის, გადაიბირეს ჟურნალისტები, მისცეს რამდენჯერმე მეტი ხელფასი, შეიძინეს უკეთესი ქალაქი და შექმნეს ისეთი კონკურენცია, რომელიც საბაზრო პრინციპებში არ ჯდება. მაგალითად, ერთ-ერთი ოლიგარქის მეტსახელი არის „ჩისტილშიკი“, რომელზედაც რუსულ მედიაში წერენ, რომ შეკვეთილი მკვლევარებით იშოვა ფული. ასეთი ადამიანი შემოდის აქ, აფუძნებს გაზეთს და ამას ყველა ძალიან მარტივად უყურებს. არც ენჯიოები არ იღებენ ხმას და არც ხელისუფლება იმიტომ, რომ ხელისუფლებას დაფინანსება სჭირდება. ამ ხალხმა, რომელიც ახლა ხელისუფლებაშია, კარგად გამოართვა ფული ასეთ ადამიანებს არჩევნების დროს და ეს უკანასკნელნი დღეს ძალიან კარგად გრძნობენ თავს. პრობლემები აქვს იმ პატიოსან მედიას, რომელიც ცდილობს პროგრესული იდეები გაატაროს და იცხოვროს, რამდენადაც შესაძლებელია, ამ გარემოში როდესაც ჩვენ ვხუჭავთ თვალს ზოგიერთ ვითომ ბანკირზე, რომელმაც

მთელი საქართველოს ანაბრებით ფული იშოვა, ყველას წაართვა და შემდეგ ტელევიზია შექმნა, აი, ეგ არის ჩვენი პრობლემა. მე ვისურვებდი, რომ ბატონი ვია ნოდია აქ ყოფილიყო. ერთხელ ვიამ თქვა, რომ ჩვენი მთავარი მიმართულება ვეღარ იქნება კორუფცია იმიტომ, რომ ის თაობა და ის ხალხი, რომელიც მოვიდა ხელისუფლებაში, სწორედ ანტიკორუფციული ღონისძიებებით მოვიდნენ. მეორეც, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ დასაჭერები უნდა დავიჭიროთ, რომელიც მოდის ბატონი ლევანისგან, ჩემთვის მისაღებია, მაგრამ როდესაც არსებობს პუბლიკაციები, სვიათაშორის, ფაქტებზე დაყრდნობით, სადაც საუბარია იმაზე, რომ ვიღაცა ლაპარაკობს, რომ დაიჭირეს ადამიანი და ბიუჯეტში შეატანინეს ერთი მილიონი ლარი, ამ დროს 5 მილიონი ლარი რომ ვიღაცა სამართალდამცავების ჯიბეში წავიდა, ამაზე ეს ხალხი ხმას არ იღებს. ასეთი მაგალითები ბევრია. გასაგებია, რომ იმ კაცმა ადრე მოიპარა და დასაჭერია. მთელმა საზოგადოებამ იცის, რომ ეს ესეა და არანაირი შეკითხვაც არ ჩნდება. ვინმემ მოინდომა გამოკვლევა? გასაგებია, რომ ჟურნალისტები ცდილობენ ამას. მე განახებთ ბევრ პუბლიკაციას, სადაც ამ თემაზე არის საუბარი. მე სხვა რამე მიკვირს; ვთქვათ, შენ იგებ, რომ ვიღაცებმა, ვისაც ჩვენ ვიცნობდით ჩვენი წრიდან, აქედან ფული იშოვეს, ამაზე რატომ არ ისმება შეკითხვები. მოლით, ცოტა აქე-

თა მხარესაც შევხედოთ: ისხდნენ ჩვენ გვერდით ადამიანები, რომლებიც ახლა მოვიდნენ ხელისუფლებაში ანტიკორუფციული, დემოკრატიის და სიტყვის თავისუფლების ღონისძიებებით და პირველივე ნაბიჯი გადადგეს იქითგან, რომ მაქსიმალურად შეზღუდონ სიტყვის თავისუფლება, ცდილობენ ჩაერიონ მედიის საქმიანობაში და რაც შეიძლება მეტი ფული იშოვონ. აი, ეს არის რეალობა. როდესაც რაღაცა იწერება, საზოგადოებამ არ იცის, ვის რაში სჭირდება ამ ტიპის ინფორმაცია. ისეთი საკითხები, რაზედაც ახლა ვსაუბრობდით, მას ნაკლებად აინტერესებს. ამიტომ საზოგადოების დიდი ნაწილი ორიენტირებულია სკანდალებზე, ყვითელ პრესაზე; მან იცის, რომ ეს გულის მოფხანაა და ამით ერთობა; მაინც სერიოზულ ინფორმაციას ვერ იყენებს.

**ლევან ხარატიშვილი** – ერთ-ერთი პრობლემა არის ერთსულოვნების პრობლემა. ხშირ შემთხვევაში არ არის დანახული პრობლემა, ან თუ არის, არ ხდება რეაგირება, ან ხდება არასწორი რეაგირება პრობლემაზე. ისმის კითხვა, რამდენად არის სასარგებლო ინფორმაცია, რომელსაც საზოგადოება იღებს? ჩვენ ვიცით, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია შექმნილია იმისათვის, რომ დაიცვას საზოგადოებრივი ინტერესები. მედია საშუალება, ტელევიზია იქნება თუ ნებისმიერი სხვა, არის ის მექანიზმი, რომელიც საზოგადოებრი-

ვი ინტერესების დაცვას ემსახურება, ანუ აწვდის საზოგადოებას იმ ინფორმაციას, რომელიც არის მისთვის მნიშვნელოვანი. შემდეგ საზოგადოება, იქიდან გამომდინარე, რამდენადაა ის აქტიური, მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რეაგირებს მიღებულ ინფორმაციაზე. პატარა მაგალითს მოგიყვანთ. არ ვიცი, რამდენად კორექტულია შედარება პოლონეთის მაგალითთან, მაგრამ იქ ნებისმიერი პრობლემის გადაჭრაში, რომელიც საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია (სოციალური და სხვა ასეთი მნიშვნელობის პრობლემები), როდესაც იგი ინიცირებულია სამოქალაქო სექტორის ან მასმედიის მხრიდან, ბიზნესიც ძალიან აქტიურ მონაწილეობას იღებს. ნებისმიერი სოციალური რეკლამა, რომელიც ტელევიზიაში გადის, არის აბსოლუტურად უფასო. ჩვენს მიზანს წარმოადგენს საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმის კეთება. თუ ჩვენ ამას მერკანტილურ ხასიათს მივცემთ, არ უნდა დავივიწყოთ ის მიზანი, რომელიც ამოძრავებს ყველა ამ სფეროს.

**ლევან ავალიშვილი** – ჩვენი ორგანიზაცია მუშაობს სათანადო ჯგუფების შექმნაზე რეგიონებში, მაგრამ ეს ინფორმაცია არ არის ისეთი პროდუქტი, რომელსაც იყიდის და გააშუქებს მედია. როდესაც ტელევიზიის ეთერში ნახევარი საათი, 45 წუთი ეთმობა უკრაინის ამბებს, სოციალური პრობლემების გაშუქებას ეთმობა 5-10 წუთი. ასეთ შემთხვევაში,

რაგინდ, დიდი მარკეტინგიც არ გავუკეთოთ საგარეჯოს რაიონში სათემო ჯგუფების შექმნას, ამას არავინ იყიდის. აქ აღნიშნეს, რომ მედიის და არასამთავრობოების მთავარი ამოცანაა დაიცვას საზოგადოების ინტერესები. მე არა მგონია, რომ ეს ერთადერთი ამოცანა იყოს. მთავარი ამოცანა უნდა იყოს ხელი შეეწყოს ისეთი საზოგადოების ფორმირებას, რომელიც თავად დაიცავს თავის ინტერესებს. ამის მრავალი მექანიზმი არსებობს (იგივე პროფესიული კავშირები, პროფესიული ასოციაციები და ა.შ.). ჟურნალისტების პროფკავშირებზეც იგივე შეიძლება ვთქვათ. უნივერსიტეტი ავიღოთ თუნდაც; აკადემიურმა წრეებმა განათლების რეფორმასთან დაკავშირებით საერთო პოზიცია ვერ ჩამოაყალიბეს, იმიტომ რომ არა აქვთ ორგანიზაცია, რომელიც დაიცავდა მათ ინტერესებს.

**რამაზ აფციაური** – ბევრი ვისაუბრეთ დაკვეთილ სტატეიებზე, სკანდალურ ჟურნალისტთაგან, ყვითელ მედიანზე... რატომ ხდება, ვის აწყობს, ვის არ აწყობს. ჩემი აზრით, ეს არ არის არც პროფესიონალიზმის და არც არაპროფესიონალიზმის ბრალი. ეს არ არის არასამთავრობოების ბრალი. ვერც ხელისუფლებას ვერ დააბრალებ ამას. უბრალოდ, ასეთია მოთხოვნა ბაზარზე. სამწუხაროდ, სამოქალაქო საზოგადოება ვერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაშია ამდენი წლის განმავლობაში ბევრი ორგანიზაციის დაუღალავი შრომის მი-

უხედავად. ასეთი ინტერესები მოდის საზოგადოებიდან და ამიტომ არის, რომ უფრო მეტი მოთხოვნილება არის ყვითელ პრესაზე, ვიდრე კარგად გააზრებულ სტატიებზე. საზოგადოება უფრო ეძალება იმას, რადგან უკეთ ესმის ის ენა, რომელზეც ყვითელი მედიის წარმომადგენლები საუბრობენ. ეს არის პრობლემა, რომელზეც შეიძლება ერთად მუშაობდეს არასამთავრობო სექტორი, მედია, ხელისუფლებაც, რათა ხელი შეეწყოს გარკვეული პრინციპების მაქსიმალურად გავრცელებას საზოგადოებაში. მარიოტის შეხვედრაზე შალვა რამიშვილი ამბობდა, მედია ბიზნესიაო, ასეთი დაკვეთა მომდის და ამიტომ ვაკეთებ ამასო. იყო მეორე მოსაზრებაც, რომ მედია ბიზნესი კი არის, მაგრამ მას მეორე მხარეც აქვს, გარკვეული სოციალური პასუხისმგებლობაც აკისრია, მათ შორის, სამოქალაქო განათლებაზე. თუ მედიის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ ეს ასეა და ეს პასუხისმგებლობა ნამდვილად აკისრია მედიას, მე ვფიქრობ, რომ ზუსტად აქ შეიძლება ეფექტური თანამშრომლობა მედიასა და არასამთავრობო სექტორს შორის. თითოეული მედია კომპანია აიღებს პასუხისმგებლობას იმაზე, რომ ეს მათთვის საინტერესო სფეროა, მაგრამ სჭირდება გარკვეული ხელშეწყობა. არავის წარმოუდგენია, რომ ჰაერიდან მოდის ქაღალდი, ჟურნალისტების ხელფასი და ასე შემდეგ. შეიძლება ცუდი მაგალითია, მაგრამ როგორც კი ლაპარაკი იწყება სოციალურ რეკლამაზე, იმ წუთ-

შივე წყდება ხოლმე კონსტრუქციული თანამშრომლობა მედიის წარმომადგენლების მხრიდან. ჩემი შეკითხვა იქნებოდა მედიის წარმომადგენლებთან: თქვენი აზრით, ბიზნესის გარდა კიდევ სხვა რამე არის მედია? თუ ასე მიგაჩნიათ, მაშინ იქნებ ამ მიმართულებით გაგვეგრძელებინა საუბარი. მოიძებნებოდა ბევრი საერთო ინტერესი საიმისოდ, რომ ამ ორ სექტორს ეფექტურად ეთანამშრომლა.

**ლევან რამიშვილი** – სამოქალაქო ჟურნალისტიკა სულაც არ ნიშნავს რაიმე იდეოლოგიზირებულ საქმიანობას. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ პრესა მოქალაქეზე უნდა იყოს ორიენტირებული და რაღაცა პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს საკუთარ საქმიანობას და არაფერს სხვას. რაც დათო პაიჭაძემ თქვა, არასამთავრობო ორგანიზაციები უფრო ხელისუფლებაზე არიან ორიენტირებული, უფრო ადრე თქვა ილია ჭავჭავაძემ საქართველოს ისტორიაზე, რომ ეს მეფეების ისტორიააო. რომ გადავხედოთ, რა არის ძირითადად პრესაში, სულ ერთსა და იმავე სახეებს ვუყურებთ. ბიუჯეტის საკითხი გვანტერესებს – ვუსმენთ, რა თქვა რომან გოცირიძემ, რა თქვა ლადო პაპავამ, კიდევ ვიღაცა ერთმანეთსა და რაღაცა ოპოზიციიდან. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გამოვიდეს ნივთიერება მთელი და განცხადება გააკეთოს, რომ ის არ ჯდება რაღაც იდეოლოგიურ ფარგლებში. ამ დროს სამოქალაქო ჟურნალ-



ლისტიკა სულ სხვა რამეს გულისხმობს. პირადად მე არც ერთ გაზეთს არ ვკითხულობ, ვერ ვუყურებ ვერც ერთ საინფორმაციო გამოშვებას იმიტომ, რომ იქიდან ჩემთვის ღირებულს ვერ ვგებულობ. საზოგადოებას აინტერესებს ბიუჯეტი, ოღონდ სხვანაირად მიტანილი მოქალაქამდე, ისე, როგორც მას ეხება ეს პრობლემა და არა ისე, როგორც ვიღაცა ექსპერტს ან პოლიტიკოსს ესმის ეს. პრობლემა იმაშია, რომ საზოგადოება, ვისთვისაც არასამთავრობო სექტორი უნდა მუშაობდეს და ვისთვისაც ეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უნდა არსებობდეს, თამაშარეთ არის დატოვებული. რაც შეეხება გამოძიებით ჟურნალიტიკას, ამდენს ვლავარაკობთ, რომ პრესის თავისუფლება იწოდება და ერთი ჟურნალისტი როგორ ვერ გამოიძებნა ამდენი ხნის განმავლობაში, რომ პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, რომელიმე მინისტრს ან დეპუტატს პრესკონფერენციაზე, კითხვა დაუსვას ამასთან დაკავშირებით. პრეზიდენტმა და ნებისმიერმა ვიღაცამ შეიძლება მისცეს ექსკლუზიური ინტერვიუ ვიღაცას, მაგრამ ყოველთვის არსებობს იმისი შესაძლებლობა, რომ ასეთი კითხვები დაისვას. ჰელმუტ კოლი, სანამ კანცლერი იყო, და დღესაც, „შპიგელს“ არ აძლევს ინტერვიუს, არ უნდა და არ ელაპარაკება მას. მერე რა მოხდა. ის, რომ კითხვის დასმის შესაძლებლობა არ არსებობს, არის ტყუილი, უბრალოდ, ამას არავინ აკეთებს.

ლამა, რომ ამბობდა, რატომ არავინ არ ინტერესდებაო, იმას ჰგავს შევარდნაძე რომ ამბობდა, პატრონი არ ჰყავს ამ ქვეყანასო. იქამდე ამ განცხადებებს აკეთებდა მუჟანაძე. ის თვითონ ჟურნალისტებმა უნდა გააკეთონ.

**ლამა ტულუში** – მე მაქვს მოთხოვნა შენთან და თქვენი სექტორის წარმომადგენლებთან, რომ მთავრობას დაუსვათ კითხვა იმაზე, რომ ის ზღუდავს სიტყვის თავისუფლებას; განცხადება ჩვენთანაც იყო გაზეთში, კითხვაც დავუსვით, „24 საათშიც“ იყო, ხელიც მოვაწერეთ ...

**მალხაზ რამიშვილი** – იდეალურიაო, რომ ვთქვათ, ჩვენი პუბლიკაციები, სისულელეა. ზოგი რამ სიზარმაცის გამო, ზოგი ობიექტური მიზეზების გამო, არ კეთდება. არის კიდევ სოციალური ჟურნალისტიკა – ხალხის ისტორიასთან, მის კონკრეტულ ტყავთან უნდა იყოს დაკავშირებული ბიუჯეტის განხილვა. არაპროფესიონალიზმი, კინი დაფინანსება ჟურნალისტიკაზე პოეებს ასახვას და მის დონეს აქვეითებს.

**პატა ვეშაპიძე** – საზოგადოებრივი ჟურნალისტიკის თემას გავაგრძელებ. ჩვენ ყოველკვირეულად გვაქვს საბიუჯეტო მონიტორინგი. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან ერთად ვაკეთებთ ამ მონიტორინგს. ძალიან საინტერესოა, მაგრამ მე ვერ ვიტყვი, რომ ამაზე მოთხოვ-

ნილება ძალიან დიდია მედია ბაზარზე. ასევე გვაქვს ენერჯო მონიტორინგი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან ერთად სამოქალაქო განათლების სფეროში. ამასაც ვაკეთებთ ყოველ კვირა, თითო გვერდით. მე მგონია, რომ მედია ყველა ქვეყანაში ეს სპეციფიკური ბიზნესია და ეს არ არის ბიზნესი წმინდა სახით, ეს არ არის შამპანურის ჩამოსხმა. გაზეთის გამოშვებას საზოგადოებრივი პასუხისმგებლობაც აქვს და საზოგადოებრივი დატვირთვაც გააჩნია. საქართველოში მედია დღეს არ არის, არ არის იმიტომ, რომ ჩვენ ორიენტირებული ვართ გაზეთის ტირაჟის გაყიდვაზე. მსოფლიო მედია კი ორიენტირებულია გაზეთის ფართის გაყიდვაზე. ესაა მისი მთავარი შემოსავალი. ჩვენ ამ ფართის მყიდველი არა გვყავს. მთლიანად ჩვენი სარეკლამო ბაზარი 20-ჯერ უფრო პატარაა, ვიდრე, ვთქვათ, ჩელიაბინსკის ოლქისა. იქ 200 მილიონი დოლარია, აქ მხოლოდ 10 მილიონია მთელი ბაზარი. ასე რომ, მედია ჩვენში ბიზნესი ჯერ არ არის. ის ბიზნესი გახდება მაშინ, როდესაც ჩვენ საგაზეთო ფართის 70%-ს ვაკვიდით და კვოტას დავგვიწესებს პარლამენტი, რომ მეტი აღარ ვაკვიდით, ამოვივიდათ ყელშიო. ამიტომ დღეს მედიის საზოგადოებრივ დატვირთვაზე გვიხდება უფრო მეტად ლაპარაკი. ჩვენ და სავალალოდ, თავის გადარჩენაზე ფიქრობს ის, ვინც არაოლიგარქიულ ფულზეა დამოკიდებული. მე ვფიქრობ, ჯობდა, მედიის საზოგადოებრივ

დატვირთვაზე გვემსჯელა, ვიდრე ბიზნესზე იმიტომ, რომ ბიზნესამდე დღეს შორსა ვართ. უცხოური დონორებისა და არასამთავრობოების წყალობით დღეს საქართველოში რეგიონული მედია ძალიან კარგ დონეზეა. კონკურენციაც გაჩნდა გარკვეულ ქალაქებში. მე შემიძლია ქალაქებიც ჩამოვთვალო. რეგიონულ მედიას უფრო მეტი ყურადღება სჭირდება ენჯიოებისგან. შესაძლოა იქაც პროექტები ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ და ეკონომისტთა ასოციაციამ განახორციელონ რეგიონული ფილიალების საშუალებით. იქ 10-ჯერ და 20-ჯერ უარესი მდგომარეობაა სამოქალაქო თავისუფლების თვალსაზრისით, ვიდრე აქ, თბილისში. ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ სამოქალაქო აქტივობებს და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას რეგიონებში. ამის გარეშე თბილისი მთლად რომ სან-ფრანცისკოდ იქცეს და ნიუ-იორკად, ქვეყანას არაფერი ეშველება.

**ლიკა ჩახუნაშვილი** – მინდა ინფორმაცია მოგაწოდოთ. IREX-მა დაიწყო თუ არა მუშაობა ორი წლის წინ, ჩვენ ძალიან კარგად ვაცნობიერებდით, რომ ძალიან დიდი პრობლემებია ჟურნალისტური განათლების სფეროში და სახეზეა სახელმძღვანელოების ნაკლებობა. ორი წლის წინ, ჩვენი საქმიანობის დაწყების პირველივე თვეებში, ჩვენ გამოვაცხადეთ ორი კონკურსი. ინდივიდუალური გრანტები იყო ავტორებისთვის

ვის ან ავტორთა ჯგუფისთვის, ვინც იმუშავებდა სახელმძღვანელოებზე ჟურნალისტიკასთან და მის მომიჯნავე სპეციალობასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, შემოვიდა ძალიან სუსტი განაცხადები. ეს განაცხადები ჩვენს ოფისშია, თუ ვინმე დაინტერესდება, შეგვიძლია გაჩვენოთ. ორივე კონკურსში გაიმარჯვა ავტორთა ჯგუფმა, რომლებმაც შემოგვთავაზეს, რომ დაწერდნენ სახელმძღვანელოს მედიის სამართლის სფეროში. 4 ასეთი სახელმძღვანელო იწერება, ერთი უკვე გამოიცა, ორტომეული დღე-დღეზე გამოვა და ერთი სახელმძღვანელო ვფიქრობთ, რომ ზაფხულში დასრულდება. წელს თავისუფლების ინსტიტუტთან ერთად შევარჩიეთ და მოვაშზადეთ 6 პედაგოგი. ესენი არიან პრაქტიკოსი იურისტები, რომლებიც მედიის სამართალზე მუშაობენ. მედიის სამართალი ისწავლება 3 უმაღლეს სასწავლებელში. მომავალი სემესტრიდან იქნება კიდევ 6 უმაღლესი სასწავლებელი (4 თბილისში, 2 რეგიონებში). ჩვენ მოვაშზადეთ სახელმძღვანელოები, პედაგოგები. იმედი გვაქვს, რომ როდესაც ჩვენი პროგრამა დასრულდება, ეს სახელმძღვანელოები, საკურსო მასალები დარჩება და პედაგოგები გააგრძელებენ მუშაობას. გარდა აკადემიური გამოცემებისა, ამჟამად თარგმნის პროცესშია სამი ბროშურისგან შედგარი სახელმძღვანელო, რომელიც ენება ისევ საგაზეთო მენეჯმენტს, აქ არის ლაპარაკი ისევ სარეკლამო საკითხებზე, საგაზეთო

კვლევებზე, ფინანსებსა და გავრცელებასზე. ეს არის ერთგვარად შეჯამებული ვერსია მათთვის, ვინც ვერ შეძლებს რეპოვას უზარმაზარი სახელმძღვანელოს წაკითხვას. ასეთი რამ არ არსებობდა სამი წლის წინ, მაგრამ ესეც გაკეთდა. შემდეგ დაიგეგმა განახლებული ვერსიის გამოცემა. ჩვენ ფინანსურად მზად ვიყავით ამისთვის. სამწუხაროდ, ამ საქმისთვის ვერავინ მოიცალა. რაც შეეხება ჟურნალისტურ განათლებას; დავიწყეთ მუშაობა პედაგოგებთან საქართველოს იმ უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც კი ჟურნალისტიკა ისწავლება (თუნდაც ერთი კურსი). ჩაკატარეთ ტრენინგები, ვასწავლეთ სილაბუსების შედგენა და ა.შ.. გარკვეულ შედეგებს მივალწიეთ, მაგრამ უფრო ფორმის, ვიდრე შინაარსის თვალსაზრისით. ახლახანს ისევ ჩაკატარეთ გრანტიების კონკურსი, მაგრამ 6 გრანტიდან, რომელიც ამისთვის გამოკვავით, ერთზე მეტის დამტკიცება ვერ შეეძლებოდა: განაცხადები უაღრესად სუსტი იყო. გადავწყვიტეთ, ამ მიმართულებით ვიმუშავოთ განათლების სისტემის საერთო რეფორმის კონტექსტში. სამოქალაქო ჟურნალისტიკაზე ძალიან მოკლედ გეტყვით. ჩემი აზრით, ჟურნალისტიკასა და სამოქალაქო ჟურნალისტიკას შორის განსხვავება არ არის. ძალიან რომ დავწუროთ სამოქალაქო ჟურნალისტიკის არსი, ეს ნიშნავს საზოგადოების მოსმენას და გამოკვეთილი პრობლემების მედიით გაშუქებას და ტირაფირებას. ეს არის

ინტელექტუალური დებატების საგანი ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე 12 წელია, თუმცა, ჯერჯერობით საერთო პოზიციები არც იქაა შეჯერებული.

**დავით უსუფაშვილი** – ვინაიდან ვისაუბრეთ მედიის პრობლემებზე, უკვე უნდა გადავიდეთ არასამთავრობო ორგანიზაციების წინაშე მდგარ პრობლემატურ თემებზე. თუმცა, თუ რომელიმე თქვენგანს მედიაზე გსურდათ საუბარი, ჩვენ მოგისმენთ.

**ირინა ცინცაძე** – ინგმარ ბერგმანმა ერთხელ თქვა, რომ კინო ეს არის მარტივი სიტყვებით ნათქვამი ძალიან რთული საკითხიო. ჩვენს შემთხვევაში რთული საკითხი, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, არის სამოქალაქო განათლება და დემოკრატიული სახელმწიფოს შენება და ამ პროცესში მთავარი მონაწილე არის საზოგადოება. აქ წარმოდგენილმა ორივე აქტორმა, კერძოდ, მესამე სექტორმა და მასმედია, სწორედ საზოგადოებას უნდა განუმარტოს რთული პრობლემა მარტივი სიტყვებით. სამწუხაროდ, ვერც არასამთავრობო სექტორი და ვერც მედია ამას ვერ ახერხებს. ისინი რთულ პრობლემას აღწერენ რთული ტერმინებით, რომელიც ხშირად საზოგადოებისთვის გაუგებარია. აქედან გამომდინარე, საზოგადოება, როგორც მოკავშირე, ამ პრობლემის გადაწყვეტაში ხშირად განზე რჩება. მაგალითებით რომ ვისაუბროთ, ძალიან მარ-

ტივი იყო 100.000 ადამიანის გამოყვანა რუსთაველზე იმიტომ, რომ მარტივი სიტყვებით გააგებინეს მას, რა იყო საჭირო იმ მომენტისთვის. სამწუხაროდ, თუნდაც ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხთან დაკავშირებით, ასეთი მარტივი მესოჯის გაგზავნა პრაქტიკულად ვერ მოხერხდა. ეს პირველ რიგში არასამთავრობოების პრობლემაა, ვინაიდან ამ შემთხვევაში მასმედია მედიატორია საზოგადოებასა და არასამთავრობებს შორის. მინდა დავეთანხმო ბატონ გელას, ამ შემთხვევაში შესაძლებელია მარტივი სიტყვებით ნათქვამი ისტორია ბევრად უფრო ადვილი გასაყიდი იყოს. მე არ მინახავს არც ერთი ენჯიო-ს წარმომადგენლი, რომელსაც მარტივი ენით მოუყოლია, დავუშვათ, ხონის მცხოვრებლებისთვის, რატომ იქნებოდა ფინანსური დეცენტრალიზაცია მათთვის მომგებიანი. ბევრი უცხო სიტყვით მანიპულირება არ არის პროფესიონალიზმის მაჩვენებელი, სამწუხაროდ, ხშირად ეს არაპროფესიონალიზმის მაჩვენებელია.

**სოსო გალუშაშვილი** – მინდა ძალიან მოკლედ გავცე პასუხი წინა სესიაზე დასმულ კითხვას: რას ვერ ვაკეთებთ კარგად. კარგად ვიცნობ პრესას იმიტომ, რომ დიდი ხნის განმავლობაში იქ ვმუშაობდი. ამასთან, დაახლოებით ორი წელია ვმუშაობ არასამთავრობო სექტორის პრობლემებზე. რას ვერ ვაკეთებთ კარგად? ამ სექტორის ურთიერთობაში არის

ის, რომ ვერ ვთანამშრომლობთ. ორივე მხარეს უნდა თანამშრომლობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ნაბიჯები ერთიმეორისკენ არ იდგმება. როგორც მედიის წარმომადგენელი ვიტყვი, რომ პრობლემები აქვთ არასამთავრობოებს, პრესა კი ღიაა თანამშრომლობისთვის. შემიძლია მოგიყვებო, რაც მოხდა ბოლო დროს „24 საათთან“. ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას აქვს პროექტი, რომლის ერთ-ერთი მიმართულებაა იმ კანონმდებლობის ექსპერტისა, რომელიც პარლამენტში ჯერ კიდევ განხილვის სტადიაშია. პრესის მხრიდან მაქსიმალური შეღავათებით მოხდა ყველაფრის გაკეთება, რაკი საზოგადოებრივად საინტერესო პროექტი იყო. ანა დოლიძე გვეუბნება, რომ როცა ზნა შენგელის ამოუუჩხრიკეთ რაღაცეები, პრესამ გააშუქა ეს ყველაფერი, და როდესაც სხვა საკითხებზე ჩავატარეთ პრესკონფერენცია, არავინ მოვიდაო. რატომ მოხდა ეს? უბრალოდ, არ ვიცით ის საჭიროებები, რომელიც არსებობს პრესაში. როდესაც იწყებოდა პროექტზე მუშაობა, ხომ შეიძლებოდა პრესასთან მაშინ დაეწყო თანამშრომლობა და არა სადღაც შუა გზაზე. მე ახლა უკვე ანას არ ვგულისხმობ. განრიგს რომ ჩახედავ, ჩემი პრესკონფერენციის დროც მოვიდაო და მერე ეძახი სათანამშრომლოდ მედიას, როდესაც უკვე დაახლოებით ერთი წელი გასულია და აღარავის ახსოვს ეს პროექტი. რომ მიხვიდეთ, ვთქვათ, გელა გურგენიძესთან, გაიგებთ, რომ

ის ასეთ პრესკონფერენციებზე არ უშვებს თავის კორესპონდენტს. და მართალიცაა, რადგან ტელევიზია, რა თქმა უნდა, დაგასწრებს ინფორმაციის გაშვებას. თუ გელა უშვებს ჟურნალისტს, იმ მიზნით უშვებს, რომ იქ აკრეფილი ინფორმაცია შემდეგ ანალიტიკაში გამოიყენოს. აქ სახეზეა ორი პრობლემა: პირველი, არ იდგმება ნაბიჯები ურთიერთთანამშრომლობისკენ და მეორე, სექტორები ერთმანეთს არ იცნობენ კარგად. საქმე, რომელსაც ემსახურება მესამე სექტორი, ძალიან მრავალფეროვანია. მისი სერვისების შესახებ, სინამდვილეში, არავინ არაფერი იცის. მხედველობაში მყავს გამოცემლები, რედაქტორები, ტელევიზიის დირექტორები, რომლებიც ვერ ფლობენ შესაბამის ინფორმაციას. ცალკე პრობლემაა დონორთა მუშაობა. პირადად ჩემთვის ძალზე მტკივნეული საკითხია, თუ როგორ მუშაობენ თუნდაც USAID-ის კონტრაქტორები PR-ის კუთხით. ბევრ ორგანიზაციას გააჩნია 12, 13, 15 მილიონი დოლარი პროექტების განსახორციელებლად და ამ დროს კომუნიკაციაში არ უღვევთ პრესასთან, საზოგადოებასთან ურთიერთობა. ეს ცოტა გასაკვირია, რადგან თვითონ ამერიკული კომპანიების დაბანდების 10-დან 15 %-მდე მხოლოდ PR-ში და რეკლამაში იღება. აქედან დასკვნა, ის საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც მართლა საინტერესო პროექტებს ახორციელებენ, საჭიროებენ მედიასთან კიდევ უფრო დაახლოებას.

**ლიკა ჩახუნაშვილი** – სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ადრე იყო გადაღებული არასწორი ნაბიჯები და ჩვენ თვითონაც მოგვიწია ფორს-მაჟორში მუშაობა, რომ გამოგვესწორებინა სხვისი გაფუჭებული საქმე. მიინდა ვითხრათ, რომ ის ორგანიზაციები, რომლებიც მედიის განვითარების საკითხებზე მუშაობენ ამჟამად საქართველოში, ერთმანეთს პერიოდულად ვხვდებით. 10 დეკემბერს ვაწყობთ კონფერენციას, სადაც შევეცდებით ერთმანეთს გავაცნოთ ჩვენი გეგმები, სტრატეგია და ხედვა; მაქსიმალურად ვეცდებით, რომ ჩვენი მოქმედებები ერთმანეთს ხელს არ უშლიდეს და არ მუშაობდეს სექტორის საწინააღმდეგოდ. საერთოდ, როდესაც ფართომასშტაბიანი ინიციატივა იქნება ინიცირებული დონორების მიერ, მას ყოველთვის წინ უნდა უძღოდეს ბაზრის საფუძვლიანი კვლევა.

**რამაზ აფციაური** – კარგი იქნებოდა შევთანხმებულიყავით, გვაქვს საერთო მიზანები თუ არა. არასამთავრობო სექტორისათვის საქმიანობა გარკვეულწილად საზოგადოებრივი სარგებელია, რომელიც, საბოლოო ჯამში, საზოგადოებისათვის განკუთვნილი უნდა იყოს. თუ მედიისთვისაც ესაა მიზანი, მაშინ შეგვიძლია ჩვენი შეხვედრის შემდეგ ეტაპზე გადავიდეთ. ჩემში შეუფოთება გამოიწვია მარიოტის შეხვედრაზე გამოთქმულმა აზრმა, რომ მედია არის მხოლოდ ბიზნესი. ჯერ ერთი, მედია არის საქართველოში სერიოზული ბიზნესი

დიდი ხანი ვერ იქნება (ყოველ შემთხვევაში სერიოზული შემოსავლის წყარო). თუ ეს არის მხოლოდ ბიზნესი, ამ შემთხვევაში ცხადია, რომ ყველა მედია კომპანიის ორიენტირი ალებული იქნება იქითკენ, რასაც უფრო მეტად მოითხოვს ფართო საზოგადოება (გართობა, სკანდალები და ა.შ.) და რაც შეიძლება აბსოლუტურად არ ემთხვეოდეს არასამთავრობო ორგანიზაციების ინტერესებს. შეიძლება მედიისთვის უფრო მომგებიანი იყოს მის ფუცლებზე იბეჭდბოდეს პრეზიდენტის სურათი იმიტომ, რომ მაღალი რეიტინგი აქვს, ვიდრე რომელიღაც არასამთავრობო ორგანიზაცია აკრიტიკებდეს იმავე პრეზიდენტს. თუ ვთანხმდებით იმაზე, რომ თქვენთვისაც და ჩვენთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია მივაღწიოთ გარკვეულ ცვლილებებს საზოგადოებაში, ამ შემთხვევაში, მგონი, ძალიან სასარგებლო თანამშრომლობა შეიძლება გამოგვივიდეს. ვეთანხმები სოსოს, რომ ტექნოლოგიები ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ, თუ თემა არის არასაინტერესო ფართო საზოგადოებისთვის, და მას რაღაც საგანმანათლებლო დანიშნულებაა აქვს, როგორც წესი, მედია ამას არ აშუქებს ან აშუქებს ძალიან ნაკლებად. არავინ ისე არ გაიგოს, რომ მე იმის მომხრე ვარ, თითქოს არასამთავრობო ორგანიზაციის ყველა ჩქამი მაქსიმალურად უნდა PR-დებოდეს. არის მიმართულებები, რომლებიც საჭიროებს საზოგადოების წინაშე გამოტანას და არის არასამთავრობო ორგანიზაციე-

ბი, რომლებსაც არ სჭირდება, მათ შესახებ იცოდეს ერთმა მილიონმა ადამიანმა. სამოქალაქო ინტერესების დაცვის სფეროში რაც შეიძლება მოექცეს, აი, ის თემები მართლა საჭიროებს ათასობით და მილიონობით ადამიანის ინფორმირებას.

**სოსო გალუმაშვილი** – ჩვენი სამიზნე აუდიტორია დღეს არის ხელისუფლება და ყველამ დავივიწყეთ, ვინაა სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის ყველაზე დიდი სამიზნე – საზოგადოება. მახსოვს ადამიანებს, რომლებიც ზუგდიდის ციხიდან გაათავისუფლეს, დახვდნენ უშიშროების თანამშრომლები და ისევ დაიჭირეს. ეს უნდა ყოფილიყო განგაშის სიგნალი თითოეული ჩვენგანისთვის, მაგრამ ხმა არავის ამოუღია.

**ლევან რამიშვილი** – მთლად ისეც არ არის, რომ ჩვენ აქტივობას შედეგები არ მოაქვს. კამპანიამ უკანონო დაკავებებთან დაკავშირებით რაღაც შედეგები გამოიღო. ნოემბრის განმავლობაში 10-ჯერ არის შემციურებული დაპატიმრებათა რიცხვი. მე არ ვიცი, ეს კარგია თუ ცუდი, ყოველ შემთხვევაში, რასაც ჩვენ მოვიტხოვრებთ, ნაწილობრივ რეალიზებულია. ბოლომდე ხარვეზები სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობაში, ბუნებრივია, არ აღმოიფხვრება, მაგრამ ნოემბრის ამ სამი კვირის განმავლობაში 6 რეგიონიდან, სადაც ხელი მიმიწვდება ინფორმაციაზე, რაღაცა ტენდენციის ნიშნები

ნამდვილად არის. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ჩვენივე წარმატებებიდან და ჩვენივე სისუსტეებიდან, ისევე როგორც რაღაცეები სხვა ქვეყნებიდან უნდა ვისწავლოთ. მიზანმიმართული კამპანია ყოველთვის იძლევა გარკვეულ შედეგს. ისე არ არის, რომ რაღაცას ვამბობთ და ამას ყურადღებას არავინ აქცევს. დისკუსიის დასაწყისში ითქვა, რომ არასამთავრობო სექტორი ზედმეტად თვითიდენტიფიკაციას ახდენს ხელისუფლებასთან. მაგრამ მეორე უკიდურესობაშიც არ უნდა გადავვარდეთ – ვიყოთ მხოლოდ მედიაზე ორიენტირებული. მედიაში ინფორმაციის გაშუქების პრობლემა შეიძლება ბოლო რიგში იქნას მოხსენებული. აქვე მინდა სხვა საკითხს შევხეო. როდესაც ვლაპარაკობთ არასამთავრობო სექტორზე, რამდენად გვაქვს გააზრებული არასამთავრობო სექტორი, როგორც დამოუკიდებელი ერთეული? საერთოდ, რა არის არასამთავრობო სექტორი? რამდენად შეიძლება ყველაფერი ის, რასაც არასამთავრობო სექტორს ვეძახით რაღაცა ერთი ქოლგის ქვეშ მოვაქციოთ? პრობლემა ის არის, რომ ჩვენ ჩვენი თავი გააზრებული არ გვაქვს. ბიზნესს შეიძლება რაღაც პრობლემები ჰქონდეს, მაგრამ მათთვის საინტერესო კანონი როდესაც გადის პარლამენტში, საკუთარი ინტერესები ხომ უფრო უკეთ აქვთ იქ გააზრებული. ბიზნესი, ეს არის რაღაცა მოგებაზე ორიენტირებული და რაღაცა ინტერესი იქ იმთავითვეა ჩადებული, კერძო ინტერესი. მაშინ

როდესაც არასამთავრობო სექტორს პრეტენზია აქვს, რომ საჯარო ინტერესებზე ორიენტირებულები ვართ და საკუთარ, კერძო ინტერესს ხშირად სწორედ ვერ ვიზარებთ ხოლმე, ვფიქრობ, ერთ-ერთი სისუსტე აქ არის საძიებელი. მე მივვირს კიდევ, როგორ მოხერხდა საგადასახადო კოდექსში რაღაც ნორმის ჩადება ქველმოქმედების ხელშეწყობასთან დაკავშირებით იმიტომ, რომ რეალურად ასეთი აქტიური კამპანია ჩვენ ყველას ერთად არ გვიწარმოებია. მე არ გვეულისხმობ ერთი-ორ ადამიანს, ვინც ამას აკეთებდა. სოციალურ რეკლამებზე იყო აქ ლაპარაკი; ესეც მათემატიკის კანონპროექტში არის გათვალისწინებული, თუმცა, სამწუხაროდ, იმის გამო, რომ ეს კამპანია იყო კომპრომისი, შეღავათი ჩვენს სასარგებლოდ მხოლოდ 5 წლის მერე ამოქმედება. ადამიანური რესურსების დეფიციტზე იყო საუბარი. ტვინების გადინებასო აქვს ადგილი სექტორიდან. მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ძალიან კატასტოფული მასშტაბები აქვს ამას მიღებული, მაგრამ თუ ეს ძალიან გვაწუხებს, ეგებ მაშინ ვინმე დაინტერესდეს, სად არის რწმუნები. მე მგონი, კრიზისი იმიტაც არის გამოწვეული, რომ ერთსა და იმავე წრეში ხდება ამ ხალხის ძიება, არადა, სამოქალაქო აქტივობის და მოხალისეობის ძალიან დიდი რწმუნები არის 45 და ზემოთ ასაკის ხალხში, რომელიც ჩვენგან მთლიანად გარიყულია ამ ტიპის აქტივობებიდან. ძალიან კარგი კვლევა იყო ჩატარებული, არ მახ-

სოვს გაეროს ასოციაციამ ჩაატარა თუ Save the Children-მა, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მიერ არასამთავრობო სექტორის აღქმასთან დაკავშირებით. ჯერ ერთი, ეს რევოლუციამდე იყო და დღეს, მე მგონი, თუნდაც ამ სექტორებში, ჩვენი აღქმა როგორია, კვლავ აქტუალური იქნება. ძალიან ბევრი რამის გამოკვლევა არის საჭირო იმისთვის, რომ ჩვენ რაღაც სტრატეგია შევიმუშავოთ. დღეს ბრძალ სიბნელეში ხელების ცეცებით ვმოქმედებთ.

**დავით უსუფაშვილი** – მოდი, შევხედოთ ერთმანეთს, როგორც სამოქალაქო, გნებავთ, დემოკრატიული საზოგადოების, გნებავთ, პოლიტიკური სისტემის შემადგენელმა ნაწილებმა: რა გავაკეთოთ ერთად უკეთ და ერთმანეთს რა გავუკეთოთ მეტი. თან ამასობაში ვიფიქროთ, როგორ გავხდეთ უფრო ძლიერი და შედეგის მომტანი საზოგადოებისთვის.

**პაატა ვეშაბიძე** – იქნებ ერთობლივი საზოგადოებრივ აქტივობებზე გველაპარაკა და ერთობლივი პროექტები დაგვესახა. ჩვენ გვაქვს ასეთი პროექტების პრეცედენტი. იქნებ, თვითონ არასამთავრობოებმა, როცა პროექტების შემუშავება მიდის, მედიის აქტივობა გაითვალისწინონ. შეიძლება ოდნავ უტრირებული გამოძივდეს ნათქვამი, მაგრამ, მგონია, მხოლოდ ამ შემთხვევაში შემობრუნდება მესამე სექტორი ხელისუფლებიდან საზოგადოებისკენ. მერკანტილური ინტერე-



სებით არ ვამბობ – პროექტებში გარკვეული თანხა უნდა ჩაიდოს იმისთვის, რომ ის მედიამ გააშუქოს. მაშინ უკვე შესაძლებელი იქნება ტენდერების გამოცხადებაც და მერწმუნეთ ეს რეალური კონკურენცია იქნება გაზეთებს შორის.

**კოტე კანდელაკი** – მე ისევ არასამთავრობოების პრობლემებს შევეხები. ეს არ არის ჰომოგენური სექტორი. ეს არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია. ნებისმიერს შეუძლია 5 კაცი შეიკრიბოს და ორგანიზაცია ჩამოაყალიბოს. იმის თქმა, რომ ჩვენ ოდესღაც მივალწევთ, რომ სექტორი ჰომოგენური გახდეს, არარეალურია. ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ ერთიანი ფასეულობების გარშემო მყოფი არასამთავრობო ორგანიზაციის ერთობაზე. დათო ლოსაბერიძემ წვლან ახსენა, რაღაც ელიტარული ორგანიზაციები ჩამოყალიბდაო. მაგრამ ელიტარული იმის გამო კი არა, რომ ჩვენ გამორჩეულნი ვართ ვინმესაგან და ვიღაცას ვჩაგრავეთ. უბრალოდ, ჩვენ ერთიან ღირებულებებს ვზიარებთ. ლევან მამალაძის ენჯიო-ებსაც არასამთავრობოები ერქვათ, მაგრამ ჩვენ არ აღვიქვამდით მათ ასეთად. იგივე მასმედიის წარმომადგენლები, ვინც აქ არიან, იმავე ღირებულებებს იზიარებენ, რასაც ჩვენ. რამაშმა სწორად აღნიშნა, ეს თანამშრომლობაც ამ ჭრილში უნდა წავიდეს. ჩვენმა ორგანიზაციამ არჩევნების მონიტორინგი ჩაატარა და პრესკონფერენციაზე მედია მოვიწვიე. ეს არის საზო-

გადოებრივად აქტუალური თემა იმ მომენტში, სწორედ ამიტომ მედიამ ჩემი საქმიანობა კი არ უნდა გააშუქოს: ეს შეიძლება პირადად ჩემთვის კარგი იყოს, მაგრამ თვითონ ამ საქმის მიღვლიდან უნდა გამოვიდეთ.

**ლევან რამიშვილი** – რაც შეეხება პრესკონფერენციების გაშუქებას, ეს არის ჩვენი ჟურნალისტების სწრაფი. ისინი პრესკონფერენციებს რთავენ პირდაპირ ეთერში, პრეზიდენტის იქნება თუ ჩვენი იქნება და ეს არის მთელი რეპორტაჟი. არანაირი რეალური პრობლემის გამოკვლევა ჟურნალისტის მიერ არ ხდება და ესაა პრობლემა. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, ჩვენ შეიძლება ამაში დავეხმაროთ და არა იმაში, რომ გინდა თუ არა, ჩვენი თავი მოვასვიოთ.

**კოტე კანდელაკი** – ერთის დამატება მინდა. აქ კადრების დენადობაზე იყო საუბარი. პრობლემა იმაში კი არ არის, რომ ვიღაცა წავა ხელისუფლებაში. მთელ მსოფლიოში ასე ხდება, არასამთავრობო და კვლევითი ცენტრებიდან მიდიან პოლიტიკაში და მერე პოლიტიკიდან უკან მოდიან. ჩვენთან, სამწუხაროდ, პირიქით არის – ხელისუფლებაში რომ მიდიან, სკამი ცვლის მენტალობას.

**დავით უსუფაშვილი** – რატომ არ აშუქებს მედია არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობას? არ არის გასაშუქებელი და იმიტომ არ აშუქებს. ყველა სფეროში ჩვენ ვერ ვი-

თანამშრომლებთ. სად არის ის სფეროები, სადაც ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ? მართალია, მედია დუალური ბუნებისაა (ის უფრო ბიზნესია თუ საზოგადოებრივია, ამის გარკვევა არ მინდა), მაგრამ ამოსავალი მისთვის მაინც საზოგადოებრივი დაკვეთაა და რადგან არ არის საზოგადოებრივი დაკვეთა ენჯიო-ს საქმიანობის გაშუქებაზე, ესე იგი, არ აინტერესებს საზოგადოებას ჩვენი საქმიანობა. ჩვენი ერთობლივი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ შევცვალოთ ის ღირებულებები, რომლებიც დღეს გამეფებულია საზოგადოებაში. ეს გარკვეულწილად მოჯადოებული წრეა. ჩვენ თუ არ შევცვალოთ საზოგადოებრივი დაკვეთა, მედია არასოდეს დაინტერესდება ჩვენი საქმიანობით და ჩვენ არ გვექნება საშუალება საზოგადოებას მივაწვდინოთ ჩვენი ხმა. რას ვხედავთ დღეს: კანონი ძალიან ხშირად იგნორირებულია, ადამიანის უფლებები ირღვევა. ეს არის ჩვენი პრობლემები და ამ დროს ჩვენ რას ვაკეთებთ? რას აკეთებს საზოგადოებრივი სექტორი? რას აკეთებს მედია? იქნება იმაზე ვისაუბროთ, სად იკვეთება ჩვენი ინტერესები და რა შეიძლება ვაკეთოთ ერთად. იქნებ ჩვენთვის ფოკუსი ამჟამად იყოს კანონის უზენაესობა? ვთქვათ, ეს არის ის პრიორიტეტი, რომელზედაც დღეს უნდა დავიწყოთ მუშაობა. ან იქნებ ეს იყოს თვითმმართველობის და დეცენტრალიზაციის საკითხი? ან იყოს ზოგადად სახელმწიფოს მოწყობის საკითხი? და

მერე ამ პრობლემებზე ერთად ვიმუშავოთ. მედიაში უნდა გააშუქოს ჩვენი საქმიანობა? ეს არის გამოსავალი? არა მგონია, ეს იყოს გამოსავალი. მედია უნდა იყოს ჩვენი პარტნიორი, რათა საზოგადოებაზე და ხელისუფლებაზე მოახდინოთ გარკვეული ზეგავლენა. აი, ამაში უნდა დაგვეხმაროს მედია და არა იმაში, რომ რადიკალიზაციად ჩვენი საქმიანობა საზოგადოებამდე იქნას მიტანილი. საზოგადოებრივი ღირებულებები უნდა შევცვალოთ, საზოგადოებას უნდა შევუცვალოთ მენტალიტეტი. საზოგადოებას უნდა გავაგებინოთ, რომ მან წყალი უნდა დალიოს და არა ქვიშა, რომ თვითმმართველობა და დეცენტრალიზაცია კარგია, რომ ცენტრალიზაცია და ავტორიტარიზმი არ ვარგა.

**მალხაზ რამიშვილი** – დაბალია მედიის ხარისხი და ჩვენი პროდუქციაც არ არის ისეთი, რომ ჰქონდეს დიდ ტირაჟები. მატერიალური ბაზის არქონის გამო არ არის მოთხოვნა საზოგადოებისგან და რეკლამის მომცემებისგან. ამის გამო კიდევ ფასებია მაღალი და ა.შ.. დანშული წრის გასარღვევად აუცილებელია ჩვენი პროდუქციის ხარისხის მკვეთრი ზრდა, რაც დაკავშირებულია შედარებით დიდ ინვესტიციასთან. ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ჩვენი გაზეთი გარდაკვმნათ ღია ტიპის სააქციო საზოგადოებად. გაიყიდება დღევანდელი კანონმდებლობით აქციები ბირჟაზე, როგორც კანონით

არის განსაზღვრული. ალბათ ვიღაც ხალხი დაინტერესდება ამით, უკვე გამოითქვა კიდეც დაინტერესება. საწესდებო კაპიტალი განსაზღვრული იქნება დაახლოებით 2.5 მილიონი დოლარით. გვინდა საზოგადოებრივი საბჭო შეიქმნას, რომელშიც საზოგადოებას თავისი სიტყვა ეთქმის. ვფიქრობ, საზოგადოებრივი სექტორისთვისაც შეიძლება საინტერესო იყოს მსგავსი რამ. არ გვინდა იმის მტკიცება, რა უფრო პრიორიტეტია ჩვენთვის: სამოქალაქო ღირებულებები თუ ფული. მე მგონი, ჩვენი ქმედებებით ამას ვამტკიცებთ წლების განმავლობაში. მე არ მიმანია ბიზნესეთიკის დარღვევად კომერციული გამოცემები, რომელსაც საზოგადოება მოითხოვს, გვინდა თუ არა ეს ჩვენ. მარტო საზოგადოებრივი განათლება არ არის მედიის ფუნქცია, მას აქვს გართობის ფუნქციაც. ამასთან, აქციონერები მიიღებენ დივიდენდს. უფასოდ არაფერი იქნება და არ ვიტყვით არასოდეს, რომ საზოგადოებრივი ფუნქცია შევასრულეთ და ამიტომ დივიდენდი არ გვეკუთვნის.

**დავით უსუფაშვილი** – არ ვიცი, კონკრეტულად ეს მოდელი რამდენად მომგებიანი იქნება ბიზნესის თვალსაზრისით, მაგრამ ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა მედიისათვის არის დამოუკიდებლობის საკითხი. ვკულისხმობ არა მხოლოდ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ხელისუფლებისგან ან ოპოზიციური პოლიტიკური ძალისგან, არამედ რედაქციულ და-

მოუკიდებლობას რედაქტორსა და მფლობელს შორის ურთიერთობაში. მე მაქვს ინფორმაცია, რომ სხვა მედია ორგანიზაციებში მსგავსი სტრუქტურული ცვლილებებია ამავე მიმართულებით. მედიის მხრიდან ესაა საკითხების მოგვარების მცდელობა. კოლეგა სამოქალაქო საზოგადოების წევრებს ვთხოვდი ამ თემით დაინტერესებულიყვნენ.

**დავით ლოსაბერიძე** – მესამე სექტორს საერთო ხედვა არ გვაქვს. აქ ითქვა, რომ ჰომოგენური არ არის მესამე სექტორი. რატომ უნდა იყოს, ესეც საკითხავია. მე არ ვარ მომხრე, რომ ჰომოგენური იყოს. ღირებულებების გარშემო შეიძლება იყოს შეფასებები, მაგრამ ხედვა არ არსებობს. ურთიერთობის ფორმები და კონცეპტუალური ხედვების ჩამოყალიბების პროცესში თანამშრომლობა ასევე არ არსებობს. საქმიანობა არის განსხვავებული და ძალიან ხშირად უბრალოდ დრო არ არის იმისა, რომ ერთ სფეროში მომუშავე არასამთავრობომ, მეორეში მომუშავე არასამთავრობოსთან ერთობლივად სერიოზულად იფიქროს. ესეც არ არსებობს. ასეთი საქმიანობის ფორმები და მოკავშირეები ასევე არ არსებობს. არ არსებობს თუნდაც იმიტომ, რომ რეალური ინფორმაციის გაცვლა არ ხდება, არა მარტო არასამთავრობოებს შორის, არამედ იმავე სამოქალაქო საზოგადოების სხვა სემენტებს შორის. სამოქალაქო საზოგადოების სემენტებად მოიაზრე-

ბიან როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები, ისე მედია, პოლიტიკური პარტიები, მასობრივი გაერთიანებების საკმაოდ უცნაური კონგლომერანტი (პროფკავშირებით დაწყებული და ეკლესიით დამთავრებული). იქნებ, ურთიერთობის მექანიზმებზე ვისაუბროთ. კერძოდ, როგორ მოხერხდეს, რომ ჩვენ ერთიანი ხედვები შევიმუშავოთ. ერთიანი ხედვა არ ნიშნავს ერთ ხედვას. შეიძლება არსებობდეს ალტერნატივები, მაგრამ საზოგადოებისათვის წარდგენილი იყოს რაღაც პროგრამები, ელემენტარული სტრატეგიები. ესაა თვითონ არასამთავრობოების შიდა პრობლემა და ეს უნდა მოაგვაროს არასამთავრობო სექტორმა. ამის მერე გვჭირდება ძლიერი მოკავშირეები და მე მივესალმები, რომ მედიაში იწყება გაჯანსაღების პროცესი, თუნდაც ფინანსური მდგრადობის მხრივ. აზრი იყო გამოთქმული, რომ პროექტებშიც იყოს ეს გათვალისწინებული. ვამბობთ, რომ ქართული მედიის სარეკლამო ბაზარი ათი მილიონია. ის გრანტები, რაც გაიცემა საქართველოში (ბევრი არ გაიცემა მესამე სექტორზე, მაგრამ მათი 5 ან 10 პროცენტი უკვე ასეულ ათასებს აღწევს), ამის ჩადება სარეკლამო საქმიანობაში შესაძლებელი უნდა იყოს. მითუმეტეს, თუ შედევითიანი ფასები იქნება. ყოველ შემთხვევაში, მედია უნდა დაეხმაროს ასეთ ვითარებაში თავის თანამომხე თანასამოქალაქოსაზოგადოებებს, რომ ეს იდეები ძალიან გასაგები ფორმით იქნას

გატანილი საზოგადოებაში. დაე, მედია, ტელევიზია ისევე საგაზეთო დისკუსიების სახით იყოს იდეების საპაექრო ადგილი. მხოლოდ ამ შემთხვევაში დაგძლევეთ კრიზისს, იდეოლოგიურ კრიზისს თუ ფსიქოლოგიურ კრიზისს. კონკრეტულად ეს არის დემოკრატია და არა იმაზე კამათი, დემოკრატის ეს ფორმა ჯობია თუ ის. ზოგადად დემოკრატია რომ კარგია, ამაზე ყველა თანხმდება. თვით კორუპციონიერი ჩინოვნიკებიც კი.

**ლევან რამიშვილი** – იმაზე უნდა ვისაუბროთ, ორივემ ერთად და ცალ-ცალკე რა შეიძლება გავაკეთოთ საზოგადოებისათვის და არა ერთმანეთისთვის. მაინც მრჩება შთაბეჭდილება, რომ ურთიერთგამორჩენის მიმართულებით მიდის მთელი დისკუსია. მთავარი საზი უნდა ავირჩიოთ. აი, იგივე კანონის უზენაესობა. შეიძლება რაღაც კონკრეტული სხვა თემებიც იყოს აღებული. პრობლემაა, რომ ფაქტები აღარ მიეწოდება საზოგადოებას იმ მასშტაბით, რა მასშტაბითაც ეს ფაქტები საზოგადოებაში უნდა იცოდეს. კი, ბატონო, დავუშვათ, ისე ტრაგიკულადაც არ გვაქვს საქმე, როგორც, ვთქვათ, რუსეთს აქვს ბესლანის ტრაგედიაზე, როცა იმ დროს რაღაც სერიოზული გადის. ჩვენთან კი რომ აწამებენ ადამიანებს, ამის შესახებ ფაქტებს აწვდიან. მაგრამ მაინც ეს იმ ხარისხით არ არის. ნიუსები ძალიან შემოფარგლულია ძალიან ვიწრო რაღაცებით. მესამე სექტორში ბევრ რამეზე ლა-

პარაკობენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ლაპარაკი, ძირითადად, ასეთი შეკრებებით შემოიფარგლება. ცოტა წინ წასულები ვართ ამ მხრივ ხრუშოვის „ოტტპელიდან“, იმ დროსთან შედარებით, როდესაც სამზარეულოში საუბრობდნენ რაღაცებზე, მაგრამ ღიად მწვავე საუბარს ერიდებოდნენ. არ მინდა იმის უარყოფაც, რომ რაღაცა ერთი-ორი მცდელობა იყო. საქმე ერთობლივად უნდა გავაკეთოთ და საზოგადოებრივი სარგებელი ამ თანამშრომლობიდან ის იქნება, რომ საზოგადოებას უფრო მეტი ინფორმაცია მიეწოდება.

**დავით უსუფაშვილი** – აუცილებელია მოვებნით შეხების წერტილები, თანხვედრებიც და თან ვიცოდეთ, რომ ეს გეჭირდება რაღაცა უფრო დიდის და სერიოზულის მისაღწევად. ამიტომ გთავაზობთ, პირობითად ორ სიბრტყეში ვისაუბროთ. პირველი შიდა საკითხებია; აქ შეგვიძლია ერთმანეთს ხელი გავუწოდოთ იმიტომ, რომ ამ საქმეში ხელის გაწვდენა თითოეული ჩვენგანის ორგანული ინტერესია. მაგალითად, დამოუკიდებელი მედია არის არასამთავრობო სექტორის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა. თავად მედიასაც ავლევებს ეს საკითხი; ეს ის თემაა, რომელიც გვაერთიანებს; ამიტომ ვილაპარაკოთ იმაზე, კონკრეტულად რა ნაბიჯებით შეგვიძლია გავზარდოთ დამოუკიდებლობის ეს ხარისხი. შეზღუდულები არაფრით არ ვართ, ოღონდ, კონკრეტულები ვიყით. ეს შეიძლება იყოს

საკანონმდლო საკითხებიდან დაწყებული, დემონსტრაციით გათავებული, ან თუნდაც ისეთი საკითხები, რომელთა წამოჭრა მიზნითა გამო არასამთავრობოებისათვის უფრო უპრიანია (მაგალითად, სარედაქციო დამოუკიდებლობის საკითხებზე საუბარი) მედიამ შეიძლება მხარი აგვიბას. ასევე მნიშვნელოვანია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები იყვნენ დამოუკიდებლები და მართლა არასამთავრობოები. სექტორს თავისი პრობლემები აქვს, ვინაიდან ის არ არის ბიზნესი და დამოკიდებულია დონორებზე. ეკონომიკური წინსვლა გვინდა ორივეს, მაგრამ ამასობაში რა ვქნათ, ამაზე ლაპარაკია საჭირო. მოდით, დავასახელებ თემას და ამაზე მოკლემოკლე იდეები შევავსოთ. მას შემდეგ, რაც ამოიწურება იდეები ამ მართულებით, გადავალთ სხვა თემებზე. აი, იმაზე, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. თემა ნომერი პირველი: როგორ დავენმაროთ ერთმანეთს იმისათვის, რომ ვიყოთ უფრო დამოუკიდებელი და თავისუფალი იმ მავნე გავლენებისგან, რომლებიც დღეს შეინიშნება (პოლიტიკურზე თუ ფინანსურზე). არასამთავრობო სექტორი, ვინმეს სურს დააკონკრეტოს, რა გავლენებზე შეიძლება იყოს საუბარი?

**დავით ლოსაბერიძე** – ხელისუფლება ამბობს, რომ უკვე აქვს ხედვა, პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებულია და რა საჭიროა ზედმეტი ლაპარაკი, ვიმოქმედოთ პრინციპით: „ზოგჯერ არ იფიქრო, პირ-

დაპირ იმოქმედე“. არადა, ნაფიქრიც რომ არ არის! ეს ძალიან გვიშლის ხელს. ინფორმაცია არ აქვს არა მართო არასამთავრობო სექტორს (ჩვენც გავდივართ ამ დაჩაგრულთა სიაში), არამედ სახელისუფლებო სტრუქტურებსაც. ზოგჯერ სამინისტრომ არ იცის, რა გააკეთა მეორე სამინისტრომ. პარლამენტის ერთმა კომიტეტმა არ იცის, რა კანონი მიიღო მეორე კომიტეტმა. თუმცა, დეპუტატები არიან, იქ უნდა იხსენიენ და იცოდნენ ეს. ძალიან სერიოზულია ურთიერთობის საკითხიც, იმდენად არა ხელისუფლებასთან მიმართებაში (ეს დონორებსაც ნაკლებად ენება), არამედ სტრატეგიების დაგეგმვისას. ამ დროს ენჯიო-ები იყოფიან მტრებად და მოკავშირეებად. ამის მაგალითები არის, სამწუხაროდ. ხელისუფლების თვალშიც არსებობენ ცუდი ენჯიოშნიკები. ეს სწორია თუ არასწორი, ამაზე ღიად უნდა იყოს ნათქვამი და არა კულუარულად. ბევრზე, ვისზედაც ამბობენ, რომ ცუდია, მეც ვეთანხმები (პირადად ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ). ზოგჯერ ჭორად ვიგებ, რომ ის არ გვინდა იმიტომ, რომ ცუდია და მიშას არ უყვარს, ან მიშას არ უჭერდა მხარს. შეიძლება მართლაც ცუდია ყველაფერთან ერთად, მაგრამ ეს უნდა იყოს დასაბუთებული. ამის მაგალითები არის და, სამწუხაროდ, იქნება. ზოგადი სტრატეგიის განსაზღვრისას ხელისუფლებასთანაც (განსაკუთრებით ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში) არის პრობლემები, ურ-

თიერთობის პრობლემები. პირადი ურთიერთობის პრობლემები არა. ახლა პრეზიდენტი ყოველ წუთას იბარებს არასამთავრობებს და მიდის კამათი, საკმაოდ გახსნილი კამათიც, მაგრამ რეალური შედეგები არ ჩანს. წინა პრეზიდენტიც გვიბარებდა და მაინც არ ჩანდა შედეგი. ახლა საგადასახადო არ შესულა არავისთან და ავტომატი არც ერთ ენჯიოშნიკთან არ „უპოვიათ“ ჯერჯერობით ბალანსის ქვეშ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ რაღაც პრობლემები არ არის. პრობლემები არის ობიექტური ხასიათის და სუბიექტური ხასიათის (საჯარო მოხელეებთან ურთიერთობის მომენტი: ზოგი უფრო გახსნილია, ზოგი – არა). შეიძლება ძირითადი პრობლემა არასამთავრობებისათვის არის ის, რომ ჩვენი მოლოდინები ძალიან დიდია; მართლაც, ძალიან ბევრს ველით ამ ხელისუფლებისაგან, რასაც, ბუნებრივია, არ ველოდით წინა ხელისუფლებისაგან. ძალიან არ გვინდა, ამ ხელისუფლებამ დაასრულოს ცუდად. იმიტომ, რომ ჩვენც გვებება, ჩვენც ვასოცირდებით მასთან.

**ალექსანდრე ფარულავა** – არ ვიცი, როგორ მიიღებთ ამას, მაგრამ როგორც მედიამდე მოდის ინფორმაცია, საზოგადოება სექტორს ყოფს ორ ნაწილად, არა ობიექტურობის თვალსაზრისით, არამედ – მიდგომების თვალსაზრისით: სახელისუფლებო სექტორის წარმომადგენლებად, რომლებიც სარგებლობენ ხელისუფლებისაგან თბილი დამოკიდებულებით და ჯგუფები, რომ-

ლებიც იგნორირებულია. როდესაც თავისუფლების ინსტიტუტი გარკვეულ ნაბიჯს დგამს, ყოველთვის იბადება ეჭვი, ხომ არ მოდის ეს პრეზიდენტისგან, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ თავისუფლების ინსტიტუტი ასოცირდება პრეზიდენტთან: რევოლუციაში შეიტანა უდიდესი წვლილი (როგორც სხვებმა, მაგრამ ეს კარგად ჩანდა), პრეზიდენტის გუნდში თავისუფლების ინსტიტუტიდან წასული ადამიანები არიან: გიგა ბოკერია, გივი თარგამაძე და ასე შემდეგ.

**ლევან რამიშვილი** – მედიაც ისე აშუქებს ამას, რომ საზოგადოების უარყოფით რეაქციას იწვევს. თუნდაც პრეზიდენტის დედის გადაცემა გავიხსენოთ.

**ალექსანდრე ფარულავა** – ეს ასე იყო: გაკეთდა გადაცემა, რომელშიც დაისვა კითხვა, ხომ არაა მცდელობა საქართველში რელიგიის ფანატიზმში გადაზრდისა და საბოლოოდ მართლმადიდებლობის ისლამიზაციისა (ისლამიზაციის არა პირდაპირი გაგებით, არამედ ფანატიზმის გაგებით). საუბარი იყო პრობლემებზე, რომლებიც დღეს მართლმადიდებლობას გააჩნია. შედეგად მივიღეთ ქალბატონ გიულის, პრეზიდენტის დედის, გადაცემა, რომელმაც სწორი შეფასება დაიმსახურა ლევანისაგან. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც სხვა საკითხებთან დაკავშირებით (მაგალითად, ფინანსური ამნისტია) ხდება გარკვეული თემების წამოწე-

ვა პრეზიდენტის მხრიდან. ეს შეიძლება ისე იყოს აღქმული, რომ ასე უნდოდა პრეზიდენტს და იმიტომ მოხდა.

**ნინო შუბლაძე** – ძალიან ბევრმა მითხრა, რომ თავისუფლების ინსტიტუტი იმიტომ ახმაურდა ფინანსურ ამნისტიასთან დაკავშირებით, რომ ეს პროცესი გაწეულიყო. ეს ასე არ არის, მაგრამ პრობლემაა, როცა ფიქრობენ, რომ არასამთავრობოები ვიდაცის დაკვეთებს ასრულებენ.

**დავით უსუფაშვილი** – როდესაც ვსაუბრობთ დამოუკიდებლობაზე, არ ვლაპარაკობთ მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებზე. მედიასთან მიმართებაში მაქვს განცდა, რომ უშუალო, უხეში ჩარევები გაცილებით მეტია ვიდრე არასამთავრობო ორგანიზაციებთან მიმართებაში. ეს არ ნიშნავს, რომ ხელისუფლების მხრიდან არასამთავრობო სექტორის ადგილი და როლი უკეთაა გამოკვეთილი, ვიდრე მედიასთან მიმართებაში. ჩემი აზრით, ეს იმიტომ ხდება, რომ არაკონტროლირებადი მედია შეიცავს ამწუთიერ საფრთხეს და არაკონტროლირებადი არასამთავრობო სექტორი, ეს არის პოტენციური საფრთხე ხელისუფლების ბევრი წარმომადგენლისთვის. ვიდაცამ სადღაც რაღაც თქვა, ჯერ კიდევ არაფერია, მაგრამ ტელევიზიამ თუ სამი დღე ერთ თემზე ილაპარაკა, უკვე სერიოზული პრობლემაა ხელისუფლებისთვის და შეიძლება უფრო მწვავედ იქნას აღქმუ-

ლი. მოდით, ვიფიქროთ უფრო ისეთ ქმედებებზე, რომლებიც პოტენციურ საფრთხეს ააცილებს ერთ სექტორსაც და მეორესაც. ამასთან, ამ ხელისუფლებასთან მიმართებაში, მე მგონი, ნაკლებად გვაქვს პრეტენზია, რომ წინა ხელისუფლებასავით გაუნათლებელია ამ სფეროში; მათ უბრალოდ არ ესმით, რაშია საქმე. ჩვენი სეგმენტების ღირებულება ცოდნის დონეზე გაზიარებულია, მაგრამ პოლიტიკური პრიორიტეტების სისტემაში არც თუ მთლად პრიორიტეტულ ადგილზეა. მე მგონი, ესაა ის ძირითადი საკითხი, რომელზეც უნდა ვისაუბროთ. გავარკვიოთ რა ვაკეთოთ არა მარტო დეკემბერში, არამედ ცოტა უფრო ხანგრძლივ პერსპექტივაში და რით გავუმაგროთ მხარი ერთმანეთს. ახლა ნუ გვექნება იმის ილუზია, რომ კონსენსუსამდე მივალთ ყველა საკითხში. ვინც ვხედავთ, რომ მედიის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად რალაციის გაკეთება შეგვიძლია, იმან ვისაუბროთ. არასამთავრობო სექტორთან მიმართებაში შეგვიძლია რამის გაკეთება თუ არ შეგვიძლია, ამაზეც ვისაუბროთ. კონკრეტულ პროექტებამდე, ქმედებამდე მისვლა მერე შეიძლება გავიზროთ.

**პაატა ვეშაპიძე** – ყველა პრობლემა, რაც გამოვკვეთეთ, დაკავშირებულია ფინანსურ თვითმართობასთან. ჩვენი განვითარება დამოკიდებულია სხვებზე. ამიტომ ვთავაზობთ, ყველამ ერთად (განსაკუთრებით, არასამთავრობო სექტორს აქვს ამ მხრივ ძალი-

ან კარგი რესურსი), ვიმუშავოთ ერთად ლიბერალურ საგადასახადო კოდექსზე, რათა ამ ქვეყანაში საშუალო ბიზნესს ერთხელ მაინც მიეცეს გასაქანი. თუ საქართველოში საშუალო ბიზნესი ცხოვრების წესად იქცევა, იგი ჩვეულებრივი საშუალება იქნება საკუთარი თავის გამოხატვისაც და ოჯახის შენახვისაც. სარეკლამო ბაზარი გაიზრდება რამდენჯერმე და სამოქალაქო პროექტები დაფინანსდება უკვე შიდა რესურსებით. ნაკლებად იქნება საჭირო, ან საერთოდ აღარ იქნება საჭირო დონორებისაგან დაფინანსება. ვთავაზობთ ეს გამოწვევა ჩამოვაცალიბოთ ასე: მუშაობა საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისთვის და განსაკუთრებით ლიბერალური საგადასახადო კოდექსისათვის. ფანტასტიკური ნახტომი გააკეთა სლოვაკეთმა. ეს არის კლასიკური მაგალითი იმისა, რა ქნა ლიბერალურმა საგადასახადო კანონმდებლობამ. გაზეთების ტირაჟები ბოლო სამ წელიწადში გაიზარდა 60-ჯერ, ყვითელი პრესის წილი დღეს 50%-ს შეადგენს, ანუ რესპექტაბელურმა პრესამ სერიოზული ნახტომი გააკეთა.

**რუსლან რუსია** – გეთანხმებით. გავისწავლოთ მარშალის გეგმა; მან ამოქაჩა ომით დანგრეული გერმანია. ახლა მე მინდა არასამთავრობოებისა და მედიის თანამშრომლობაზე ვაკამხვილო ყურადღება. სიტყვა NGO როგორ ითარგმნება, საქართველოში ძალიან ბევრმა არ იცის. თბილისის გარეთ ვლასპარაკობ, იმიტომ რომ ახალია ეს ენჯიო. თვი-



თონ არასამთავრობო ორგანიზაცია უნდა გამოიმეტებდეს რაღაცას რეკლამისთვის, თუნდაც იმ მიზნით, რომ ადამიანებმა სწორად გაიგონ, რომ ეს ორგანიზაციები კარგ საქმეებს ემსახურებიან; თორემ რა გამოდის: არასამთავრობო ორგანიზაციები ზოგიერთებს გურული ფირალის მსგავსი რამ ჰქონია, რომელსაც იყენებენ რეკლამების მოსახდენად.

**რატი მელაძე** – ჟურნალისტების ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა არის ექსპერტების სიმცირე. დაახლოებით ერთი და იგივე ხალხი ტრიალებს ეთერშიც და პრესაშიც. იმავეს თქმა შეიძლება სტუმრებთან დაკავშირებითაც. როდესაც გვინდა კონკრეტული ღირებულებების დაწერვა თუ პოპულარიზაცია, ამისათვის საჭიროა პირველ რიგში თქვენი დახმარება მიიღოს მედიაში. დარწმუნებული ვარ, ძალიან ცოტამ იცის მედიაში ახალგაზრდა ეკონომისტების პროექტი ქუთაისთან დაკავშირებით. დარწმუნებული ვარ, როცა არასამთავრობო სექტორის პრობლემებზე იქნება საუბარი, დავით ლოსაბერიძეს და თენგიზ შერგელაშვილს კი არა, ალბათ უფრო პოლიტიკოსებს დაუძახებენ. კარგი იქნება არასამთავრობოებმა ჩამოწერონ, რა სფეროებზე მუშაობენ და ამა და ამ სფეროზე ვინ არის ექსპერტი და მიაწოდონ ეს მაქსიმალურად მედიას.

**ლამა ტულუში** – ჩემთვის ძალიან საინტერესო იქნებოდა თქვენი

წლიური გეგმები. რა არის ის თემები, რაზეც ვმუშაობთ, ვისთან ვმუშაობთ, ვინ მუშაობს და ასე შემდეგ. ეს არის საჭირო იმისათვის, რომ მე გამიადვილდეს თქვენთან კონტაქტი. როგორც წესი, თუ მედია არ არის ჩახედული საქმეში, ეს იმიტომ, რომ ჩვენ, საწუხაროდ, არ გვაქვს სრულყოფილი ინფორმაცია. ამის გარდა, ცუდი არ იქნებოდა, რომ ჩვენ პერიოდულად შევხვდეთ ხოლმე ერთმანეთს და აგვისნათ თქვენი საქმიანობის დეტალები. ისე კი არა, რომ დარეკოს ვიღაცამ მდივანთან და უთხრას: იცით, პრესკონფერენცია ტარდება ამა და ამ თემაზე. ასეთი თანამშრომლობა არ არის ეფექტური. ჩვენ ერთმანეთთან უნდა გვკონდეს კონტაქტი და ვიცოდეთ, რას ვაკეთებთ. ეს ერთი საკითხია. ახლა მეორე საკითხი: ძალიან მნიშვნელოვანია ენჯიო-ებისთვის საზოგადოების თვალში რეაბილიტაციის პრობლემის მოგვარება. მე არაფერს ვამბობ სახელმწიფო მოხელეების შეხედულებაზე. მათი აზრით, თქვენ არაფერს წარმოადგენთ. ისინი ძალიან მარტივად მანიპულირებენ თქვენით. აქედან რომ გამოვიდეთ, ორი რამეა აუცილებელი: 1) თვითრეიტინგა; 2) შეთანხმება გარკვეულ მნიშვნელოვან თემებზე; ეს თემები უნდა მოვამზადოთ, ჩავატაროთ შეხვედრები და პრობლემური საკითხები საზოგადოებას მივაწოდოთ. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ ჩვენს თანამშრომლობას აზრი ჰქონდეს. რაც შეეხება ჟურნალისტურ თავისუფლე-

ბას და ზოგადად სარედაქციო თავი-სუფლებას როგორც პოლიტიკური ჩარევებისაგან, ისე მესაკუთრეებისაგან (ეს ეხება უფრო მეტად სატელევიზიო ბიზნესს), საჭიროა შემუშავდეს მიდგომები, რომლებიც იქნება განხილული, მიწოდებული საზოგადოებისათვის და შემდეგ განხორციელდები. ეს მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ შეთანხმებები გაფორმდეს და გაფორმდეს საზოგადოებრივი აზრის შექმნით. შეთანხმება გულისხმობს ურთიერთობების მოწესრიგებას დამქირავებელსა და დაქირავებულ ჟურნალისტებს შორის. ეს უნდა იყოს გარკვეულ პრინციპებზე შეთანხმება, მაგრამ ეს არ არის ტიპური შრომითი ხელშეკრულებები, სადაც ლაპარაკია ხელფასზე და ა.შ.. არსებობს ორგანიზაციული მიდგომა. ერთი არის სამართლებრივი მიდგომა და მეორეა გარკვეული დეკლარაციული შეთანხმება, რომელიც ხმაურდება. თუ გარედან არ იქნება მხარდაჭერა, დღევანდელ მედიაში ამის რესურსი არის ძალიან პატარა. ეს არ ეხება ყველას. შეიძლება მე დღეს გაზეთში არ მაქვს ეს პრობლემა, მაგრამ ეს პრობლემა აქვს მედიის უმეტესობას. და ბოლოს, მეოთხე, უკანასკნელი საკითხი. აქ გამოითქვა ძალიან საინტერესო მოსაზრება მედიის სოციალურ ფუნქციაზე. ძალიან კარგი იქნება, თუ ჩვენი ერთობლივი აქციები დაკავშირებული იქნება ისეთი ტიპის თემებთან, რომელიც შედის ბევრი ადამიანის ინტერესების სფეროში (მაგალითად, დასაქმების თემა). კარ-

გი იქნება, თუ ამ თემებზე ერთად ვისაუბრებთ, პროფესიონალურად განვიხილავთ, პოლიტიკურ თუ სხვა ტიპის გადაწყვეტილებებს მივიღებთ და ამის დეკლარირებას მოვახდენთ. ამით შევძლებთ ჩვენდამი საზოგადოების ნდობა გავზარდოთ, გარკვეული თემების აქტუალისაცაა მოვახდინოთ და ა. შ..

**დავით პაიჭაძე** – შარშანდღამდე არასამთავრობო სექტორი იყო ალტერნატიული ელიტა. ვისთან ერთადაც ის იყო ალტერნატიული ელიტა, ის მოვიდა ხელისუფლებაში. არ არის გამორიცხული რაღაცა წყენის გრძნობა ჰქონდეს ამ სექტორს დაუფლებული. თან იმასაც მივტირით, რომ ჩვენი წარმომადგენლები იქითკენ გადავიდნენ და ჩვენ ასე დაგვაკლდა. მოკლედ, მე მესმის ყრუ სევდა იმის გამო, რომ ეს არ არის ისეთი ელიტა, როგორც მას სურს რომ იყოს – არც მედია და არც არასამთავრობო სექტორი. სხვათაშორის, ჩვენ გვაქვს კარგი შანსი, უბრალოდ, ეს გაცნობიერებული არ არის: როგორც კი მიღებული იქნება კანონი საზოგადოებრივი მაუწყებლობის შესახებ, ეს ნიშნავს გარანტირებულ ექსპერიმენტს იმისა, რომ პოლიტიკიდან ყურადღება საზოგადოებისკენ გადავიდეს. ის ფული ყველა შემთხვევაში მიუვა ტელევიზიას. ყველა ჩვენგანი უნდა იქცეს დაუნდობელ მაყურებლად. ამასთან, ჩვენ ვნახავთ, რამდენად აინტერესებს საზოგადოებას ის, რასაც განსხვავებულად

უყვება საზოგადოებრივი მაუწყებლობა, რამდენად საინტერესოა ეს სხვა ტელევიზიებთან შედარებით. არ არის აუცილებელი ისინი კონკურენტები იყვნენ ერთმანეთის, უბრალოდ, შეიძლება ძალიან საინტერესოდ შეაგვსონ ერთიმეორე.

**თენგიზ შერგელაშვილი** – მე ვფიქრობ, რომ მდგომარეობას, რომელიც შექმნილია ჩვენს სექტორში, ხელისუფლებაში და მასმედიაში, ჩვენ მაინც ცოტა უფრო მსუბუქად ვუყურებთ, ვიდრე არის რეალობაში. მიმაჩნია, რომ ის სიმპტომები, რომელიც დღეს ჩანს, ალბათ კიდევ უფრო მეტად გაღრმავდება. თუ ახლავე არ მივევით სათანადო შეფასება ბევრ რამეს, ის გაცილებით უფრო რთულ ფორმებს მიიღებს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ რეკოლუციის წინა პერიოდში კონსოლიდაციის ხაზით საკმაოდ ბევრი იყო საერთო ოპოზიციურ პარტიებს, მასმედიის წარმომადგენლებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. რეკოლუციის შემდეგ მთლიანად ვართ ხელისუფლების იმედზე. ის ნეგატიური მუხტი, რომლითაც სახსევ იყო წინარეკოლუციური პერიოდი, შემდეგ უნდა გადაზრდილიყო პოზიტიურ მუხტში. რაც გულისხმობს იმას, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის მხრიდანაც ძალისხმევა უნდა ყოფილიყო მიმართული უფრო კონსტრუქციულ მხარეზე. რასაკვირველია, კრიტიკა ძალიან კარგია, მაგრამ საჭიროა სრუ-

ლიად ახალი საკითხების ინიცირება და ამ საკითხების ლობირება. ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე, ხელისუფლებასთან კამერული შეხვედრების გარდა, ძალიან აქტიურად დაისვას ეს საკითხები. რეალურად ქვეყანაში სერიოზულად დგას მასმედიის შეზღუდვის პრობლემა. ნუთუ წლინახევრის წინ ასეთი სიტუაცია რომ ყოფილიყო, ასეთი კამერული შეხვედრებით შემოვიფარგლებოდით? ჩვენ გაცილებით უარეს მდგომარეობაში ვიქნებით რამდენიმე თვის შემდეგ, თუ ახლავე არ დაისვა ეს საკითხი. ახლა შემდეგი თემა: აქ ითქვა, არის თუ არა ეს ბიზნესი. ნუ ვიტყვი, რომ მართლ ჩვენს ქვეყანაშია არასუფთა ფული მედიაში ჩადებული. ეს პრობლემა თითქმის ყველგან არსებობს. მთავარი ამოსავალი პრინციპი ისაა, რომ ძალიან ხშირად ამიტომ უჩნდება ხელისუფლებას რალაც-რალაცებში უხეში ჩარევის სურვილი. ჩვენ უნდა შევეცადოთ, მართლაც დაერქვას მედიას ბიზნესი. არ უნდა გავაკეთოთ აქცენტი რალაც მექანიზმების ამოქმედებაზე, რომელიც დააშორებს მას ბიზნესს. პირიქით, რაც უფრო მეტად იქნება ეს ბიზნესი, მით უფრო მეტად გახდება იგი ეფექტური. რაც შეეხება საზოგადოებრივი მოთხოვნის შექმნას, აქ გაცილებით უფრო დიდია არასამთავრობო ორგანიზაციების როლი. შემდეგი საკითხია დონორების საქმიანობა და ნაწილობრივ – არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა. რეკოლუციის წინა პერიოდში, ბოლო ორი-სამი წელიწად-

დი, განსაკუთრებით რეგიონებში, ძალიან აქცენტირებულად ხდებოდა ადგილობრივი აქტიური ჯგუფების განვითარება, რომლებიც ნაწილობრივ წარმოდგენილი იყო არასამთავრობო ორგანიზაციების სახით, ნაწილობრივ ადგილობრივი მასშედის სახით. სამწუხაროდ, რეკოლუციის შემდეგ მივიღეთ მანკიერი სურათი, როცა ეს მიზანმიმართული აქტიურობა გახდა ძალიან პოლიტიზირებული და იქცა ძალიან მანკიერ ინსტრუმენტად ბევრის ხელში ადგილობრივი პოლიტიკური თუ კლანური საკითხების დასარეგულირებლად. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული აქცენტი არასამთავრობოებმაც და დონორებმაც უნდა გააკეთონ არა მხოლოდ აქტიური ჯგუფების, არამედ კომპეტენტური ჯგუფების წინა პლანზე წამოწევით. შემდეგი საკითხია ფართო კამპანიების წარმოება, რომელშიც ერთდროულად უნდა იყოს ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციებიც და მასმედიაც. 1995-96 წლებში მხოლოდ ცალკეული ორგანიზაციები აყენებდნენ საკითხს, რომ არ ხდება ეკონომიკის სათანადო ლიბერალიზაცია, რომ ეს მიგვიყვანს კორუფციულ და სხვა შედეგებამდე. დღეს თუ არ დავაყენებთ მმართველობით სისტემაში ცალკეული ცვლილებების საკითხი, როგორც არის დეცენტრალიზაციის და თვითმმართველობის განვითარების თემა, რომ ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს ბიზნესის განვითარებისთვის არც თუ ისე ლიბერალურ გარემოს, საქმე უარესად იქნება. დღეს თითქოს

გვყავს ახალი მინისტრი, რომელიც ლიბერალიზაციაზე საუბრობს. მაგრამ, აბა, ციფრებში ჩაიხედოთ: რა გაიყიდა და როგორ გაიყიდა, ან რა იცვლება? ან როდესაც საგადასახადო კოდექსზე ვსაუბრობთ, ეს არ არის პანაცეა. გაცილებით მეტი ინსტიტუციონალური ბარიერები არსებობს, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური. არაფორმალურის შემცირება თითქოს ხდება, მაგრამ ისეთი მაგალითებიც არის, როდესაც ჩანაცვლება ხდება და არა შემცირება. არც ერთი ქვეყანა განვითარებულა იმის გარეშე, რომ ნებისმიერი გარედან მოსული გეგმა არ ექცია საკუთარი პოლიტიკის ნაწილად. თუ ქვეყანას თვითონ არ აქვს დალაგებული პოლიტიკა, საით წავა დახმარებები, თავისთავად ცხადია.

**ალექსანდრე ფარულავა** – ხშირ შემთხვევაში ის, რასაც ენჯიო აკეთებს, მისი კონკრეტული კამპანიური თვალსაზრისით გამოუქება წარმოდგენილია. აი, სიტყვაზე, ვთქვათ, რომელიმე არასამთავრობო ჯგუფი მუშაობს რომელიმე თემთან განათლების ხაზით. იქ რეალური შედეგი მაშინ გამოჩნდება, როდესაც რეგიონში ჩატარდება თვითმმართველობის არჩევნები და ეს ადამიანები გამოხატავენ სწორ დამოკიდებულებას არჩევანის თვალსაზრისით კი არა, სწორად შეაფასებენ სიტუაციას. ითქვა ისიც, რომ ვეცადოთ მოვსპოთ ენჯიო-ს ასოცირება ხელისუფლებასთან. აღარ დავუბრუნდები ამ თემას,

ამაზე ფორმულაც უკვე არსებობს. რაც შეეხება საზოგადოებრივ მაუწყებლობას, აბსოლუტურად ვეთანხმები დათო პაიჭაძეს, რომ როდესაც თავისუფალ სიტყვაზე ვლაპარაკობთ, გარკვეულწილად, ეს მის საზომად შეიძლება იქცეს. სინამდვილეში, ამ თემას მიეხება მედიის თავისუფლების თემა. ეს იქნება საუკეთესო ბარომეტრი იმისა, რომ დავინახოთ, რა მდგომარეობაა რეალურად საზოგადოებაში. მაგრამ რა არის ეს საზოგადოებრივი მაუწყებლობა? ნებისმიერი მოქალაქე რომ გააჩერო, ამის შესახებ წარმოდენა არ აქვს. იქნებ მოვიფიქროთ გარკვეული კამპანია, რათა საზოგადოებამ გაიგოს, რა არის ეს რეალურად და რა არის საზოგადოების როლი. კიდევ ერთი თემა, თუმცა ცოტა რთულია ამაზე საუბარი, მაგრამ ვეცადოთ პოლიტიკური ოპოზიციის ჩამოყალიბებას. დღეს გარდა იმისა, რომ ექსპერტების პრობლემაა, პოლიტიკური ფიგურების პრობლემაცაა. დღეს არა მარტო ერთი და იგივე ექსპერტი არის ერთსა და იმავე ეთერში, არამედ ერთი და იგივე პოლიტიკოსიც.

**დავით უსუფაშვილი** – პოლიტიკური ოპოზიცია უნდა გვატაროთ იმავე წინში, რაშიც ხელისუფლება.

**ალექსანდრე ფარულავა** – ერთ დროს იყო იოლი ჭბა ეთერის გასაკეთებლად: ხელისუფლება თავის პოზიციას ამბობდა და ოპოზიცია აკრიტიკებდა. ოპოზიციამ მარტო კი

არ უნდა აკრიტიკოს ის, რასაც ხელისუფლება სჩადის, ალტერნატივა უნდა შესთავაზოს. გასაგებია, რომ მაკრიტიკებ, მაგრამ შემომთავაზე ალტერნატიული ვარიანტი. მაგალითად, განათლების რეფორმასთან დაკავშირებით ბოლომდე ვერ გავიგეთ, ახალ მემარჯვენეებს რა უნდოდათ.

**დავით უსუფაშვილი** – არ არის შემთხვევები, როცა გეუბნებიან ეს და ეს უნდა დასვა ეთერში და ა.შ.?

**ალექო ფარულავა** – ზეწოლაზე ჟურნალისტთან დაკავშირებით პასუხს ახლავე გაცემთ. ვერ ვხვდები, რატომ არ გამოთქვამენ ჟურნალისტები ამ პრობლემას საჯაროდ? ზოგს სამსახურის დაკარგვისა ეშინია, ზოგს იმისა, რომ კონტრეველუციონერად არ მონათლონ.

**დავით უსუფაშვილი** – დღეს დილითაც იყო ნახსენები სოლიდარობის მომენტი. ერთი ადამიანი ჟურნალისტის როლში და ენჯიოშნიკის როლში არის სრულიად სხვადასხვა საწყისს პირობებში. ენჯიოშნიკს, ერთ ადამიანს, შეუძლია გაახუროს რამდენიც უნდა. დონორი კმაყოფილია და ა.შ., ჟურნალისტი ვერ არის ასეთი თამაში, მას პრობლემა აქვს შიგნით რედაქტორთან, უფროსთან, მესაკუთრესთან და ასე შემდეგ. ამ მხრივ, არის სიტუაცია, როდესაც, ჟურნალისტის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, არასამთავრობო სექტორს მეტის გაკეთება შეუძლია.

**ალექსანდრე ფარულავა** – ბევრი რამ შეიცვლებოდა ერთი პრეცედენტისგან რომ იყოს.

**ანა დოლიძე** – ცალმხრივად არ უნდა იყოს ფორმულირებული, რომ არასამთავრობოები იცავენ ჟურნალისტების უფლებებს, არამედ დავარჯვათ ამას საპროცესო შეთანხება.

**გელა გურგენიძე** – თითქმის ყველაფერი თქვეს გამომსვლელებმა, მხოლოდ დავაზუსტებ ზოგ რამეს. ჯერ ერთი ლაშამ ისაუბრა მედიასთან მუშაობაზე არასამთავრობო სექტორის მხრიდან. პრესკონფერენციაა, აგზავნი ჟურნალისტს და მხოლოდ მერე იგებ, რაზე იყო ლაპარაკი. თუ რამე სერიოზულ პროექტები აქვთ არასამთავრობო ორგანიზაციებს, მედიის ხელმძღვანელებს უნდა გააცნონ, რაზე მუშაობენ, რა პროექტებია. მაშინ მე მეცოდინება, ამ ორგანიზაციას რა პროექტები აქვს, როდისთვის მთავრდება, რა დონეზეა, როდის უფრო საინტერესო იქნება. კიდევ ერთი დაზუსტება: პაატამ ილაპარაკა მცირე ბიზნესთან დაკავშირებით. „რეკლამისტები“ დამეთანხმებიან, 10% კომპანიებისა განვითარებულ ქვეყნებში აკონტროლებს კაპიტალის 90%-ს, მაგრამ 90%-ი კომპანიებისა მცირე საწარმოებია, რომლებიც სამუშაო ადგილების 90%-ს იძლევიან. ეს ის 90%-ია, რომელიც გაზეთს ყიდულობს. ეს განაპირობებს მასმედიის მნიშვნელობას. მისი გავლენის შესაბამისია

არასამთავრობო ორგანიზაციების გავლენაც. საქართველოში სხვა სიტუაციაა. ეს არის პოსტსაბჭოთა ქვეყანა. მდიდარი ადამიანი გარკვეულწილად საჭიროებს მორალურ მხარდაჭერას. დასავლური მედია უდიდეს პატივს სცემს ბიზნესმენებს, კომერსანტებს. ჩვენთან ეს გრძელვადიანი ამოცანაა. უნდა დამკვიდრდეს ბიზნესის პატივისცემა საზოგადოებაში. ის კი არა, რომ კულაკია და განვაკულაკოთ, არამედ ის, რომ იგი ქმნის სამუშაო ადგილებს. და კიდევ ერთი რამ: საუბარი იყო ხელისუფლების მხრიდან ზეწოლაზე არასამთავრობო ორგანიზაციებზე, იგივე ხდება მასმედიასთან მიმართებაშიც. შემდეგ მოდის ზეწოლა ინდიფერენტული ფართო მასებისა არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ და ყვითელი თემების არჩევითი შესყიდვა მასმედიის მხრიდან. ირკვევა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მასმედიასაც პრობლემები აქვთ ხელისუფლებასთან და პრობლემები აქვთ ფართო მასებთანაც. მათ უნდა იმოქმედონ ერთობლივად. აქედან გამომდინარე, ჯერ ერთი, ჩვენ ფინანსურად ძლიერი უნდა ვიყოთ; და მეორე, არ უნდა ველოდოთ, რომ სიტუაცია მალე ან რადიკალურად შეიცვლება. აუცილებელი ხდება ერთიანი, კონცენტრირებული ზემოქმედება. რა აინტერესებს უბრალო ადამიანს? კარგი ცხოვრება! მას თუ ასი ლარის მაგივრად ორასი ლარი შეუვა და ამაში მასმედია და არასამთავრობო ორგანიზაციები შეუწყობენ

ხელს, ის დანტერესდება. გაუჩნდება პატივისცემის გრძობა მასმედიის, არასამთავრობოების მიმართ. ავიღოთ თუნდაც მცირე ბიზნესის დაცვა. ნებისმიერმა საგადასახადო სამსახურმა უნდა იცოდეს, რომ შეიძლება შეამოწმონ მის მიერ უსამართლოდ თუ სამართლიანად დასჯილი ადამიანი. ეს იქნება პატარა ადამიანების, უბრალო ადამიანების დაცვა.

**დავით უსუფაშვილი** – ანუ დავიცვათ არა მარტო ჟურნალისტების უფლებები, არამედ ზოგადად ადამიანების. ავწიოთ ადამიანების ფასი, არა?

**გელა გურგენიძე** – წარმოიდგინეთ, რომ რომელიღაც ბაზრის მოვაჭრესთან მიდის ერთი ახალგაზრდა იურისტი ან ეკონომისტი და ოთხი გააღმასებული ჟურნალისტი. დამიჯერეთ ინსპექციას ეს არ გაუხარდება. სხვაა ერთობლივი, კონცენტრირებული ზემოქმედება, ოღონდ ხელისუფლებასზე. ეს ხელისუფლება მოსულია ეფექტურობის ლოზუნგით და მათი იდეა ფიქსი არის ეფექტურობა. ამასე შესაბამისად უნდა ვიმოქმედოთ. ამ ზემოქმედებას ცუდი ის აქვს, რომ ყველაფერს ერთდროულად ვერ გააკეთებ, მაგრამ ავიღოთ ერთი თემა, ვთქვათ, თვითმმართველობის შესახებ და ვაწარმოოთ კონცენტრირებული ზემოქმედება. მედიაში არასამთავრობო ორგანიზაციების და ექსპერტების პრესკონფერენციები უნდა გაიმართოს. ისეთი ბომბარდირება უნდა და-

ვიწყოთ, რომ მთავრობა გვთხოვდეს, ოღონდ დაგვანებეთ თავი და, აჰა, თქვენ ეს დათმობაო. ჩაიარა ამან? მეორე მეორე ბომბარდირება დავიწყოთ, ასევე ავრესიული.

**ლევან ავალიშვილი** – რატომ არ შეიძლება ერთად ვიმუშაოთ ინფორმაციის თავისუფლების კანონზე. მართალია, უკვე მიღებულია, მაგრამ ბევრი ცვლილებაა შესატანი, შენიშვნები და რეკომენდაციები არის დასავლეთიდან, მსოფლიო სტანდარტებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით და კიდევ ვინ მოთვლის, რა არა. მე მგონი, კარგი იქნება, თანამშრომლობის ეფექტურობის მისაღწევად სამ თვეში ერთხელ საერთო რეპორტი გამოვეშვათ ჩვენმა ორგანიზაციებმა, ტელევიზიის წარმომადგენლებმა, პრესის წარმომადგენლებმა. ვნახოთ, ინფორმაციის თავისუფლება რა მდგომარეობაშია. თუ ვერ მოხდება ამის გამოქვეყნება ბროშურის ან ბიულეტენის სახით, ხომ შეიძლება ჩვენს ვებსაიტებზე დავყაროთ. და კიდევ ერთი საკითხი: ამ პროცესში რევიზიები უნდა ჩაერთოთ აუცილებლად.

**სოფო შუბლაძე** – ახლოს მივედით იმასთან, რის თქმასაც ვაპირებდი. ესაა არა დემოკრატიული ინდექსის, არამედ საზოგადოებრივი აზრის ინდექსის კვლევა, რათა არ იყოს ისეთი მოსაზრებები, როგორიც აქვს, მაგალითად, დათო ჰაიჭაძეს. როგორია ეს სოციოლოგიური კვლევების

ორგანიზაციები, მოგეხსენებათ. ამ არჩევნებმა საერთოდ გარყვნეს სფერო. ბოდიშს ვინდი ყველას წინაშე, ვინც ამას კარგად აკეთებს. მინდა ამ დარბაზში დავყენო ეს საკითხი; პროექტის სახით მართლაც გაკეთდეს მეტ-ნაკლებად ობიექტური სურათი, რომელიც დაგვანახებს, საზოგადოება როგორ უყურებს მასმედიას, როგორც სექტორს. ასევე გაკეთდეს კვლევა არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ. გავიგოთ, ვინა ვართ მათ თვალში. ვისთვისაც ტრენინგი ჩამიტარებია, მე ვიცი, მათთვის ვინცა ვარ. ვიცი, რომ ყველა დანარჩენისთვის არავინ არ ვარ. არ ჯდება კვლევა ძვირი და გავაკეთოთ ეს, რადგან ყოველ წინადადებას, რაც აქ გაისმის, დასაბუთებას შეუქმნის.

**ლიკა ჩახუნაშვილი** – ოქტომბრის ბოლოს ჩვენ ჩავატარეთ საზოგადოებრივი აზრის კვლევა მედიის შესახებ. ბევრი სხვადასხვა პარამეტრი იყო. ეს კვლევა გორბიმ ჩაატარა და შეგიძლიათ გაეცნოთ. ვაპირებთ, გავიმეოროთ ერთი წლის შემდგეგ. შესაძლებელია ამან ყველა თქვენ პრობლემას პასუხი არ გასცეს, მაგრამ რაღაც მიმართულებას დაგანახებთ. აქ დაისვა შეკითხვა: რა შეიძლება გააკეთოს საზოგადოებრივმა სექტორმა, რათა ხელი შეუწყოს მედიის, როგორც ბიზნესის, განვითარებას. ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილია რამდენიმე ინსტიტუტი, რომელიც თავის ბუნებით და ფორმით არის სა-

მოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი და რომელიც ამ სექტორის ინტერესებს უნდა წამრმოადგენდეს სხვადასხვა დონეზე, ზედამხედველობას უნდა უწევდეს მედიის სფეროში მიმდინარე კვლევების სანდოობას, უნდა აღწევდეს შიდა სექტორალურ შეთანხმებებს. მე ვსაუბრობ მაუწყებელთა ასოციაციაზე, გამომცემელთა ასოციაციაზე, შემკვეთთა თუ სარეკლამო საზოგადოებების ასოციაციაზე, ტირაჟების აუდიტის ბიუროზე, რეკლამის მედიის საბჭოზე. ამ ორგანიზაციათაგან ორი არსებობს ამჟამად და ისინი პირველ ნაბიჯებს დგამენ. მედიის საბჭო ფორმირების პროცესშია. არ ვიცი, საზოგადოებრივმა სექტორმა რა შეიძლება გააკეთოს იმისთვის, რომ ეს ორგანიზაციები ჩამოყალიბდეს, მაგრამ არსებულს კი შეუძლია ხელი შეუწყოს. ვიცი, რომ ბევრი პრეტენზია არის მათ მიმართ. მაგრამ თუ შეგვიძლია დახმარება, მაშინ დავეხმაროთ მუშაობის გაუმჯობესებაში; იმაზეც ვიფიქროთ, როგორია ჩვენი მოთხოვნები მათ მიმართ. მეორე საკითხი: ითქვა, რომ გართულდა ინფორმაციის გამოთხოვა სახელმწიფო ორგანიზაციებისგან. შესაძლოა ამის მიზეზი იყოს პოლიტიკური ნების არარსებობა. შესაძლოა ამას უფრო მარტივი ანსნა ჰქონდეს: არაკომპეტენტურობა სახელმწიფო მოხელეების იმ პრესსამსახურებისა, რომლებიც ამით არიან დაკავებული. ვიცი, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ტრენინგებს ატარებდნენ. ალბათ საჭიროა ამგვა-



რი ტრენინგების გაგრძელება, რადგან სახელმწიფო უწყებები არ არიან აღჭურვილი კომპიუტერებით და ეს დოკუმენტები არ არის ელექტრონული სახით.

**სოსო გალუმაშვილი** – საზოგადოებრივ ტელევიზიასთან დაკავშირებით პრობლემა იმაშია, რომ იმ კლიპებით, რაც ამ თემაზე გაკეთდა, ვერაზინ მთელ საქართველოში ვერ მიხვდება, რატომ არის კარგი საზოგადოებრივი ტელევიზია. რაც შეეხება საგადასახადო კოდექსს; მე ვფიქრობ, რომ ის საგადასახადო კოდექსი, რაც გვაქვს, კორუფციული საგადასახადო კოდექსია და ეს იქნება ხელისუფლების უდიდესი ბერკეტი ბიზნესზე ზემოქმედებისათვის. არაზინ ლაპარაკობს იმაზე, რატომ ტოვებენ 20%-ს მოგებაზე. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ „ვიჩალიჩებთ“, რათა მაქსიმალურად შევამციროთ მოგების წილი. საგადასახადო კოდექსზე გვაქვს ერთიანი კამპანია გასაკეთებელი. მედია, ენჯიო და ბიზნესიც გავხდით კეთილი მეფის ხელებში შემყურე. ყველა ინიციატივა მოდის მიმსაგან. იქნებ ვიმუშავოთ ერთად წარმატებული მაგალითების პროპაგანდაზე და წინწამოწევამ?

**დავით ლოსაბერიძე** – აქ სამი სხვადასხვა სახის საქმიანობა გამოიკვეთა: ერთია კამპანიური ხასიათის აქტივობა კანონების მისაღებად (თვითმმართველობის დამკვიდრება, განათლების კანონი და სხვ.), ის

სფეროები, რაშიც ყველა უნდა ერთიანდეს და ტოტალური შეტევა უნდა განახორციელოს. მეორე არის პერმანენტული საქმიანობა მენტალობის ცვლასთან დაკავშირებით. რომ გავერთიანდეთ და ერთკვირიანი შტურმი მოვაწყოთ, შედეგი არ ექნება. იგივე კანონის უზენაესობის დამკვიდრება არის პერმანენტული სამუშაო, სადაც სხვა მექანიზმი უნდა იქნას მონახული. მესამე გზაა უფრო კონკრეტული სფეროები, რომლებიც ამ პირველ ორს ემსახურება, მაგრამ მაინც დამოუკიდებელ დარგად მიმაჩნია (ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევები, ექსპერტთა და მონაცემთა ბაზების შექმნა, რაზეც მედია ყოველთვის წუხდა). საზოგადოებისკენ მიბრუნებას რაც შეეხება, კონკრეტულად რა უნდა გაკეთდეს? ყველაზე იდეალური ფორმა არის ტრიბუნა, ანუ საზოგადოებრივი ტელევიზია. ამხელდაც უნდა იყოს მედიის მობილიზაცია; ლიდერმა მედია საშუალებებმა ამ საქმის რაღაც კორდინირებაც უნდა მოახდინონ. შეგვიძლია არასამთავრობოებმა ამაზეც ვიმსჯელოთ, მაგრამ ამ შემთხვევაში დილუტანტები ვიქნებით მედიისგან განსხვავებით. შემდეგი არის რეზერვების საკითხი. ფოთის ამბავი იყო ნახსენები; უნდა წავსულიყავით და დავმდგარიყავით იქ, მაგრამ ამ დროს სიღნაღში მოხდა ასეთივე დარღვევა და რაღაც ნაწილი იქ წავიდა. მესამე ნაწილი უსაფრთხოების კონცეფციაზე მუშაობდა და ამიტომ ვერ მოახერხა წასვლა. სხვაგან კი-

დევ რაღაც იყო გასაკეთებელი და ასე შემდეგ. რესურსი მცირეა და თუ ჩვენ ჯერ იქით გავიქცევით და მერე აქეთ, მაშინ ჩვენ მთლიანად უნდა შევშავთ ჩვენს საქმიანობებს და გადავიდეთ უფლებების დაცვის სფეროზე. ეს არაეფექტური იქნება და არარეალურიცაა; აქაც ჯერ ფორმატია მოსაფიქრებელი. ამ ფორმატთან დაკავშირებით ზუსტი რეცეპტები არ არსებობს, სიტუაციიდან გამომდინარე უნდა ვიმოქმედოთ. მაგალითად, თუ ვარდების რევოლუცია ხდება, ბუნებრივია, იქ მივრბივართ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ჩვენი საქმიანობები გვაქვს, მაგრამ პრიორიტეტიზაცია უნდა მოხდეს. ახლა, რაც შეეხება შეხვედრებს. ასეთი ფორმატით შეხვედრები გარკვეულ პრობლემებს უკავშირდება. ამიტომ, მოდით შევქმნათ მედია-ენჯიო საბჭო. შეიძლება ესეც მკვდრადშობილ ორგანიზმად ჩამოყალიბდეს იმიტომ, რომ შეხვედრის მომენტში საქმე თუ არ არის რაღაც ისეთი კრიტიკული, შევიკრიბებით, წავიჭორავებთ, ახალ ამბებს გავუზიარებთ ერთმანეთს და მორჩა. ჩვენდა სამწუხაროდ, ბევრი არაფერი შეცვლილა ვარდების მერეც, ბაკურიანის მერეც, არამარტო ხელისუფლებასთან მიმართებაში. საერთოდ არაფერი შეცვლილა ჩვენს პრობლემებთან დაკავშირებით. ჩვენ კვლავ დაქსაქსულები ვართ და ერთიანი ხედვები მთელ რიგ საკითხებში არ გავგაჩნია. და ბოლოს, დამოკიდებულება ახალ იდეებთან: აუცილებელია მოინახოს სიახლეების შემოტანის მექანიზმი, სიახ-

ლეები ტაქტიკაში, ფორმატში, ინფორმაციის გაცვლის მექანიზმები. იქნებ ვიფიქროთ, როგორ განვხორციელოთ ეს საქმიანობები.

**ლიკა ჩახუნაშვილი** – მოდით, კოალიციის ერთმა წევრმა აიღოს თავისთავზე პასუხისმგებლობა მონაცემთა ბაზის შექმნაზე, შემდეგ ყველა მივხვდებით, თანდათან გავაფართოვოთ, დავლოთ ერთ-ერთი, ან თუნდაც რამდენიმე ორგანიზაციის, ვებსაიტზე და შემდეგ აქტიურად დავიწყოთ ამ ვებსაიტის რეკლამირება.

**რატი მელაძე** – მე გთავაზობთ მრავალკომპონენტთან კამპანიას. ჩვენი ამოცანაა, რომ არასამთავრობო სექტორის პოზიცია მაქსიმალურად იყოს გამოხატული. ამისათვის ენჯიოები ხვდებიან რედაქტორებს, უხსნიან, რას აკეთებენ, რა თემებზე მუშაობენ, აწარმოებენ შეხვედრებს იმ თემატიკაზე მომუშავე ჟურნალისტებთან და აცნობენ იმ ექსპერტებს, რომლებიც ამ სფეროში ჰყავთ. ყველა ორგანიზაციამ უნდა შექმნას თავისი ბაზა, რომელიც შემდეგ გაერთიანდება საერთო მონაცემთა ბაზაში, სადაც მითითებული იქნება, რა თემებზე მუშაობს ეს ორგანიზაცია, ვინ არის ექსპერტი, მისი კოორდინატები და ერთ-ერთი პირის კოორდინატები, რომელიც კოორდინირებას გაუწევს კავშირებს ჩვენ შორის.

**რამაზ აფციაური** – არსებობს ექსპერტების მონაცემთა ბაზა, რომე-

ლიც Advocacy.ge-ზე არის განთავსებული. ძალიან კარგი იდეაა გზამკვლევის გაკეთება, თუ რომელ ორგანიზაციას რა ექსპერტიზა გააჩნია. ამ ორივე პროდუქტის გამოცემა აბსოლუტურად შესაძლებელია.

**ლიც ჩახუნაშვილი** – ეს მონაცემები ჩვენ გვაქვს, ისევე როგორც გვაქვს ყოველწლიური ენჯიო შეფასება, რომელიც კიდევ ერთხელ ჩატარდება.

**ვაჟა სალამაძე** – ანუ ესაა კომუნიკაცია ენჯიოსა და მედიას შორის, როდესაც ენჯიო მედიას აწვდის კონკრეტულ საექსპერტო და თემატურ რესურსებს. შემსრულებელიც გამოიყვანა, ეს შეიძლება დაიწყოს სამოქალაქო ინიციატივების ცენტრის ფარგლებში. მეორე წინადადება იყო ბროშურების გამოცემა, ამჟამად ვიფიქრებთ აუცილებლად.

**ლიც ჩახუნაშვილი** – თქვენ თუ ამ მონაცემთა ბაზას გააკეთებთ, ჩვენ მოგეხმარებით მის პოპულარიზაციაში ჟურნალისტებს შორის (პოსტერების, წიგნის სანიშნეების, კალმების სახით).

**დავით პაიჭაძე** – შევარდნადის პერიოდში არასამთავრობოები არ დაგიდეკდნენ, რა ორგანიზაციულ ბლოკებში იყვნენ ერთმანეთთან მოქცეულნი, რა კოალიციები ჰქონდათ. იყო რაღაცა საკითხი – მიქარვა ხელისუფლების მხრიდან – და იყო მეყვსეული რეაქცია ყოველგვარი კოალიციების გარეშე. არ მესმის, ამ

ღია კრიტიკას წინ რა უდგას. ბაკურიანის ერთ-ერთი თეზა იყო, რომ ხელისუფლების კრიტიკა არ არის პოპულარული. არ არის პოპულარული? ჩვენ გავაკრიტიკოთ! ნუ ვუყურებთ იმას, რა არის პოპულარული და რა არა. მედიას მის ფუნქციად არ მიაჩნია ეს ბოლომდე? ჟურნალისტმა აიღოს თავის თავზე რაღაცის კრიტიკა. დღეს მესამე სექტორის წარმომადგენლების სახეები მაინცდამაინც ნაცნობი არაა, არაფერს ეუბნება ჟურნალისტებს. საქმიანობას რაც შეეხება, პირველი, რაც თავში მოგივა, ეს არის ადამიანის უფლებები. ავიღოთ მაგალითად ახალგაზრდა იურისტთა აქტივობა. ყველასთვის ცნობილია მათი მიმართულება მოქალაქეთა დაცვის თვალსაზრისით, საკანონმდებლო სიანლეთა ინიცირების თვალსაზრისით. თავისუფლების ინსტიტუტი ასევე ცნობილია თავისი საკანონმდებლო ინიციატივებით და უმცირესობათა დაცვის პათოსით და სხვა. კავკასიური ინსტიტუტი – კვლევების მიმართულებით. არის კიდევ ქვეპროფილები, რომლებიც ცნობილი არ არის და სხვა ორგანიზაციების პროფილი ხომ საერთოდ არაა ცნობილი. რას ვაკეთებთ, ამის მკვეთრად თქმა არის საჭირო. ბროშურებში მკაფიოდ უნდა იყოს ეს მითითებული, რათა ამას რომ წავივითხავ ჟურნალისტი, დაინტერესდე და მომინდეს თქვენთან დარეკვა.

**ქეთი ბაქრაძე** – რამდენად შეიძლება, რომ ეს იყოს ორმხრივი

პროცესი. მართალია, ჟურნალისტიკის დიდი ნაწილი ძალიან დიდ სპექტრს ეჭიდება, მაგრამ მონაცემთა ბაზაში უნდა შევიდნენ ჟურნალისტები პროფილის მიხედვით.

**ლევან ხარატიშვილი** – არასამთავრობოებიდან და მედიიდან უნდა შეირჩნენ საერთო პროფილის წარმომადგენლები. ასე მოხდება სწრაფი რეაგირება და ღია კრიტიკა. ეს არის იმ ორი თემის ასახვა, რომელზეც ვისჯებრეთ, ანუ საექსპერტო ჯგუფების ანუ საექსპერტო რესურსების მიწოდება. სწორედ ღია კრიტიკა და სწრაფი რეაგირება იქნება ამის გარემოება. თუ იარსებებს რესურსი, თუ ჟურნალისტს და არასამთავრობოს წარმომადგენელს სწრაფად შეეძლება რეაგირება თემასთან დაკავშირებით, მიზანი მიღწეული იქნება.

**გელა გურგენიძე** – მეექვსეა, რომ სისტემატიზირებული სახით მსგავსი შეთავაზება მედიას შეეძლოს.

**რამაზ აფციაური.** სწრაფ რეაგირებასთან დაკავშირებით რამდენიმე მომენტია. პირველი, ეს არის შიდა-ორგანიზაციული პრობლემა. თავად არასამთავრობო ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეს იმის უნარი, რომ სწრაფად მიიღოს გადაწყვეტილება. რაც შეეხება ხელმოწერებს, პეტიციებს და მისთანებს, კი, ამას დღეები დასჭირდება. ამიტომ ყველაზე სწრაფი რეაგირება იქნება მედიის საშუალებით განცხადების გაკეთება. არის მესიჯების პრობ-

ლემა; ჩვენ ვართ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ჩვენი სპეციალისტები თავის ენაზე ლაპარაკობენ და ჰგონიან, რომ ეს ენა ხალხს ესმის. ეს სერიოზული პრობლემაა: მესიჯი უნდა იყოს მოკლე, გასაგები და ნათლად ჩამოყალიბებული.

**ვაჟა სალამაძე** – კარგი იქნება გაკეთდეს არასამთავრობო ორგანიზაციების გამოფენა, სადაც არასამთავრობოთა საექსპერტო პროდუქტი გამოვა, რომელსაც შესთავაზებენ გარკვეულ სპეციფიკურ ჯგუფებს. ერთ-ერთი ჯგუფში მოიზრება მედია და იმედი გვაქვს, რომ თანამშრომლობის პირველი ნაბიჯები ამ გამოფენაზე იქნება გადადგმული. დღეისათვის არასამთავრობოთა ცნობადობა ძალიან დაბალია. ჩვენ რეკოლუციამდე ჩავატარეთ კვლევა, რომელმაც გვაჩვენა, რომ სულ რამდენიმე ორგანიზაცია იყო, რომლის ასოცირება საზოგადოების მხრიდან ხდებოდა მთელ არასამთავრობო სექტორთან მიმართებაში (ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თავისუფლების ინსტიტუტი და ა.შ.). ესენი არიან ორგანიზაციები, რომელთაც თავის მხნებს რომ მიადწინონ, აუცილებელია მაქსიმალურად ჩანდნენ ტელევიზორში, პრესის ფურცლებზე. მაგრამ არის უზარმაზარი წყება ორგანიზაციებისა, რომლებიც მუშაობენ განვითარების საკითხებზე, რომელთა საქმიანობა არ არის პირდაპირ დაკავშირებული მედიასთან და ყველაზე ნაკლებად არიან ცნობილი მედიის წარმომადგენლებისთვის.

არიან ორგანიზაციები, რომელთაც ძალიან სპეციფიკური, სოციალური პრობლემები აქვთ. ჯერჯერობით საზოგადოებისგანაც არ არის დაკვეთა მედიის მიმართ, რომ ისეთი ტიპის ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც სათემო პრობლემებზე მუშაობენ, მაქსიმალურად იყვნენ ინფორმირებული. და კიდევ ერთი: რა პრობლემას აწყდება ენჯიო მედიასთან ურთიერთობაში? ჩემი მაგალითიდან მოგახსენებთ; ჩვენი ინტერესის სფეროა, ლტოლვილთა საკითხები (არა დევნილები აფხაზეთიდან, არამედ ლტოლვილები: ჩეჩნები და ასე შემდეგ), რომელთან დაკავშირებითაც ყოველწლიურად ჟურნალისტებისთვის გვაქვს ტრენინგები. ამის შესახებ თითქმის ყველა რედაქტორთან მიდის ინფორმაცია და შესაბამისად აფხაზიან ჟურნალისტებს. სამწუხაროდ, ხდება ისე, რომ ის ადამიანები, რომლებიც მართლა უნიკალურ ექსპერტიზას იძენენ ხოლმე ამ სფეროში (იურიდიული მიმართულებიდან დაწყებული, პრაქტიკული ასპექტებით დამთავრებული), დაახლოებით ორ-სამ სტატიას დაწერენ ამ თემასთან დაკავშირებით და მერე იმავე გაზეთში ვნახავთ სულ სხვა ჟურნალისტის მიერ მომზადებულ თემას, რომელიც ძალიან არაკომპეტენტურია. თვითონ მედიის შიგნითაც ეს ინსტიტუციონალური მექანიზმები ძალიან მნიშვნელოვანია და ასაწყობია, რადგან ჟურნალისტის ცოდნას არ იყენებენ შესაბამისად.

**რამაზ აფციაური** – ერთჯერადი შეხვედრებით ასეთი საკითხები არ

იგეგმება და ვერ წყდება. უნდა არსებობდეს რაღაცა მექანიზმი, ფორუმი (თუნდაც ვირტუალური), სადაც შესაძლებელი იქნება მედია და ენჯიო ცვლიდეს ინფორმაციას პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით, იქნება ეს რომელიმე მედია ორგანიზაციის, თუ რომელიმე კონკრეტული ჟურნალისტის უფლებების დაცვა, ან რაიმე ახალი ინიციატივის წამოწყება, რომელიც საზოგადოებაზე არის გათვლილი. ყოველივე ეს ვერანაირად ვერ მოხერხდება მუდმივი, რეგულარული კონტაქტების გარეშე.

**გელა გურგენიძე** – მთავარია, ვინ იქნება ორგანიზატორი? დავამკვიდროთ კონსულტაციების ფორმა. აი, მაგალითად, როცა თვითმმართველობის, დეცენტრალიზაციის საკითხებზე მუშაობს არასამთავრობო ორგანიზაცია, ეს იქნება არაფორმალური იმ მხრივ, რომ არ არის საჭირო ყველას დაძახება; ჟურნალისტს, ან რედაქტორს დაუძახონ და კონსულტაციები გამართონ, ამ საკითხის მნიშვნელობა გააცნონ; სწორედ ასეთ არაფორმალურ კონსულტაციებზე უფრო დაიგეგმება, როგორ განვითარდეს და როგორ მიეწოდოს ეს მედიას.

**ვაჟა სალამაძე** – ვთქვათ, მე ვაპირებ რაღაცა კამპანიის დაწყებას, მყავს გარკვეული ჯგუფი, მზად ვართ კამპანიის დასაწყებად და მჭირდება მედია, ვის უნდა მივმართო? რედაქტორს, მფლობელს, ჟურნალისტს?

**ალექსანდრე ფარულავა** – ძალიან მარტივად შეიძლება ურთიერთობა. რომელიღაცა ჯგუფი იწყებთ რაღაც კონკრეტულ პროექტზე მუშაობას, პარალელურად დაიწყეთ კონკრეტულად იმ ჟურნალისტებთან მუშაობა, რომლებთანაც გვაქვს ამ თემაზე შეხება. ამ თემაზე ვერც საინფორმაციო სამსახურის უფროსს ვერ დაელაპარაკები იმიტომ, რომ ჟურნალისტს მიაქვს უკვე ეს თემა, ყველა მოქმედი ჟურნალისტი თავის სფეროზე არის პასუხისმგებელი.

**გელა გურგენიძე** – ვფიქრობ, რომ დიდი შეცდომა იქნება, თუ ძირითადი რგოლი მედიის მხრიდან გახდება ჟურნალისტი, რადგან: პირველი, ჟურნალისტების ძალიან დიდი როტაციაა დღევანდელ მედიაში და მეორე, თუ რედაქტორის აზრი იქნება განსხვავებული, მაშინ ჟურნალისტის აზრი ჩაიკარგება. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ აქცენტი უნდა გაკეთდეს ხელმძღვანელებს შორის შეთანხმებაზე, ანუ იმ ხალხზე, ვინც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს.

**ინდირა ამირანაშვილი** – მაისის თვეში იგეგმება საზოგადოებრივი აზრის კვლევა, რასაც შეიძლება მიემართოს მედიის ნაწილი. ეს კვლევა იმ პროექტის ფარგლებში, რასაც ჩვენ ვახორციელებთ, ბოლო იქნება და მან შეიძლება, გარკვეულწილად, ანალიტიკური ხასიათი მიიღოს. მედიისათვის ეს პირველი იქნება და ალბათ მერე ასეთი ღონისძიების განხორციელება მან უნდა აიღოს თავზე.

**სოსო გალუმაშვილი** – მაისი ძალიან გვიანია. წარმოიდგინეთ ჩვენ ვკარგავთ ხუთ თვეს, ანუ ჩვენ არ ვიცით, ამ ხუთი თვის განმავლობაში რას ვაკეთებთ.

**ვაჟა სალამაძე** – ვინაიდან ამ სფეროში უკვე არსებობს CAP-ის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ერთი კვლევა, და ასევე არსებობს IREX-ის მიერ განხორციელებული კვლევა მედიასთან დაკავშირებით, მე ორივეს ვთხოვდი, რომ ეს კვლევები გახდეს ხელმისაწვდომი ყველასთვის.

**გელა გურგენიძე** – თუ ამ კვლევების გაყიდვა შესაძლებელი იქნება შემდეგ, თუ ისინი გაზრდიან ინტერესს არასამთავრობო სექტორისა და მასმედიის მიმართ, ის მარკეტინგულადაც ძალიან მომგებიანი იქნება. ვგულისხმობ მარკეტინგს არა ფინანსურად, არამედ პრომოუშენის თვალსაზრისით. კვლევის პერიოდულობა რაც შეიძლება ხშირი უნდა იყოს, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია სისტემატიურად გვქონდეს სურათი, თუ როგორ იცვლება საზოგადოების დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხის მიმართ.

**ლიკა ჩახუნაშვილი** – მაუწყებელთა ასოციაციას და გამოცემელთა ასოციაციას ჰქონდათ შეთანხმება, რომ სასწრაფოდ მოამზადებდნენ რაღაც განცხადებას, ხოლო მათ წევრებს ჰქონდათ ალებული ვალდებულება, რომ ამას გაავრცელებდნენ.

ხანდახან ეს ირღვეოდა, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ასოციაციების გამოყენება ასეთ შემთხვევებში ინფორმაციის გავრცელების და ზეწოლის მასშტაბების გაზრდის თვალსაზრისით თქვენს ორგანიზაციებსაც შეუძლიათ.

**დავით პაიჭაძე** – საკითხი ცოტა სარისკოდ არის დასმული. მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას განაგებს მთლიანად კონკრეტული მედია, რედაქტორი, მფლობელი და ასე შემდეგ; შეღწევა ამ სფეროში ძალიან ძნელია. იმ საკითხებს შორის, რასაც ჩვენ სარედაქციო დამოუკიდებლობის პრობლემადად ვსახავთ, ერთ-ერთია ჟურნალისტების მუშაობა ლეგალურ, კონტრაქტის საფუძველზე. მინდა ვკითხო, მაგალითად, ნინო შუბლაძეს, დღეს კონტრაქტით მუშაობს თუ თავისუფალი შეთანხმების საფუძველზე? ჩავთვალოთ, რომ რუსთავი 2-ს არა აქვს იმდენი ფული, რამდენიც აქვს პატარკაციშვილს. მე მქონდა საშუალება მისთვის კითხვები დამესვა. მერე ის გადაცემა ეთერში არ გაუშვეს და ვინც ეს მოიფიქრა (ზვიად ქორიძე), ის საერთოდ გააგდეს ტელევიზიიდან. მაგრამ 80 წუთის მანძილზე ველაპარაკებოდით პატარკაციშვილს მე და ზვიად ქორიძე. ერთი კითხვა ეს იყო: „აი, თქვენ ამდენი ფული გაქვთ და რად ვიდრით, რომ დაუდოთ კონტრაქტები თქვენს თანამშრომლებს და არსებული კანონის თანახმად იხადოთ სოციალური, სამემოსავლო და სხვა გადასახადები“. მან მითხრა, რომ შენ

ცუდი ფსიქოლოგი ხარო. მე ძალიან გამიხარდა, რადგან ის პასუხი მივიღე მისგან, რაც მინდოდა. პატარკაციშვილმა რუსეთის მაგალითი მოიხმო: „აი, ჩვენ რუსეთში რომ ვიწვებდით მედია ბიზნესს, რა თქმა უნდა, კონვერტებით ვაძლევდით და ახლაც ასე ვმზრებითო და...“. მოვლედ, ეს არის ტოტალური სურათი. მე არ მესმის, როგორ უნდა აიძულო მფლობელი, დაუდოს ჟურნალისტს კონტრაქტი. მედია დღეს ლაყურებით უჭირავთ იმიტომ, რომ ის მუშაობს არალეგალურად.

**ვაჟა სალამაძე** – თუ არსებობს რაიმე საერთაშორისო გამოცდილება ამ სფეროში და, განსაკუთრებით, იმ ტიპის ქვეყნებში, როგორც ჩვენ ვართ? და თუ არსებობს, როგორ შეიძლება მოვიპოვოთ? მინდა ვკითხო ანის, ხომ არა გაქვთ თქვენ რამე მოსაზრება ამ საკითხის ლეგალური გადაწყვეტისათვის?

**ანა დოლიძე** – ჩვენს ყველა გრანტორს ვთხოვთ, რომ კონტრაქტები ჰქონდეთ დადებული ყველა იმ თანამშრომელთან, რომლებიც პროექტის ფარგლებში არიან დასაქმებულნი. ამ მიმართულებით ჩვენ წავაწყდით ძალიან დიდ წინააღმდეგობას, განსაკუთრებით, თბილისის მედიისგან იმიტომ, რომ მათ რეალურად ეს კონტრაქტები პრაქტიკაში არა აქვთ. ასევე ვთხოვთ, ნამუშევარი დრო აღრიცხონ, რაც ძალიან გავრცელებულია დღეს დასავლეთში

და ჩვენთან კონცეფციის დონეზეც არ არსებობს. ამას უფრო რეგიონულ მედიასთან მივალწიეთ, თბილისში ძალიან გაგვიჭირდა, მიუხედავად იმისა, რომ მოვამზადეთ კონტრაქტის გამარტივებული ნიმუში, რომლის საფუძველზეც მათ შეუძლიათ თავიანთი შრომითი ხელშეკრულების მომზადება; ძალიან ბევრმა ეს ჩვენგან წაიღო და ამით ისარგებლეს. ეს იყო მხოლოდ გრანტის ფარგლებში, გრანტის მიღმა ისინი ამას აკეთებდნენ თუ არ აკეთებდნენ, ამის შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს. ეს არის ანაბანა, ყველა თანამშრომელს უნდა ჰქონდეს თავისი სამუშაოს აღწერა, მან ზუსტად უნდა იცოდეს, სად გადის მისი კომპეტენციის ზღვარი, რა ვალდებულებები აქვს მას და ასევე უნდა ჰქონდეს შრომითი ხელშეკრულება და უნდა აღირიცხებოდეს მისი ნამუშევარი დრო. სახელმძღვანელოში, რომელსაც ჩვენ ვთარგმნით, რედაქციის ყველა თანამშრომლის სამუშაო აღიწერება რედაქტორიდან დამლაგებლამდე. თუ ვინმეს აქვს სურვილი ასეთი ხელშეკრულებების მომზადების და სამართლებრივი ცოდნა არ ჰყოფნის, ჩვენ სიამოვნებით დავეხმარებით მას. მაგრამ პრობლემა იმაშია, რომ არსებობს ორმაგი ბუნებალტერია. გარდა ამისა, რედაქტორებს არ უნდათ ვლდებულებების აღება ჟურნალისტების მიმართ; ვთქვათ, მოხდა ფორსმაჟორი და არ უნდათ მათთვის კომპენსაციის გადახდა, ის რაც ჟურნალისტს საქართველოს კანონმდებლობით ეკუთვნის.

**ვაჟა სალამაძე** – ჩვენი სამუშაო დრო არ არის განსაზღვრული. კონტრაქტების უქონლობის გამო ვერავინ გაიგებს, ადამიანს პრემია უნდა მისცე, არ უნდა მისცე, იმუშავა თუ არა. უკვე კონკრეტულ ნებაზე არის დამოკიდებული, ტელევიზიის ხელმძღვანელი გადაიხდის თუ არა ფულს.

**ანა დოლიძე** – არსებობს სტანდარტული პირობები, სადაც აღწერილია უფლება-მოვალეობები, პოზიცია და, რაც მთავარია, ხელშეკრულების ფასი, რომელსაც ეს ადამიანი მიიღებს. ყველაფრის წერილობით აღწერას ძალიან დიდი ჯაფა არ უნდა. მე მგონი, პრობლემა იმაშია, რომ უნდა არსებობდეს ნება, დამქირავებლების მხრიდან, გააფორმონ წერილობითი ხელშეკრულება. როცა ნინომ თქვა, მე ხელშეკრულება არა მაქვსო, ეგ ცოტა არასწორი გაგებაა. არა გაქვთ წერილობითი ხელშეკრულება იმიტომ, რომ თქვენ გაქვთ დადებული ზეპირი ხელშეკრულება, რომელშიც რაღაც დეტალებს ვერ აწესრიგებთ. ერთადერთი საკითხი, რაც თქვენს სასარგებლოდ მოქმედებს, არის ის, რომ ზეპირად დადებული ხელშეკრულება უვადოდ დადებული ითვლება. ეს უნდა უთხრათ ჟურნალისტებს. ჩვენ გვქონდა ძალიან სერიოზული ინციდენტი ძალიან ცნობილ ორგანიზაციასთან, რომელსაც ახლა ვერ დავასახელებ; იმას თანამშრომლები ხელშეკრულების გარეშე ჰყავდა აყვანილი და ეგონა, რომ როგორც დამქირავებელი დაცული იყო. შემდეგ, რო-



დესაც გაუშვა თანამშრომლები, ეს უკანასკნელნი მოვიდნენ ჩვენთან. სასამართლოს დადგენილებით (ამ ადამიანებს მიადგათ ზიანი, რახან ერთ მშვენიერ დღეს ისინი, უბრალოდ, სამსახურში არ შეუშვეს, შესაბამისად, ჰქონდათ უფლება მოეთხოვათ კომპენსაცია ერთთვიანი თუ ორთვიანი ანაზღაურების სახით) დაქირავებელმა ბევრად მეტი კომპენსაცია გადაუხადა ამ თანამშრომლებს, ვიდრე ჩვენ კანონის საფუძველზე შეიძლება მოგვეთხოვა. ასეთი პრეცედენტები არსებობს, მაგრამ სასამართლომდეც ძალიან ადვილად შეიძლება მოგვარდეს ეს პრობლემა, რადგან სასამართლომდე მისვლა ძალიან ბევრ დამქირავებელს არ აწყობს.

**ჯაჟა სალამაძე** – არ შეიძლება, ეს გააფართოვოთ კამპანიის სახით? არის ამის რესურსი?

**ანა დოლიძე** – კი. რა თქმა უნდა. უბრალოდ, ფორმა არის მოსაფიქრებელი. ინდივიდუალურად ჟურნალისტების დამახება შეხვედრაზე და ამ ყველაფრის ახსნა საათნახე-ვარში შესაძლებელია.

**ნინო შუბლაძე** – როგორ ხდება ამის დარეგულირება? როდესაც ხელშეკრულება წერილობითია, რაღაც ვალდებულება გაქვს, მაგრამ როდესაც სიტყვიერია, მაშინ როგორ ხდება?

**ჯაჟა სალამაძე** – ამიტომ ვთხოვე ანის, რომ ახალგაზრდა იურისტ-

თა ასოციაციამ გაიმეოროს ის, რაც ერთხელ გააკეთა. ამჟებ სერიოზული მოთხოვნა არსებობს მედიის მხრიდან. და IREX-ი ჩაერთვება ამაში, თუ ფინანსური უზრუნველყოფა იქნება საჭირო.

**სოსო გალუმაშივილი** – არ არის გამორიცხული, ტელევიზიის მეპატრონეები შეთანხმდნენ ერთ ძალიან საინტერესო დეტალზე, რომელიც, სინამდვილეში, განადგურებს თავისუფალ ჟურნალისტიკას. ისინი შეიძლება შეთანხმდნენ, რომ ერთი ტელევიზიიდან წამოსული ადამიანი ვერ მივიდეს მეორეში. ამის გადაწყვეტის ერთადერთი მექანიზმი, რაც ჯერჯერობით არსებობს მსოფლიოში, ეგრეთ წოდებული ეთიკის კოდექსია. ჩვენ მოვაწერეთ ხელი ბონესის ეთიკის კოდექსს. და პირდაპირ გვაქვს ვალდებულება, გავაფორმოთ კონტრაქტები თანამშრომლებთან. მაინც ყველა მიზეზთა მიზეზი მაინც საგადასახადო კოდექსში მდგომარეობს: ისეთი საშინელი თანხებია დასამატებელი, რომ ყველას გვირჩევნია კონვერტებით გავცეთ.

**პაატა ვეშაპიძე** – კანონმდებლობა საშუალებას აძლევს გამოძეგმელს, მაუწყებლობას, მეპატრონეს გააფორმოს ზეპირი კონტრაქტი თანამშრომელთან. ეს გარკვეულ ვალდებულებებს შეიცავს მეპატრონის მხრიდან, მაგრამ არა იმ ვალდებულებებს, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობდით. რადგან კანონმდებლობა

ამის საშუალებას აძლევს და რადგან ვიცით, რომ ამ ქვეყანაში ორმაგი ბუზჰალტერია არსებობს და კიდევ დიდხანს იარსებებს, არც ერთი მე-ჰატრონე მედიისა არ აიტკივებს აუტკივარ თავს. იქნებ ჩვენ ვიფიქროთ შიდა ჟურნალისტურ ნორმაზე, როდესაც ჟურნალისტი არ იწყებს მუშაობას კონტრაქტის გაუფორმებლად. თუ ოლიგარქები შეიძლება შეთანხმდნენ იმაზე, რომ სხვისგან წამოსული ჟურნალისტი არ მიიღონ, მოდით, ჩვენ შევთანხმდეთ, რომ არ დავიწყებთ მუშაობას, თუ არ გავგიფორმებენ კონტრაქტს და შეიძლება ამ კონტრაქტის მინიმალური ვადაც დავადგინოთ.

**გელა გურგენიძე** – ის სიტუაცია, რაც გამოჩნდა მედიის შეზღუდულობის თაობაზე, არ არის ახალი. შევარდნაძის დროსაც იგივე სიტუაცია იყო; რეგულაციის მერე არაფერი არ გაუარესებულა, უბრალოდ, უკეთ გამოჩნდა. რაც შეეხება კონტრაქტების არქონას, ცეცხლი სულ სხვაგან ანთია. გამომცემლები, ოლიგარქებიც და არაოლიგარქებიც, დაახლოებით ერთნაირად იქცევიან. მე არ ვიცი, რა მექანიზმებით შეიძლება ეს გადაიჭრას. თავისუფალი მედია მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ რაღაც-რაღაცა საკითხები, ქუჩურად რომ ვთქვათ. არ „გაიასნდა“. ამის გამორკვევებს თუ დავიწყებთ, მედია შეიძლება დაინგრეს. საზოგადოებრივ ტელევიზიას, გარდა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა, კიდევ სხვა მნიშვნე-

ლობა ექნება. ის შექმნის კარგ პრეცედენტს. ჩვენს ბაზაში თუ 15 ჟურნალისტია, ეს არაფერს გადაწყვეტს. შეიძლება 100-მა, 200-მა, 500-მა ჟურნალისტმა იმუშავოს, პირობითად ვამბობ. ეს ძალიან სერიოზული სეგმენტი იქნება.

**ანა დოლიძე.** მე მინდა სოსოს გამოვცხადო. დამქირავებლის კეთილსინდისიერებიდან მე ვერ ამოვალ. არა მგონია, რომ რედაქტორები თუ მფლობელები კონტრაქტებს არ დებენ იმის გამო, რომ აწარმოებენ შავ ბუზჰალტერიას და არ უნდათ გადაიხადონ გადასახადები. ძალიან ბევრ ბიზნესს საფუძვლად უდევს ხელშეკრულებები, სადაც შემცირებულია თანხები (ჟურნალისტს თუ 300 დოლარს უნდის, უწერა 100 ლარი და ა.შ.). ამ შემთხვევაში დამქირავებული მაინც არ არის ისე დაცული, როგორც იქნებოდა ჩვეულებრივ შემთხვევაში, რეალობას რომ, შეესაბამებოდა დაფიქსირებული ანაზღაურება, მაგრამ მაინც ბევრად უფრო დაცულია იმიტომ, რომ, თუ კონტრაქტი დაირღვა, ამ შემთხვევაში ჯარიმა უწერია შიგნით კონტრაქტში. ამით იმისი თქმა მინდა, რომ მე ვხედავ დამქირავებლების არაკეთილსინდისიერებას; თუ უნდათ, რომ ჰქონდეთ კონტრაქტი, არის საშუალება, რომ ჰქონდეთ კონტრაქტი, მაგრამ გადაიხადონ ნაკლები გადასახადი. ეტყობა, სხვა მიზეზების გამო სჭირდებათ მათ, რომ არ იყოს დადებული კონტრაქტები.

**რატი მელაძე** – ახალი საგადასახადო კოდექსის თანახმად, არის თუ არა იმისი შანსი, რომ დამქირავებლებს გაუჩნდეს ინტერესი, შეასრულოს ჩვენი მოთხოვნები?

**თენგიზ შერგელაშვილი** – როცა ჩვეულებრივ ბიზნესზე ვსაუბრობთ, ერთია და როცა მედია ბიზნესზე ვლაპარაკობთ, ცოტა განსხვავებული სიტუაციაა. აქ სახეზეა ურთიერთდაკავშირებული ჯაჭვი. სერიოზულ პრობლემას მედიისათვის წარმოადგენს არამართო გადასახადების გადახდა, იქ არსებობს კიდევ სხვადასხვა სახის მოსაკრებლები. მილიონებზეა აქ საუბარი. შესაბამისად, ხელისუფლებას საშუალება აქვს, ადმინისტრირებით ყველა ეს პრობლემა მოაგვაროს. ჩვენ ვნახეთ, როდესაც ამის გადაწყვეტა უნდა, როგორ აგვარებს ამას: შეიძლება კანონდარღვევით, მაგრამ მაინც აგვარებს. ბევრ ქვეყანაში აპრობირებული მეთოდია, როცა სახელმწიფომ იცის, რომ მედიას აქვს რაღაც დავალიანებები და ის ამაზე თვალს ხუჭავს, სამაგიეროდ, ყიდულობს მათ კეთილგანწყობას. მეორე მხრივ, მედიას არ უნდა ჰქონდეს ვალდებულებები თავის ჟურნალისტთან იმიტომ, რომ ყოველთვის არსებობს შანსი, რომ ცალკე აღებულმა ჟურნალისტმა რაღაც ინიციატივა გამოიჩინოს და ამ კონტექსტიდან ამოვარდეს. კარგ ქვეყანაში რა შეიძლებოდა მომხდარიყო? შეიძლებოდა გამოჩენილიყო ერთი ტელევიზია, რომელიც ყველა

ამ ტელევიზიებიდან გამოშვებულ კარგ ჟურნალისტებს თვითონ მიიზიდავდა, ექნებოდა ყველაფერი თეთრად და არ წავიდოდა ხელისუფლებასთან გარიგებაზე. ჩვენს სახელმწიფოში ეს არ მოხდება იმიტომ, რომ ჩვენი სახელმწიფო სამართლებრივი სახელმწიფოსგან ძალზე შორს დგას. უბრალოდ, დაიჭერენ ასეთი ტელევიზიის ხელმძღვანელს. რაც შეეხება ეთიკის კოდექსს, ასეთი კოდექსები ყოველთვის ირღვევა. შეთანხმება ზოგადი დოკუმენტი კი არ უნდა იყოს, არამედ კონკრეტული ინტერესები უნდა იყოს ჩადებული შიგ.

**ალექსანდრე ფარულავა** – იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ერთიანი მიდგომები არის გამოსახატი, აბსოლუტურად სხვადასხვა დამოკიდებულება აქვს ნებისმიერი ტელევიზიის მეპატრონეს და ხელმძღვანელს. ბადრის ჯგუფი რაღაცას „დატვირთავს“ და რაღაცას „გააიასნებს“ და იმ მხრიდან უტევს „თავის პონტში“; იქ ვანიკო ბიძია შეწუხდება ვიღაც მეპაიეებთან დაკავშირებით და კომისიას შეაქმნიენებს პარლამენტში საგანგებოდ და იქიდან აგვარებს საქმეს, რათა მიშა უფრო არ გაღიზიანდეს. „პირველ არხზე“ უკვე აღარ ვლაპარაკობ. „რუსთავი 2-ს“ თავისი მიდგომები აქვს. აქედან გამომდინარე, ამ თემასთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომა ცოტა რთულია. ამ ხელისუფლებამ იცის მედიის ფასი, მიშამ და მისმა გუნდმა ძალიან კარგად იციან, რა არის მედია, შესაბა-

მისად შიშიც მაღალია და იმიტომაც შეიცვალა სიტუაცია. შევარდნადისა და მისი ხელისუფლების პრინციპი იყო: „წერე და იკითხეს“. ხალხი წერდა, რაც უნდოდა და რეალურად ამან საბოლოო შედეგი გამოიღო. რაც შეეხება შავ ბუნჰალტერიას, მისი გულისათვის არ უარყოფს ეს ხალხი კონტრაქტებს. ბადრი პატარაკაციშვილისთვის და ვანო ჩხარტიშვილისთვის პრობლემა არ არის: გააფორმებს 100 და 120 ლარზე. ამას სჩადიან იმისთვის, რომ მუდმივად ჰქონდეთ ზეწოლის ბერკეტი. როდესაც სარედაქციო ჯგუფს თავისი შეხედულება აქვს და ჟურნალისტი არ ეთანხმება ამ პოზიციას, რომ არ გაუჩნდეს რაღაც „უადგილო“ შეკითხვა, ამიტომ სჭირდებათ ეს. ან რომ ლაპარაკობდა, უნდა ველაპარაკოთ ჟურნალისტებსო. შეხვედრაში კი არ არის პრობლემა, პრობლემაა თვითონ ჟურნალისტების დარწმუნება. შენ რომ ის კორესპონდენტი მოგივა, რომელიც დათო პაიჭაძეს ვერ ეუბნება სიმართლეს, უნდა დაარწმუნო იმაში, რომ მის უფლებებს ნამდვილად დაიცავ. ამ შემთხვევაში საჭიროა ერთობა, მაგრამ მე ამას ვერ ვხედავ. ეს ძალიან კარგად ჩანს ტელევიზიის შემთხვევაში: როდესაც „რუსთავი 2“ და ჩვენ ვდგავართ ერთად, „მზე“ ამოვარდნილია. ნანა ლეჟავას შემთხვევაში გამოჩნდა, რამდენად სოლიდარულები ვიყავით ჟურნალისტები ერთმანეთის მიმართ – ერთი ტელევიზია საერთოდ არ იყო იმ ასპარეზზე.

**ლიკა ჩახუნაშვილი** – დაახლოებით წელიწადნახევრის წინ შემთხვევით შევესწარი რამდენიმე გამოცემლის საუბარს. მე არ ვამბობ, რომ ისინი ჩვენი ბეჭდური მედიის საუკეთესო ნაწილს წარმოადგენენ. ერთმანეთს შესწიოდნენ კადრების მაღალ დენადობაზე: მოდიტო, ერთი ასეთი ჯენტლმენური შეთანხმება დავლოთ, ჩემგან რომ ვინმე წამოვა, შენ არ აიყვანო. არ ვიცი, მათ ეს შეთანხმება დადეს და ცხოვრებაში ახორციელებენ თუ არა, მაგრამ თავისთავად ფაქტია მძიმე.

**ვაჟა სალამაძე** – ერთი, რაც მე დავინახე, არის ის, რომ ამ პირობებშიც კი არსებობს სამართლებრივი მექანიზმი, რომლითაც შეიძლება ჟურნალისტმა თავი დაიცვას. თუ თქვენს ორგანიზაციას აქვს ამისი რესურსი, იქნებ მივაწოდოთ ინფორმაცია მოკლე სახით: რა უფლებები აქვთ მათ იმ პირობებში, როდესაც კონტრაქტი არ არის გაფორმებული. მეორე საკითხი, რაც წამოიჭრა, იყო ეთიკის ნორმები. მაგრამ ეს ბოლომდე არ იყო გაზიარებული, რადგან აქ ძალიან ბევრი საკითხი წამოიჭრა: ჟურნალისტმა უნდა იარსებოს, მას სჭირდება ანაზღაურება. ხშირად ამ სტანდარტების და შეთანხმებების დაცვა არის შეუძლებელი და ერთობის მიღწევა ცოტა რთულია. მესამე საკითხი შეეხო კამპანიას ან კამპანიების დაწყებას ამ მიმართულებით, თუმცა, აქაც ბოლომდე ჩამოყალიბებული პოზიციები არა არის.

**დავით პაიჭაძე** – დავსვამ ორ კითხვას. პირველი: მიგაჩნიათ თუ არა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლობისათვის გარკვეულწილად შეიძლება პრობლემური იყოს პოლიტიკოსების ჩარევა პროგრამულ უზრუნველყოფაში? გუშინ „ვესტნიკი“ გავიდა პირდაპირ ეთერში და გავიდა მთელი ზარით: აი, „ვესტნიკს“ ხურავენ და იქ ელენე თევდორაძის ჩარევა ხდება საჭირო, როგორ შეიძლება „ვესტნიკი“ დაიხუროს და ა.შ. საზოგადოებრივი მაუწყებლობის შესახებ კანონში ერთ-ერთი ყველაზე კარგი მუხლი ის არის, რომ ეს მაუწყებლობა დაცული უნდა იყოს პოლიტიკური, ბიზნესის და სხვა (ეკლესიის, რელიგიური და ა.შ.) ჯგუფების გავლენისაგან. ამ კანონის განხილვა პარლამენტში დაწყებულია. მგონი, უნდათ ისარგებლონ, სანამ სახელმწიფო ტელევიზია და მანც გაათრიონ თავიანთი გადაცემები. ამკარად არის მცდელობა მიუთითონ ტელევიზიას, რა ჰქონდეს, რა ღობით, რა ენაზე... მერაბ ბერაძის გადაცემა თუ გახსოვთ, „ენერჯია“... აღარ არის ეს გადაცემა. მერაბს ვუთხარი, ჯობია, თქვენ ეკრანზე არ იყოს, ცოტა აქცენტები გადაანაცვლოთ და გადაცემა შეცვალოთ. დაწეროთ პროექტი თავიდან და ა.შ.. ნუ, ის ხედავს სხვანაირად. არ უნდა ეს. წავიდა და ააგროვა 45 პარლამენტარის ხელმოწერა და აწვება ტელევიზიას ამ 45 პარლამენტარით. ესეც უხეში ჩარევაა პოლიტიკური კლასის მხრიდან ტელევიზიის პროგრამული პრიორი-

ტეტების განსაზღვრაში. რატომ უნდა მიენიჭოს რუსულ საინფორმაციო გადაცემას უპირატესობა სხვა ენოვან საინფორმაციო გადაცემებთან შედარებით; იქ უნდა იყოს: აფხაზური, ოსური, აზერბაიჯანული, სომხური. თუკი მონიტორინგის კომისია გაცოცხლებს ამ საკითხს, კარგი იქნება ჰქონდეს თქვენი, მედიისა და არასამთავრობო სექტორის იმედი. მეორე კითხვა: მიგაჩნიათ თუ არა, რომ პრობლემურია ოდიოზური სახეების დაბრუნება საზოგადოებრივ ტელევიზიაში, ამ შემთხვევაში კოკა ყანდიაშვილის, სხვა შემთხვევაში კიდეც სხვა გვარების? ჩვენ ვაპირებთ ამ საკითხის დასმას უახლოეს 2-3 დღეში. კოკა ყანდიაშვილის დაბრუნება სავსებით რეალურ კონტურებს იღებს. ის ჩემთვის დემონური ფიგურა კი არ არის, არის აბსოლუტურად დისკრედიტირებული ფიგურა ჟურნალისტიკაში, რომელიც მოახდენს საზოგადოებრივი მაუწყებლობის იდეის დისკრედიტირებას და დამარხავს ამ ტელევიზიას.

**ალექსანდრე ფარულავა** – პოლიტიკოსების ჩარევასთან დაკავშირებით, რიკინთან დაკავშირებით და მერაბ ბერაძესთან დაკავშირებით, აბსოლუტურად გეთანხმები. ორივეს სურს, ეკრანზე დარჩეს. საზოგადოებრივ ტელევიზიაში არსებობს მოსაზრება, რომ პროგრამის სახით იქმნება ეთნიკური უმცირესობების ენაზე საინფორმაციო გამოშვებები. ამასთან, აბსოლუტურად სწორია ის, რომ

არ შეიძლება ისეთი დისკრედიტირებული ადამიანები მოხვდნენ საზოგადოებრივ მაუწყებლობაში, რომლის გამოც გარკვეულწილად რევოლუცია მოხდა. და ყველაზე მთავარი: საზოგადოებრივი მაუწყებლობა ყველაფრის გასაღებად შეიძლება იქცეს იმ თვალსაზრისით, რომ საზოგადოებრივ მაუწყებლობაში გაკეთდეს ყველაფერი, კონტრაქტიდან დაწყებული და პოლიტიკოსების ჩაურევლობით დამთავრებული. ის თავისუფალი მედიის ხარისხის სამაგალითო ინდიკატორი იქნება. ეს ბევრად იქნება დამოკიდებული იმ 9 კაცზე, ვინც შევა საბჭოში.

**ირინა ცინცაძე** – რატომ უნდა ერეოდნენ პოლიტიკოსები? მაშ, რისთვის ვკმნით საზოგადოებრივ ტელევიზიას? უცნაური კითხვა დაისვა: უნდა დარჩნენ თუ არა ოდიოზური ფიგურები? ჩემი შიშებიც მინდა სმამალლა გითხრათ. შეიძლება მენეჯმენტის თვალსაზრისით ეს იყოს კარგად აწყობილი სისტემა, მაგრამ, სამწუხაროდ, არა მგონია, ახლა საქართველოში იყოს ისეთი რაოდენობით კრიტიკული მასა ჟურნალისტებისა, რომელიც შეძლებს ეს ტელევიზია დაამსგავსოს ტელევიზიას, თუნდაც კარგ OPT-ს, რომელშიც არ ერევა პუტინი, რომელსაც აქვს კარგი პროგრამული ბაღე, ჰყავს კარგი წამყვანები, აქვს პროფესიული დონე. თუ გყავს ასეთი ჟურნალისტები, შესაბამისად კარგ საზოგადოებრივ

ტელევიზიას გააკეთებ. OPT-ს ლეონტიევი, საძაგელი კია, მაგრამ მაგარი ჟურნალისტია. ჩვენ გყავს ძალიან მაღალი დონის პროფესიონალები, ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ქართული ჟურნალისტიკის ახლანდელი განვითარების დონე იმედს არ მაძლევს, რომ საზოგადოებრივი ტელევიზიისგან ჩვენ უნდა ველოდეთ სერიოზულ გარღვევას ჟურნალისტიკაში. აბსოლუტურად არა ვარ დარწმუნებული ვარ, რომ დაბალი კულტურის მქონე ქართული ხელისუფლება შეეცდება თავი შეიკავოს საზოგადოებრივი ტელევიზიის პოლიტიკაში ჩარევისაგან.

**დავით პაიჭაძე** – ერთში სწორი ხარ, მეორეში – არა. არავის აქვს ილუზია, რომ ხელისუფლება არ ჩაერევა, მაგრამ პრინციპულად არასწორია, რომ გულხელდაკრეფილი ველოდოთ; კი არ უნდა ელოდო, არამედ უნდა იყვირო.

**რატი მელაძე** – მე ვარ აბსოლუტურად დარწმუნებული, რომ ხელისუფლება, არათუ არ დათმობს ამას, არამედ კბილებით დაიცავს სახელმწიფო ტელევიზიას და მის მძლავრ იდეოლოგიურ იარაღად გადაქცევას შეეცდება. მიუხედავად ამისა, მე ვიქნები ის, ვინც ბოლომდე იბრძოლებს. ერთი თხოვნა მაქვს არასამთავრობო სექტორისადმი: როდესაც მედია ამაზე ლაპარაკობს, ჩვენ ყოველთვის წარმოვდგებით როგორც დაინტერესებული მხარე და როგორც

კონსურენტები. ამიტომ ამ მხრივ გადამწყვეტი არის არასამთავრობო სექტორის როლი.

**გელა გურგენიძე** – წელან ვსაუბრობდით, რა სიტუაციაა არის მედიამი და ისიც ვთქვით, რომ არ არის მთავარი კონტრაქტების არქონა. მედია ერთადერთი ბიზნესია, რომელიც შეიძლება პატრონისგან დამოუკიდებელი გახდეს. ქარხანაში რამდენი ჭანჭიკიც არ უნდა მოუჭიროს მუშამ, მაინც მენეჯერზეა დამოკიდებული. ჟურნალისტმა კი თუ მონინდომე, აღარ არის გამომცემელზე დამოკიდებული. ამიტომაც, რომ გამომცემლებს და მეპატრონეებს მედიის კონტროლის ემინიათ. მე მინდა საზოგადოებრივი ტელევიზია იქცეს ისეთ ექსპერიმენტად, რომელიც იმუშავებს დამოუკიდებლად და არ მოყვება გამომცემლის კონტროლის ქვეშ. აქ რა ბერკეტები არსებობს? კი, ბატონო, არასამთავრობო სექტორი, მაგრამ ყველას თავისი სამუშაო აქვს. მთავარია, ყველაფერი თეთრად იყოს: კონტრაქტი, უფლებები და მოვალეობები. პროფესიონალები თვითონ გააკეთებენ ყველაფერს ნაბიჯ-ნაბიჯ, მარცვალ-მარცვალ. რაც შეეხება ძველ სახეებს, ოდიოზურ სახეებს, მე მიმაჩნია, რომ აქ გასატარებელია ძალიან მკაცრი, მაგრამ ჩარჩოში მოქცეული პოლიტიკა. მინდობილი აქვს პროფესიონალს უფლება? მან გადაწყვიტოს. უნდა მიეცეს საშუალება ითამაშოს თამაშის წესებით. მაგრამ როცა პროფესიონალი

იტყვის, ეს არ მჭირდებაო, იქ უნდა დამთავრდეს ყველაფერი.

**პაატა ვეშაბიძე** – ჟურნალისტთა რესურსები საქართველოში ძალიან შეზღუდულია. კარგ ტელეჟურნალისტთა რესურსები – კიდევ უფრო მეტად. ამას გარდა, ჟურნალისტები საქართველოში მიჩვეული არიან (რაც უფრო გავლენიან მედია საშუალებაში მუშაობენ) გვერდზე კიდევ რაღაცების კეთებას. ეს ორი რამ არის რეალურად პირველ არხზე. ეს პრაქტიკა დღეს საქართველოში ძალიან ფართოდაა გავრცელებული. ცოტა სექტივიურად ვუყურებ, როგორ დაკომპლექტდება ეს საზოგადოებრივი ტელევიზია, ვისით; ეს იქნება ძალიან დიდი პრობლემა და იქნება ამაზე ორი სიტყვა გვეთქვა.

**კოტე კანდელაკი** – ნაწილობრივ მეც ვეთანხმები ირას, ძალიან სკეპტიკურად ვარ განწყობილი და მგონია, რომ საქართველოში სახელი კი დაერქმება საზოგადოებრივ ტელევიზიის, მაგრამ ის ცხრა კაცი, ცხრავე დათო პაიჭაძე იყოს იქ, არ უშველის საქმეს. აქ მთავარია ხელისუფლების ნება; – ერთხელ თუ გაუშვა ღვედები, ტელევიზია წავა თავისით და რაღაცად ჩამოყალიბდება. ჟურნალისტებშიც არ არის პრობლემა; მოვა, ისწავლის და გაიზრდება. 1989 წელს საერთოდ არ გვყავდა ჟურნალისტები, მაგრამ რაღაცა მივიღეთ. საიდანღაც უნდა დაიწყოთ, მაგრამ ამ დასაწყისს მე ვერ ვხედავ, გინდაც იმ კანონის მიღე-

ბის პერიპეტებიდან დაწყებული. ახლა, რაც შეეხება პოლიტიკოსების ჩარევას. რა თქმა უნდა, პოლიტიკოსი არ უნდა ჩაერიოს უხეშად: მე პრეზიდენტი ვარ ან პარლამენტარი ვარო და ამის გამო ეს გადაცემა უნდა ან არ უნდა გავიდესო, რა თქმა უნდა, მიუღებელია, მაგრამ ის პარლამენტის წევრები, ვინც ხელი მოუწერეს პეტიციებზე, ხომ არიან საზოგადოების ნაწილი? თუ გაქვთ საზოგადოებრივი ტელევიზია, მათაც აქვთ უფლება რეკომენდაცია გაუწიონ, ხელმძღვანელობამ ეს უნდა ჩათვალოს როგორც რეკომენდაცია. მეორე კითხვაზე პასუხი: ის სახეები, რომლებიც ასოცირებული იყვნენ ოდესღაც რაღაც პრობლემებთან, არ უნდა მიიღოსო ხელმძღვანელობამ; მაგრამ აქაც გასარკვევია. წუღან ვსაუბრობდით კოკა ყანდიაშვილზე, რა დაკვეთასაც მისცემ, იმას გაგიკეთებს, პროფესიონალიზმი თქვენ შეაფასეთ, მაგრამ სტრუქტურა ისეთი უნდა იყოს, რომ გვარმა და სახელმა არ უნდა მოახდინოს რაღაც გავლენა.

**ნინო შუბლაძე** – პირველ რიგში, უნდა მოხდეს იმისი ახსნა, რას ნიშნავს საზოგადოებრივი ტელევიზია. მე მქონდა ამაზე სპეციალური კვლევა. ზაზა შენგელიამ, მისდა სამწუხაროდ, მიმავლინა ამის გასარკვევად სხვადასხვა ქვეყანაში (ერთადერთი, რისთვისაც ძალიან მაძლობელი ვარ შენგელიასი). მოდით, გადავხტეთ და პოპლა მერე ვთქვათ. კადრებამდე სანამ მივაღწეოთ, მთავარი პრობლემაა გავარკვეოთ, რა არის საზოგადოებრივი

ტელევიზია, როგორი გვინდა იყოს. თუ ამას გავარკვევთ, კარგ პირობებს თუ შევუქმნით, ძალიან ბევრი არხიდან ძალიან ბევრი ჟურნალისტი იქ სამუშაოდ გადავა. ჩემი ტელეკომპანიის სახელით მინდა ვთქვა, რომ მედია ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლები მონაწილეობა მიიღოს დისკუსიაში იმიტომ, რომ კონკურენტს ხედავს მასში. იცით რატომაც კონკურენტი? ზვალ შეიძლება მე გადმოვიდე, ზალიყო გადმომიყვებს და ეს უკვე „რუსთავი 2-თვის“ დანაკარგია. სულ არ აწყობს ჩემს ხელმძღვანელობას, რომ საზოგადოებრივი ტელევიზია იყოს ძალიან მაგარი, რადგან ძალიან ბევრი კადრი დაეკარგება. მე მიმაჩნია, რომ ჩვენი მთავარი მისიაა მოხდეს საზოგადოების ინფორმირება იმაზე, თუ რა არის საზოგადოებრივი ტელევიზია, რათა საზოგადოებაც აქტიურად ჩაერიოს და მიხვდეს, რომ იქ ვეღარც პარლამენტარი ჩაერევა, ვეღარც პოლიტიკოსი. თუ ჩვენ ამ კანონს ისეთს მივიღებთ, როგორც გვინდა მაუწყებლობის შესახებ, მერე უკვე მართლა ბენდუქიდის ტერმინით ააფარებ ცხვირზე ამ კანონს იმ ვილაცას, ვინც ჩარევას დააპირებს. ეს არ მოხდება მხოლოდ სიტყვის თავისუფლების გამო, ძალიან ბევრ ისეთ კომპონენტს შეიცავს საზოგადოებრივი ტელევიზია, რაც ისევ საზოგადოებას უნდა უნდოდეს.

**ანა დოლიძე** – არც ერთი არ ვართ ისეთი იდეალისტი, რომ ვიფიქროთ, თითქოს პოლიტიკოსების მხრი-



დან არ იქნება ჩარევის მცდელობები, მაგრამ მე მომავალს უფრო იმედით ვუყურებ. ვფიქრობ, რომ მომავალში პარლამენტარების მხრიდან ჩარევები ბევრად ნაკლები იქნება, ვიდრე დღეს. რატომ? იმიტომ, რომ დღეს პარლამენტარს ძალიან კარგად შეუძლია დაამანტაჟოს საზოგადოებრივი ტელევიზია. რაკი ხვალ მან ტელევიზიის კანონს მეორე მოსმენით უნდა უყაროს კენჭი, ამიტომ დღეს უფრო მეტად აძლევს თავს ჩარევის უფლებას. ის 45 ხმა შენს ტელევიზიას მოაკლდება, თუ შენ დღეს არ დაუჯერებ. მომავალში ჩარევები იქნება ალბათ, მაგრამ ასეთი თავზედური არა, ან არ უნდა იყოს ყოველ შემთხვევაში. მთავარი პრობლემა ის არის, რომ ინფორმაცია უნდა მოვიდეს ალბათ ჩვენამდე, და უნდა იყვნენ დარწმუნებული, რომ ჩვენ აბსოლუტურად კეთილსინდისიერად და ობიექტურად მზად ვართ, რომ ამ ტელევიზიას, რომელიც ჯერ კიდევ ჩანასახშია, მხარში ამოვუდგეთ და აღვკვეთოთ ასეთი ჩარევები და ასე შემდეგ. აქ დამსწრეთაგან ყველაზე უფრო ოპტიმისტურად ვარ განწყობილი ამ ტელევიზიის მიმართ, მაგრამ მაინც ბოლომდე არა; არა მაქვს გარანტია, რომ ადამიანები, რომლების მიმართაც სერიოზული ეჭვები მაქვს, ჩამოსცილდებიან ამ ტელევიზიას. ეს გარანტია მე პირადად მჭირდება. სამეურვეო საბჭოს რაც შეეხება, ერთი სურვილი მაქვს, რომ სამეურვეო საბჭოში რაც შეიძლება ფართოდ იყოს წარმოდგენილი პროფესიული ხედვა: არა ბევ-

რი ჟურნალისტი, არამედ ერთი პროფესიონალი ეკონომისტი, ბუჰჰალტერი და ასე შემდეგ, რომელთაც ესმით პრობლემის არსი.

**ალექსანდრე ფარულავა** – პოლიტიკოსების ჩარევა რომ არ არსებობდეს, დათო პაიჭაძე პირველ შეკითხვად არ დასვამდა და მეც არ ავყეობოდი. რეალურად კიდევ არის სხვა ფაქტორი: ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ხელისუფლებამ საზოგადოებრივი ტელევიზიის სოუსით საბოლოოდ თავისი მართვადი სტრუქტურა ჩამოაყალიბოს, რომელიც მძლავრი იდეოლოგიური იარაღი იქნება საზოგადოებრივი ტელევიზიის ფართით. რაც შეეხება კონტივენტს, ნურავის ჰკონია, რომ პირველ იანვარს თუ შევა კანონი ძალაში, პირველშივე ჩართავთ ტელევიზორებს და საზოგადოებრივი ტელევიზია დაგზდებათ. მთელი პროცესი არის მერე განსახორციელებელი. ის მოიცავს სამეთვალყურეო, სამეურვეო საბჭოს ჩამოყალიბებას, რომელიც საკმაოდ რთული და საინტერესო პროცედურაა გამჭვირველების თვალსაზრისით და არჩევითობის თვალსაზრისით. მერე უნდა დაიწყოს მუშაობა იმაზე, თუ რა იქნება საზოგადოებრივი ტელევიზია. რაც შეეხება კამპანიას, რა არის საზოგადოებრივი ტელევიზია, იგი არ წარმართულა, საზოგადოებამ არ იცის, რას ნიშნავს საზოგადოებრივი ტელევიზია. აქამდე რა ხდებოდა? აქამდე „პირველმა არხმა“ კანონის მიღებასთან ბრძოლის პირობებში ვი-

თომ ვცადეთ, რომ საზოგადოებრივ ტელევიზიაზე გველაპარაკა ისევ იმ ხალხის მონაწილეობით, ვინც აქტიურად იყო ამ პროცესში ჩართული. ჩვენ მის შინაარსობრივ მხარეზე არ გვილაპარაკია. მეორე: საზოგადოებრივი ტელევიზია მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის კომერციული ტელევიზიის კონკურენტი, განყენებული თემები კეთდება და გამოითხვებიც კი სხვანაირი კეთდება. მესამე: რუსეთში საზოგადოებრივი ტელევიზია არ არსებობს და რუსული მედიის კრახით იყო ისიც განპირობებული. კანონი არის უზადოდ მომზადებული საზოგადოებრივი დაკვეთის თვალსაზრისით. ყველაფერი აბსოლუტურად მითითებულია: პოლიტიკოსის ჩაურევლობით დაწყებული და დაფინანსების დეტალებით დამთავრებული.

**სოსო გალუმაშვილი** – იქმნება ჩემი ტელევიზია. მე კი წარმოდგენა არა მაქვს, რა ხდება და ყიფშიძე მიკეთებს რეკლამას. ამაში მე ძალიან სერიოზულად ჩავერევი და ყველას ძალიან ვთხოვთ ჩარევას. რაც შეეხება პროგრამებს, უცებ მეუბნებიან, რომ უნდა იყოს სომხურზე, თათრულზე, რუსულზე. ვინ დასკვნა, რა პროგრამული უზრუნველყოფა უნდა ყოფილიყო? რატომ ვჩქარობთ ამის მიღებას მაშინ, როცა საზოგადოებრივი აზრი არ არის მომწიფებული და რატომ არის უკვე პირველი მოსმენით მიღებული, როდესაც არანაირი კამპანია არ გვიწარმოებია? პროგრამულ

უზრუნველყოფას რაც შეეხება, ეს არის კვლევის საკითხი და ახლავე არ უნდა გადაწყდეს, იქ სომხურად უნდა იყოს თუ აზერბაიჯანულად გადაცემა. რაც შეეხება სახეებს, აქ წამოიჭრა თემა, რომელიც არის აპარტიდული. იყოს თუ არა კოკა ყანდიაშვილი და მერაბ ბერაძე? ეს უნდა იყოს საზოგადოებრივი დაკვეთის და კვლევის შედეგი. თუ აქვს რეიტინგი მათ გადაცემებს, ისინი აუცილებლად უნდა იყვნენ, მიუხედავად იმისა, ალექოს მოსწონს თუ არა კოკა და მე კიდევ ზაზა შენგელია.

**თენგიზ შერგელაშვილი** – როგორც ჩანს, ჩვენს ხელისუფლებას არ უნდა დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ტელევიზია და ამის მისაღწევად ძალისხმევაა საჭირო. სიტყვის თავისუფლება რომ არ უნდა, ამას ხომ მივხვდით? დამოუკიდებელი სასამართლო რომ არ უნდა, ამასაც ხომ მივხვდით? დეცენტრალიზაცია არ უნდა და ასე შემდეგ. მე რა მაინტერესებს, იცით? ჩვენ მარტო გურული გვარი არ მოგვწონდა შევარდნაძესი და რევოლუცია ამიტომ მოვახდინეთ? ხალხის დაჭერა თუ იყო მარტო საკმარისი, იმ შევარდნაძემ მჟავანაძის ხალხი 72 წელში ძალიან კარგად დაიჭირა. ნუთუ მარტო ამისთვის მოვახდინეთ რევოლუცია? რაც შეეხება კამპანიურობას, ძალიან მალე უნდა დავიწყოთ მოქმედება და არაფერს არ უნდა დაველოდოთ, თორემ გაცილებით ცუდ შედეგს მივიღებთ.

# საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მედია ლიდერების გუდაურის შეხვედრის შედეგების მოკლე შეჯამება

(თეზისები)

## პრიორიტეტული საზოგადოებრივი პრობლემები

### *რა წარმოადგენს ჩვენი ერთობლივი ინტერესის საგანს?*

შეხვედრაზე გაანალიზდა ქართული საზოგადოების წინაშე დღეს არსებული პრობლემები. მონაწილეებმა პირველ რიგში გაიხსენეს ბაკურიანის თებერვლის შეხვედრაზე ჩამოყალიბებული პრობლემები და აღნიშნეს, რომ მაშინ გამოკვეთილ პრობლემათა უმეტესება დღესაც ისევ აქტუალურია. კერძოდ:

- მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი ხელისუფლების საერთო კურსი და სამომავლო საქმიანობის პრიორიტეტები.
- აღმასრულებელი შტო ძლიერდება და იგრძნობა ავტორიტარიზმის საფრთხე.
- მეწარმეობისათვის არახელსაყრელი გარემოა.
- მოსახლეობა სოციალურად დაუცველია.

გარდა ზემოთაღნიშნულისა, დამატებით გამოიკვეთა მთელი რიგი საზოგადოებრივი პრობლემებისა, რომელთა გადაწყვეტაზეც დიდადაა დამოკიდებული ქართული სახელმწიფოებრიობის მომავალი. კერძოდ:

- ქვეყანაში ისევ ძლიერია პოსტრევოლუციური სინდრომი და ირღვევა კანონის უზენაესობის პრინციპი.
- ხელისუფლება ჭეშმარიტების მონოპოლიზაციას ცდილობს.
- სახელმწიფო ინსტიტუტები არამდგრადია.
- პოლიტიკური პლურალიზმი სუსტია.
- ხელისუფლებას უჭირს არაპოპულარული რეფორმების განხორციელება.
- განათლების სისტემა მოუწესრიგებელია.
- კორუფცია გრძელდება.
- საზოგადოებრივი ღირებულებები გაუფასურებულია.
- დემოკრატიული ინსტიტუტები სუსტია.
- მედიის თავისუფლების ხარისხი შეზღუდულია.
- ხელისუფლება ცდილობს მართოს მედია.
- ინფორმაციის მიღება სახელმწიფო უწყებებიდან კვლავ ჭირს.
- საზოგადოებაში განსხვავებული აზრის დეფიციტია.
- პროფესიონალი კადრების დეფიციტი ყველა სფეროში იგრძნობა.

## **არასამთავრობო და მედია სექტორების საქმიანობის შეფასება**

### **რატომ არ ვაკეთებთ კარგად იმას, რასაც ვაკეთებთ?**

შესვედრის მეორე ნაწილი მიეძღვნა იმ კერძო პრობლემებს, რომლებიც თავს იჩენს მედიის თუ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის პროცესში და ამცირებს ამ უკანასკნელთა ეფექტურობას.

#### **მედიის პრობლემები:**

- მედია ორიენტირებულია სკანდალებზე, მაგრამ ეს განპირობებულია საზოგადოებრივი დაკვეთით.
- მაღალია მოთხოვნა ბულვარულ პრესაზე.
- პრესა მოწყვეტილია საზოგადოებას.
- სამოქალაქო ჟურნალისტიკა განუვითარებელია.
- დაბალია ჟურნალისტების პროფესიონალიზმი და კვალიფიკაცია.
- არსებობს ჟურნალისტური სოლიდარობის მკვეთრი დეფიციტი.
- დონორების არასწორი პოლიტიკა მედიასთან მიმართებაში იწვევს მედია ბაზრის არასწორ განვითარებას.
- მედია ბაზარს აფუჭებენ ოლიგარქები, ამდენად მედია ვერ ჩამოყალიბდა ბიზნესად.
- არ არსებობს ჟურნალისტიკის სახელმძღვანელო და სუსტია ჟურნალისტური განათლების სისტემა.
- რეგიონალურ მედიას მეტი თანადგომა და საზოგადოებრივი ყურადღება ესაჭიროება.
- დაკვეთილი სტატიები პრესის არსებობის ძირითადი წყაროა.
- კადრების გადინება კიდევ უფრო აღრმავებს მათ დეფიციტს.
- გამოძიებითი ჟურნალისტიკა, როგორც ასეთი, მოკვდა.

#### **არასამთავრობო ორგანიზაციების პრობლემები:**

- არასამთავრობო ორგანიზაციები მოწყვეტილია საზოგადოებას.
- არასამთავრობო ორგანიზაციები არ ეფუძნება მოსახლეობის პრინციპს.
- სექტორში პროფესიონალიზმის დეფიციტია.
- არასამთავრობო ორგანიზაციები მეტყველებენ რთულ, საზოგადოებისათვის გაუგებარ ენაზე.
- მედია და არასამთავრობო სექტორები ერთმანეთს არ იცნობენ.

**არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის თანამშრომლობის ძირითადი გზები და პრინციპები**

#### **როგორ შევქმნათ საერთო სიკეთე?**

შესვედრაში გამოიკვეთა თანამშრომლობის სამი ძირითადი მიმართულება, რომელიც მონაწილეებმა მიიჩნიეს პრიორიტეტულად და შეთანხმდნენ, რომ ითანამშრომლებენ ამ სფეროებში:

- დემოკრატიული, ლიბერალური ღირებულებების პროპაგანდა საზოგადოებაში (კანონის უზენაესობა, სიტყვის თავისუფლება, ღირსების პატივისცემა და ა. შ), ხელისუფლების გამჭვირვალობის მიღწევა,
- პლურალისტული გარემოს ჩამოყალიბება საზოგადოების ყველა დონეზე.

**კონკრეტულად რა ვაკეთოთ ერთად?**

დაისახა თანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები:

- საექსპერტო რესურსის მიწოდება მედიისათვის
- მედიასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ინფორმაციის ეფექტური სისტემის ფორმირება; სისტემატური შეხვედრების ორგანიზება, მედიისათვის თემატიკის მიწოდება
- ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე სწრაფი რეაგირება და ღია, კონსტრუქციული კრიტიკა
- კონსტრუქციული პოლიტიკური ოპოზიციის ფორმირების ხელშეწყობა
- კონკრეტული საკითხების საზოგადოებისათვის ერთობლივი მიწოდება
- მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაზე მუშაობა; კერძოდ, ეფექტური სამართლებრივი და თვითრეგულირების მექანიზმების შექმნა და ლობირება
- საკითხების ინიცირება და უკომპრომისო ლობირება ხელისუფლებაში
- მედიის შეზღუდვებზე მკვეთრი რეაქცია
- მედიის ბიზნესად ფორმირების ხელშეწყობა
- ჟურნალისტიკის უფლებების დაცვაზე საზოგადოებრივი ორგანიზაციების ძალისხმევის ზრდა
- კამპანიური ხასიათის აქციების განხორციელება პრიორიტეტულ საკითხებზე
- „დემოკრატიის ინდექსის“ გაანგარიშების მეთოდოლოგიის შექმნა და მისი ყოველწლიური გაანგარიშების უზრუნველყოფა
- საზოგადოებრივი აზრის კვლევა საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მედიის შესახებ
- საზოგადოებრივი ტელევიზიის დახმარება
- საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მედიის ურთიერთმონიტორინგის განხორციელება
- დაიდოს ურთიერთთანამშრომლობის კონტრაქტი მედიასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის
- საზოგადოებრივი ღირებულებების ფორმირებაზე მუშაობა.

## Summary

The present brochure was prepared on the basis of materials delivered on the 27-28 November working meeting in Gudauri.

The meeting was organised in the framework of the Civil Advocacy Program (CAP) that supports and envisages the creation of a sustainable network of Georgian NGOs. After the Bakuriani meeting of NGO leaders in February 2004, which was devoted to the potential of cooperation of NGOs and the government in the aftermath of the Rose Revolution, CAP initiated a number of meetings between NGOs and other civil society representatives.

The objective of the Gudauri meeting was to define the potential of cooperation between the NGO community and the media to tackle the problems that emerged in a post-revolutionary environment. In particular, the meeting focused on the following :

- Identification of problems in the NGO and media sectors;
- Assessment of current NGO and media activities and identification of flaws in cooperation;
- Definition of priorities for joint activities of NGOs and media;
- Definition of specific steps for cooperation and assessment of available resources.

More than 30 participants representing NGO and media sectors took part in the Gudauri meeting. Participants had an opportunity to develop and present diverse visions. The brochure gives an overview of discussions held and contains all major views put forward in the course of the meeting.

## CIPDD-ის ბიბლიოთეკა

1. შარლ ლუი მონტესკიე. *კანონთა გონი*, 1994, 864 გვ.
2. *რუსი ფილოსოფოსები დემოკრატიასა და რევოლუციასზე* (ს. ფრანკი, ნ. ბერდიაევი, ს. ბულგაკოვი), 1994, 240 გვ.
3. *დემოკრატის კლასიკური დოკუმენტები*, 1994, 48 გვ.
4. Мераб Мамардашвили. *Классический и неклассический идеалы рациональности*, 1994, 96 გვ.
5. *ჭკუა ვაისვან*, 1995, 160 გვ.  
(სოციალური და პოლიტიკური კვლევების აღმანახი)
6. ვია ნოდია. *საით?* (პოლიტიკური პუბლიცისტიკა), 1995, 208 გვ.
7. *Грузия. Данные о вооруженных силах* (материалы русской разведки 1921 г.), 1995, 48 გვ.
8. ვაცლავ ჰაველი. *ძალა უძალოთა*, 1995, 96 გვ.
9. *საზოგადოება და პოლიტიკა I*, 1996, 272 გვ.  
(სოციალური და პოლიტიკური კვლევების აღმანახი)
10. მთშე დაიანი. *ცხოვრება ბიბლიით*, 1996, 136 გვ.
11. ჟან ჟაკ რუსო. *საზოგადოებრივი ხელშეკრულება*, 1997, 152 გვ.
12. იოჰან ჰაინრიხა. *Homo Ludens*, 1997, 260 გვ.  
(ნაშრომი კულტუროლოგიაში)
13. მერაბ მაჰარდაშვილი. *ლექციები ფსიქოანალიზის შესახებ*, 1998, 64 გვ.
14. *საქართველოს პოლიტიკური სისტემა* (ცნობარი), 1998, 280 გვ.
15. დავით ლოსაბერიძე. *თვითმმართველობა საქართველოში*, 1998, 131 გვ.
16. ფრენსის ფუკუიამა. *ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი*, 1999, 400 გვ.

17. ვია ნოდია. *კონფლიქტი აფხაზეთში – მიზეზები და გააზრება*, 1999, 74 გვ.
18. *საზოგადოება და პოლიტიკა II*, 1999, 236 გვ.  
(სოციალური და პოლიტიკური კვლევების ალმანახი)
19. *საზოგადოება და პოლიტიკა III*, 2000, 232 გვ.  
(სოციალური და პოლიტიკური კვლევების ალმანახი)
20. *სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები საქართველოს მაკალითზე*, 2000, 290 გვ.
21. ედვარდ ჰელეტ კარი. *რა არის ისტორია?*, 2001, 144 გვ.
22. *საზოგადოება და პოლიტიკა IV*, 2002, 288 გვ.
23. ქ. ს. ლუისი. *უბრალოდ ქრისტიანობა*, 2002, 200 გვ.
24. *მუშაობა კონფლიქტზე: უნარ-ჩვევები და სტრატეგიები* (სახელმძღვანელო), 2002, 224 გვ.
25. Ф. Куне. *НАТО и Южный Кавказ*, 2003, 116 გვ.